დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2023 წლის
31 ივლისი - 6 აგვისტო

N34 1498

ფასი 3 ლარი
და 90 თეთრი




# ჩინეზულია!

ყოჩაღ, პრემიერო, რომ საქარ-თველოს, ჩინეთის სახით, დიდი მოყვარე და მეგობარი აპოვნინე!

როგორც ერთ დროს ჩინეთი, საქარ-თველოც ყვითელ მდინარესთან უნდა დადგეს და თავისი მტრების გვამების ჩამოტარებას დაელოდოს!

3-4 5 8

## გიხაროდეთ: ჩინეთში შოთა რუსთაველის ძეგლი დაიდგა!

ესე არაკი მართალი
ჩინს ქვასა ზედა
სწერია:
ვინ მოყვარესა
არ ეძებს,
იგი თავისა მტერია.

**შოთა რუსთაველი**

# სამართლის ურემი თხუთმეტი წლის შემდეგ როინ შავაძის მკვლელებსაც მიადგა!




***2023 წლის 28 ივლისს თხუთმეტწლიანი ლოდინის შემდეგ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სააკაშვილის რეჟიმის მიერ ულვთოდ გამეტებული და დახვრეტილი ქართველი მზვერავის, ბრიგადის სერჟანტ როინ შავაძის მკვლელები დააპატიმრა. ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის, ადამიანის პირადი ღირსების შეურაცხყოფისა და წამების მუხლით ათი პირიდან რვა უკვე ვირის აბანოშია მოთავსებული, რაც შეეხება ორს — აჭარის კუდის ყოფილ უფროსს თემურ პატარიძესა და ერთ-ერთ სპეცრაზმელს — გვარად არაბულს, რომლებიც საზღვარგარეთ იმყოფებიან, მათზე ძებნა გამოცხადდა.***

***როინ შავაძე,*** *რომელიც 2005-2006 წლებში ერაყის სამშვიდობო მისიაში, კოალიციური ჯარების შემადგენლობაში იბრძოდა, ამერიკელებმა სამაგალითო სამსახურისათვის მედლით დააჯილდოვეს, მაგრამ სააკაშვილმა მას სამშობლოს ღალატი და ნარკოტიკების მოხმარება დააბრალა და ბათუმიდან გატაცებული ჩოლოქის ხიდთან დახვრიტა.*

*სხვათაშორის,* ***როინ შავაძის დახვრეტა ტყუპისცალივით ჰგავს ჩემი უნივერსიტეტელი მეგობრის, ცნობებული დათო ცინდელიანის მკვლელობას!*** *უფრო მეტიც,* ***დათო ცინდელიანიც და როინ შავაძეც სააკაშვილმა და მისმა ხროვამ სწორედ ერთ დღეს, 2008 წლის 16 აგვისტოს, დახვრიტეს.*** *მოგეხსენებათ, ცინდელიანი, რომელიც სვანეთიდან გამოიტყუეს, ქუთაისში მოიტაცეს, მერე ბათუმში ჩაიყვანეს და შავი ზღვის აკვატორიაში, ნაპირიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, კატერზე დახვრიტეს.* ***მკვლელობა აღასრულა აფხაზეთის კუდის უფროსმა რომან შამათავამ,*** *რომელმაც დათოს ებრაული „იერიხოს" სისტემის პისტოლეტიდან ესროლა.* ***სერიულმა მკვლელმა შამათავამ,*** *რომელმაც* ***პაატა ქარდავაც*** *ზუსტად ასე დახვრიტა და* ***რომელსაც აგენტი ელისტრატო კილაძე „გმირს" უწოდებს,*** *მოკლულ* ***დათო ცინდელიანს*** *ფეხზე ბეტონნარევი რკინის ღუზა გამოაბა და გვამი წყალქვეშა სასაფლაოში მოისროლა.*

***მკვლელი შამათავა*** *კარგა ხანია, ციხეში ზის, მაგრამ სამართლის ურემი, ბოლოს და ბოლოს, როინ შავაძის მკვლელებსაც მიადგა...*

***ადვოკატი რამინ პაპიძე, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის მიერ დახვრეტილი როინ შავაძის უფლებებს წლებია იცავს, აცხადებს, რომ შავაძის მკვლელობაზე სააკაშვილის დროსაც აღიძრა საქმე და კონკრეტულმა ადამიანებმა დანაშაულიც აღიარეს, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე არავინ დასჯილა:***

— 2008 წლის 15 აგვისტოს ძველ ბათუმში, ე.წ. „ოქროს ბირჟის" მიმდებარე ტერიტორიაზე, აჭარის კუდის მთავარი სამმართველოს უფროსმა **თემურ პატარიძემ** დაგეგმა უკანონო ოპერაცია და თავს დაესხა **როინ შავაძეს,** რომელსაც სასტიკად გაუსწორდნენ...

**— ბატონო რამინ, გენერალური პროკურატურა ირწმუნება, რომ თემურ პატარიძემ როინ შავაძის ოპერატიულად შესწავლის დავალება „ზემოდან" მიიღო, რადგან თითქოს არსებობდა ინფორმაცია, რომ იგი უცხო ქვეყნის „სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა". ამ მიზნით პატარიძე სამხედრო ბაზაზეც კი მივიდა, რათა შავაძე შორიდან ენახა...**

— როგორც ჩანს, პროკურატურამ იმუშავა და რაღაცები დააზუსტა. კი ბატონო, პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ 2008 წლის 16 აგვისტოს აჭარის კუდის უფროსი **თემურ პატარიძე** ორ თანამშრომელთან ერთად თავდაცვის სამინისტროს მეხუთე ქვეითი ბრიგადის ბაზაზე მივიდა, სადაც **როინ შავაძე** მსახურობდა და ბრიგადის მეთაურს შორიდან მისი ვიზუალურად ჩვენება მოსთხოვა. **პატარიძემ** როინ შავაძის დანახვისთანავე რამდენჯერმე მისი მისამართით შეიგინა და დაიმუქრა, რომ მას სამაგალითოდ დასჯიდა! იმავე დღეს კუდ-ის სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლები, რომლებსაც სწორედ **თემურ პატარიძე** ხელმძღვანელობდა, ბათუმში, გამსახურდიასა და მელაშვილის ქუჩების კვეთაზე მდებარე კაფეში მყოფ **როინ შავაძეს** თავს დაესხნენ და ავტომატის კონდახების გამოყენებით სასტიკად გაუსწორდნენ.

**— მაინც როგორ გაუსწორდნენ?**

— **როინ შავაძემ** ძალადობის შედეგად სიცოცხლისთვის სახიფათო, სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანებები მიიღო, მათ შორის, მარცხენა მხრისა და ბარძაყის ძვლის მოტეხილობა, ნეკნების მრავლობითი მოტეხილობა, ასევე არაერთი დაზიანება ნაჭდევების და სისხლნაჟღენთების სახით. ამის შემდეგ თავდამსხმელებმა გონებადაკარგული **როინ შავაძე** ერთ-ერთი ავტომობილის უკანა სავარძელზე მოათავსეს და შემთხვევის ადგილიდან წაიყვანეს.

მომხდარს თვალს ადევნებდა ათეულობით მოქალაქე, ვინაიდან ინციდენტი მოხდა დღის საათებში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას. ნაწამები და გონდაკარგული **როინ შავაძე** ქობულეთი-ქაქუთის საავტომობილო გზის მიმართულებით წაიყვანეს. ბათუმის გასასვლელთან მათ დამატებით სპეცდანიშნულების რაზმის სხვა წევრებიც შეუერთდნენ.

**ქობულეთისა და გურიის საზღვართან თემურ პატარიძემ და დანარჩენმა სპეცრაზმელებმა გააჩერეს ავტომანქანები და უმწეო მდგომარეობაში მყოფი როინ შავაძე ავტომანქანიდან გადმოიყვანეს. შავაძე დააყენეს სავალი გზის გასწვრივ, ქარსაცავი ხეების ზოლის მიმდებარედ და „კალაშნიკოვის" სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებიდან მრავალჯერადი გასროლებით მოახდინეს მისი ლიკვიდაცია.**

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, **როინ შავაძეს** სხეულზე დაახლოებით 40 ცეცხლნასროლი ჭრილობა აღენიშნებოდა. გარდაცვლილს ჰქონდა სხვა ფიზიკური დაზიანებებიც, რაც მას გარდაცვალებამდე ძალადობის შედეგად ჰქონდა მიყენებული. **შავაძე** ნაწამები იყო სიგარეტის ნამწვავებით. გარდა ამისა, მრავლად აღენიშნებოდა ნახეთქი ჭრილობები, დამტვრეული ჰქონდა თითები, მოტეხილი ჰქონდა მარცხენა მხრის ძვალი, ნეკნები, მარცხენა ბარძაყის ძვალი, დაზიანებები და სისხლნაჟღენთები ჰქონდა ცხვირის, თვალბუდის და შუბლის მიდამოში. სხვათაშორის, **როინ შავაძის მკვლელობაზე სააკაშვილის დროსაც აღიძრა საქმე და კონკრეტულმა ადამიანებმა აღიარეს, რომ მათ დანაშაული ჩაიდინეს, მაგრამ, სამწუხაროდ, არავინ დასჯილა.**

**— დღეს ვინ არის დაპატიმრებული?**

— როგორც ვიცი, დაპატიმრებულია აჭარის კუდის უფროსის ყოფილი მოადგილე **ალეკო ბალაძე,** რომელსაც როინ შავაძის დაკავებას ედავებიან და ასევე დაპატიმრებულია კუდის ვითომ გამომძიებელი **სულიკო ვარშანიძე,** რომელმაც ვითომ ცხრეკა ჩაატარა... რაც შეეხებ **თემურ პატარიძეს,** მას ბრალი დაუსწრებლად გამოუტანეს, რადგან ქვეყნის გარეთ იმყოფება. ასევე დაუსწრებლად გამოუტანეს ბრალი სპეცრაზმის თანამშრომელს, გვარად **არაბულს.** პატარიძე დიდი ხანია, რაც ქვეყნიდან წასულია, მაგრამ არაბული როდის წავიდა, არ ვიცი... სხვათაშორის,



## ციცინო შავაძე:

# ქმარი იმიტომ მომიკლეს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომზე სიმართლე არ ეთქვა!



## რამინ პაპიძე:

### 2013 წელს ვკიოდი და ვწიოდი — თემურ პატარიძე როინ შავაძის მკვლელობისთვის დააპატიმრეთ–მეთქი! მაგრამ საპროცესო შეთანხმება გაუკეთეს და გარეთ გამოუშვეს!



თემურ პატარიძე

## კვირგვინოსნები



**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

საქართველო ყოველთვის იყო **ევროკავშირის ყველაზე სანდო პარტნიორი** ჩვენს რეგიონში. დეკემბერში **ევროპიდან ველით სამართლიან პოლიტიკურ გადაწყვეტილებას.** ჩვენ დავამტკიცეთ, რომ უძლიერესი ნება გაგვაჩნია **ევროკავშირის წევრობისთვის** ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

„რეზონანსი"



**ირაკლი კობახიძე**
*პარტია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე*

მინდა, მადლობა გადავუხადო ამერიკას **„რუსული კანონისთვის"** — ამერიკაში მოქმედი **„რუსული კანონის"** წყალობით გახდა ცნობილი ის, რომ **ნაცმოძრაობა ფულს იხდიდა ქვეყნის გაშავებაში.** „ინტერპრესნიუსი"



**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*

ყველასთვის კარგად ცნობილია, მათ შორის, არსებობს კადრებიც, როდესაც **ისინი აიძულებდნენ სკოლაში, მაგალითად, სიმაღლის მიხედვით დაყენებულ ბავშვებს, რომ ხმამაღლა ეძახათ მათი ბელადის, ამჟამად მსჯავრდებულ სააკაშვილის სახელი.** საზოგადოება, ვფიქრობ, ძალიან კარგად ხედავს, რომ **პიროვნების ამგვარი კულტი,** მათ შორის, შეშურდებოდათ ბოლშევიკებსაც.

„რეზონანსი"



**ზაზა გოგავა**
*ხორვატიაში საქართველოს ელჩი*

ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტი ხორვატიაში არის **პირველი უმაღლესი დონის ვიზიტი** ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის ისტორიაში, რაც ახალი ეტაპის დასაწყისია.

„პირველი არხი"



„სააკაშვილის, მერაბიშვილისა და ახალაიების გარეშე როინ შავაძეს ვერ დახვრეტდნენ, ამიტომ ეს ნაძირალები მართლმსაჯულების წინაშე უნდა წარდგნენ!“

აჭარის კუდის ყოფილი უფროსი **თემურ პატარიძე** ხელისუფლების შეცვლის დროს 11 ათასი ცალი პირადობის მოწმობის გაყალბების ბრალდებით გაასამართლეს. **2013 წელს ვკიოდი და ვწიოდი — თემურ პატარიძე როინ შავაძის მკვლელობისთვის დააპატიმრეთ-მეთქი! მაგრამ საპროცესო შეთანხმება გაუკეთეს და გარეთ გამოუშვეს!**

**— ანუ „ქართული ოცნების“ დროს როინ შავაძის მკვლელი თემურ პატარიძე, რომელიც აჭარის კუდის უფროსი იყო, საპროცესო შეთანხმებით გამოუშვეს?**

— დიახ, დიახ! ბიჭო, ამოდენა დანაშაული აქვს ჩადენილი ამ დედააფეთქებულს და ბარემ მიაყოლე, რატომ უშვებ გარეთ? მაგრამ 2013 წელს გამოუშვეს!

**— მაინც რატომ მოკლეს როინ შავაძე? ამბობენ, რომ თითქოს მან, როგორც მწერალმა, დაწერა პატაკი, სადაც ზუსტად აღწერა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სააკაშვილის რეჟიმის უმაღლესი პირების მიერ ჩადენილი ღალატი, ლაჩრობა, უმძიმესი დანაშაულები და ეს სიმართლე მას არ აპატიეს!**

— ყველა მაგ პატაკის შესახებ ლაპარაკობს, მაგრამ რეალურად ეს პატაკი არავის უნახავს და ჯერჯერობით არსად ჩანს! მკვლელობის მიზეზი საქმეში არ ჩანს, რადგან, რასაც მაშინდელი ხელისუფლება **როინ შავაძეს** აბრალებდა, **ეს კაცი სტრასბურგის სასამართლომ 2020 წლის 19 ნოემბერს ყველაფერში გაამართლა და განაცხადა, რომ დაირღვა მისი სიცოცხლის უფლება როგორც არსებით, ისე პროცედურულ ნაწილში.**

ერთი რამ ფაქტია, გენშტაბის მაშინდელ უფროსს, გენერალ **ზაზა გოგავას** მაშინ ჰკითხეს **როინ შავაძის** შესახებ და მან თქვა, რომ შავაძეს ჯარში, არმიაში არავითარი პრობლემა არ ჰქონიაო! თუ **როინ შავაძე** „მოღალატე“ იყო, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი ამას როგორ იტყოდა? ფაქტია, რომ უდანაშაულო კაცი მოკლეს. თუ როინ შავაძეს რაიმე დანაშაული მიუძღოდა, დადონ ფაქტები, მაგრამ ამას ვერ იზამენ, რადგან ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს!

**— სხვათაშორის, როინ შავაძეს ნაძირალა გივი თარგამაძეც „მოღალატეს“ ეძახდა!**

— კი, რაღაც მსგავსი განცხადებები მახსოვს!

**— შეიძლება თუ არა, რომ ამ ცილისწამების გამო თარგამაძე პასუხისგებაში მისცენ?**

**— ცილისწამების გამო დღეს საქართველოში არავის სჯიან, რადგან ეს მუხლი სისხლის სამართლის კოდექსში გაუქმებულია!**

**— თქვენ, როგორც ადვოკატმა, ამ საქმეში თქვენი მისია ამოწურეთ?**

— ჩემი მიზანი იყო როინის მკვლელების დაპატიმრება, რაც აღსრულებულია. ახლა მეორე მიზანი გვაქვს — **დააპატიმრონ ყველა ის ადამიანი, რომლებმაც ეს საქმე დროზე არ გამოიძიეს, გამოძიებას ხელი შეუშალეს, მკვლელებს ხელი დააფარეს და ა.შ.**

**— დაპატიმრებულთაგან სისტემაში დღემდე მუშაობდა ვინმე?**

— არ მინდა შევცდე, მაგრამ, მგონი, ზოგიერთები დღემდე მუშაობდნენ!

●

***როინ შავაძის მეუღლე, ქალბატონი ცირა შავაძე კმაყოფილია, რომ მკვლელები, ბოლოს და ბოლოს, დაიჭირეს, თუმცა, აცხადებს, რომ ყველაფერი ახლა იწყება და მართლმსაჯულების წინაშე მკვლელობის დამკვეთი უნდა წარდგეს:***

— ჩემი მეუღლე **როინ შავაძე და დათო ცინდელიანი** სააკაშვილმა ერთ დღეს, 2008 წლის 16 აგვისტოს, დახვრიტა! ეს ზუსტად ვიცი...

**— სად არის თქვენი მეუღლის მიერ დაწერილი სამხედრო პატაკი, სადაც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სააკაშვილის ხროვის დანაშაულები იყო აღწერილი?**

— ამ პატაკის შესახებ, რომელიც თვალით არასოდეს მინახავს, ინფორმაცია მაშინვე გავრცელდა. ვინ ნახა ეს პატაკი, რა ეწერა იმ პატაკში, არაფერი ვიცი, მაგრამ როინი ომიდან რომ დაბრუნდა, საშინლად გაბრაზებული იყო და მეუბნებოდა — **ბიჭები გაწირეს, ქვეყანა დაღუპეს ამ მოღალატეებმაო!**

**— თქვენი აზრით, რატომ დახვრიტეს თქვენი მეუღლე?**

— კიდევ გეუბნებით, სამხედრო პატაკის შესახებ არაფერი ვიცი, მაგრამ როინი მეუბნებოდა — **რაც მოხდა, ყველაფერს ვიტყვიო!** ქმარი იმიტომ მომიკლეს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომზე სიმართლე არ ეთქვა!

**— პროკურატურის მოქმედებით კმაყოფილი ხართ?**

**— კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი ქმრის მკვლელები დაიჭირეს, მაგრამ მოვითხოვ, დაისაჯონ მკვლელობის დამკვეთები!**

სააკაშვილის, მერაბიშვილისა და ახალაიების გარეშე როინ შავაძეს ვერ დახვრეტდნენ, ამიტომ ეს ნაძირალები მართლმსაჯულების წინაშე უნდა წარდგნენ! სანამ ეს არ მოხდება, მანამდე ჩემი მეუღლის მკვლელობის საქმე ბოლომდე გამოძიებული არ იქნება!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# „კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი ქმრის მკვლელები დაიჭირეს, მაგრამ მოვითხოვ, დაისაჯონ მკვლელობის დამკვეთები!“



***წინამდებარე წერილის სათაური დიდი რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფიდან მოვიხმეთ, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ჩინეთში წარმატებულ ვიზიტს და პრეზიდენტ სი ძინპინთან გამართულ უმაღლესი დონის შეხვედრას გასაოცარი სიზუსტით ეხმიანება. რუსთაველის ზემოხსენებული სტროფი სრულად ასე ჟღერს — „ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია: ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია!“***

# ყოჩაღ, ირაკლი ღარიბაშვილს, რომელმაც საქართველოს, ჩინეთის სახით, დიდი მოყვარე და მეგობარი აპოვნინა!

# რა წერია «ჩინს ქვასა ზედა»?



ჩინეთი არის ის მოყვარე, რომელიც საქართველოს აუცილებლად უნდა მოეძებნა და მოძებნა კიდეც. უზარმაზარი შესაძლებლობებისა და კულტურის ქვეყანა, რომელსაც წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლებულმა **ნაპოლეონმა** 1817 წელს ბრწყინვალე მომავალი და არნახული პოლიტიკური ტრიუმფი უწინასწარმეტყველა, ფაქტობრივად, გახდა მესამე ძალა, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიულ ამბიციებს ახლო აღმოსავლეთში ნელ-ნელა და მიზანმიმართულად ალიკაპი ამოსდო და შეუძლებელი შეძლო — ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადამტერებული საუდის არაბეთი და ირანი შეარიგა.

**ჩინეთმა თავის თავზე ყველაფერი გამოსცადა — მონღოლთა საშინელი და დამამცირებელი ბატონობა, როცა ყველა ჩინელ მამაკაცს თავის გადაპარსვას აიძულებდნენ, რათა იარაღი თმაში არ დაემალათ. ჩინეთმა მძიმედ გადაიტანა მანჯურიელთა ბატონობაც და განსაკუთრებით ევროპელ მტაცებელთა და ამერიკელ განგსტერთა მიერ ატეხილი ოპიუმის ომები, როცა ინგლისელებმა, ფრანგებმა და ამერიკელებმა მთელი ჩინეთი ლამის გაანარკომანეს და სანაცვლოდ კოლოსალური მოგება ნახეს. ჩინეთმა გამოსცადა საკუთარი ტერიტორიის დაკარგვაც, როცა ჰონგ-კონგი 1842 წელს ბრიტანელებმა მიიტაცეს, ხოლო 1860 წელს მეფის რუსეთმა სათავისოდ უსურიის მხარე შემოღობა.** აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, თუ რას სჩადიოდნენ ჩინეთში **იაპონელი ოკუპანტები** და რა ზიანი მიადგა ქვეყანას სამოქალაქო ომის შედეგად, როცა **გენერალისიმუსმა ჩან კაიშმა**

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

როგორც ერთ დროს ჩინეთი, საქართველოც ახლა ყვითელ მდინარესთან უნდა დადგეს და თავისი მტრების გვამების ჩამოტარებას დაელოდოს!

## კვირგვინოსნები

**მაია ნიკოლეიშვილი**
*სამედიცინო ექსპერტი*



საოცრება!!! თვალებს არ ვუჯერებ: საქართველოს პრემიერის შეხვედრა **სი ძინპინთან, თან ასეთი მაღალი დონის, სტრატეგიული პარტნიორობის გამოცხადებით!** სიტყვები არ მყოფნის! **საქართველოს მშვიდობის, დაცულობის და შუა დერეფნის ამუშავების გარანტია,** რაც საქართველოს მატერიალურ კეთილდღეობას უდრის! არ აქვს მნიშვნელობა, რა პროცესები განვითარდება მსოფლიოში! **პრეზიდენტმა სიმ** ბრძანა — რამხელა შინაარსია ჩადებული ამ სიტყვებში, რამდენი რამ იკითხება ამ ერთი ფრაზის მიღმა!

**ძალიან გამწარდება ჩვენი მახრჩობელა მეგობარი...** დიდი **სიფხიზლე და სიფრთხილე** გვმართებს.

„ფეისბუქი“

**პაველ ჰერჩინსკი**
*საქართველოში ევროკავშირის ელჩი*



შვება ვიგრძენით, როდესაც მიღებული იყო გადაწყვეტილება **ე.წ. უცხოური აგენტების კანონის** უპირობოდ გაწვევის შესახებ, ჩვენი შეხედულებით, ეს საკითხი დახურულია.

„პირველი არხი“

**თეა წულუკიანი**
*კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი*



**„სტრატეგია აღმაშენებელი“** ძველ გაერთიანებასთან დაბრუნებით ცდილობს გაძლიერებას, როგორც ქართველები ვიტყვით ხოლმე, **მკვდარი მკვდარს აეკიდა.**

„პირველი არხი“

**მაია ბითაძე**
*პარლამენტარი*



ყველა პოლიტიკურ პარტიას, **ყოფილ პრეზიდენტებს მოვუწოდებ,** როგორმე გაააღვიძონ საკუთარ თავში ის, რომ **ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესს ხელი არ შეუშალონ.**

„ინტერპრესნიუსი“

**მეუფე იაკობი**
*ბოდბელი ეპისკოპოსი*



მინდა, მივმართო **ევროკავშირს და ევროპარლამენტს,** რას აკეთებთ, როგორ გვექცევით? რისთვის იყენებთ ევროკავშირში გაწევრიანების იდეას?

„ახალი თაობა“

*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

სწორედ ევროპელებისა და ამერიკელების დახმარებით, ჩინეთი ფითილიან ბომბზე შესვა და კუნძულ ტაივანზე, ფაქტობრივად, ალტერნატიული ჩინეთი შექმნა, რომელსაც დასავლეთი დღემდე აღიარებს.

**ბარაქალა ღარიბაშვილს, რომ საქართველოს ნამდვილი მეგობარი აპოვნინა! მართლაც, მილიარდნახევრიანი ჩინეთი საქართველოს არასოდეს აიძულებს გარყვნილი სოდომისტების პარადის გამართვას და იმ მკვლელებისა და სახელმწიფო დამნაშავეების ციხეებიდან გამოშვებას, რომლებიც საჯიშე ბიჭებს ქუჩებში სწორედ ამერიკელების ლოცვა-კურთხევით ხოცავდნენ.** ჩინეთი არც ჩვენს რელიგიას შეეხება უწმინდური და ბინძური ხელებით და არც ჩვენი პატარა ქვეყნის სიკეთეს დაივიწყებს, რადგან უზარმაზარი ქვეყნის უზენაესი წინამძღვარი და სახელმწიფო რელიგიის მამა-დამფუძნებელი, **ფილოსოფოსი კონფუცი** ჯერ კიდევ 2600 წლის წინათ ბრძანებდა — **„დაივიწყე შეურაცხყოფა, მაგრამ არასოდეს დაივიწყო სიკეთე!“**

**საქართველოს ახლა უკვე აქვს არჩევანი რუსეთსა და დასავლეთს შორის და ეს არის ჩინეთი,** რამეთუ სტრატეგიული პარტნიორობა ქვეყანასათან, რომელიც მსოფლიოში მეორე ეკონომიკის მფლობელია და ყველანაირი გათვლებით, უახლოეს ხუთ წელიწადში პირველი ეკონომიკა ექნება, უკვე იმას ნიშნავს, რომ სწორი პოლიტიკის შემთხვევაში საქართველოში რძისა და თაფლის მდინარეები დაიწყებს დენას.

**სწორედ ჩინეთია ის სახელმწიფო, რომელიც თაღლითი მამუკა ხაზარაძის ნაცვლად ანაკლიის პორტს არათუ ააშენებს, არამედ მის ფუნქციონირებასა და მთელი დატვირთვით მუშაობას უზრუნველყოფს.** საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი **ჩინეთი** საუკეთესო შუამავალი და მხარდამჭერი იქნება **დაკარგული აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დასაბრუნებლად,** როცა რუსეთთან აუცილებლად დასაწყები პოლიტიკური დიალოგი დაიწყება!

**დიდმა სტალინმა** იმთავითვე დაინახა მაშინდელი 700-მილიონიანი ჩინეთის უზარმაზარი პოტენციალი და იმიტომაც იყო, რომ 1949 წლის დეკემბერში ჩამოსული **მაო ძედუნი** ორ თვეზე მეტხანს დაიტოვა მოსკოვში, სადაც ორ ქვეყანას შორის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული შეთანხმებები გაფორმდა. **სტალინისა და ბერიას მკვლელობის შემდეგ სულელმა ხრუშჩოვმა და მისმა ხროვამ ყველაფერი გააკეთეს, რათა ჩინეთთან ურთიერთობა გაეფუჭებინათ, რითიც 1971 წელს ამერიკელებმა ისარგებლეს და ჩინეთს 21-წლიანი ეკონომიკური ემბარგო მოუხსნეს.** უფრო მეტიც, 1972 წელს პეკინში ჩავიდა **პრეზიდენტი ნიქსონი,** ხოლო 1973 წელს მსოფლიო პოლიტიკის „ტურამ“, ამერიკის მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა **ჰენრი კისინჯერმა** გააჟღერა ე.წ. „სამკუთხა დიპლომატიის“ პოლიტიკის იდეა, რაც საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ბალანსის პოლიტიკის შესანარჩუნებლად მესამე ძალის — ჩინეთის გააქტიურებას გულისხმობდა. **იმ დღიდან ჩინეთს თავისი ალამი ძირს არ დაუხრია. უჭკვიანესი და უნიჭიერესი მმართველის — დენ სიაოპინის რეფორმების წყალობით, ქვეყანამ ეკონომიკური სასწაული მოახდინა, განავითარა შიდა ბაზარი,ააწყო კომუნიკაციები, დანერგა უახლესი ტექნოლოგიები, მოხსნა მარცვლეულის პრობლემა და გახდა მსოფლიოს უზარმაზარი და ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკის ფორპოსტი.**

საბჭოთა ლიდერების უტვინო პოლიტიკისა და ამერიკელების წაქეზებით 1979 წელს ჩინეთმა საბჭოთა კავშირთან სტალინის დროს გაფორმებული სტრატეგიული შეთანხმება გააუქმა, ხოლო შეერთებულ შტატებთან სრულფასოვანი დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა. თუმცა, **ჩინეთის მმართველ ელიტას მაინც ეყო ჭკუა, რუსეთთან ურთიერთობა არ გაერთულებინა და შეენარჩუნებინა სწორედ ის ბალანსის პოლიტიკა, რამაც ახლა საქართველო უნდა გადაარჩინოს!**

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ

**თანამედროვე ჩინეთი არის იმ დიდი სტალინური გეგმის ფრთაშესხმული რეალობა, რომლის შესახებაც ბელადმა 1952 წლის ოქტომბერში მე-19 ყრილობაზე ისაუბრა და ის შეცდომებიც დაასახელა, რაც საბჭოთა სოფლის მეურნეობაში აშკარად იკვეთებოდა.**

ჩინელებმა სტალინის ეს შენიშვნები და გეგმები, რომელიც საბჭოთა კავშირში **ბელადის მე-14, მე-15 და მე-16 ტომებში** არ შეიტანეს და დაბლოკეს, თავად გამოსცეს, შეისწავლეს, გამოიყენეს და ქვეყანა ააყვავეს...

**ჩინელებმა აღადგინეს მემკვიდრეობითობა და ჩინური პოლიტბიუროს შვიდკაციან კომიტეტში სულ მაო ძედუნის უახლოესი თანამებრძოლების შვილები და შვილიშვილები შეიყვანეს, რომლებიც ჩინეთის იმპერატორების სასახლეში, ე.წ. აკრძალულ ქალაქში ცხოვრობენ.** უფრო მეტიც, მათ გააუქმეს ქვეყნის მართვის ათწლიანი ციკლი და **სი ძინპინი,** ფაქტობრივად, გამოცხადდა **იმპერატორად,** რითიც ქვეყანას შეექმნა სტაბილური მმართველობის განცდა. **ეს ყველაფერი ხდება იმ დროს, როცა ამერიკის პრეზიდენტი ყოველდღე მიწაზეა გაშხლართული, ხოლო გადაღრძუებული სენატორები პრესკონფერენციებს ვეღარ ატარებენ და გონებას კარგავენ!**

ვფიქრობთ, საბოლოო ჯამში მივედით იქამდე, როცა, თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, უნდა ვუპასუხოთ წინამდებარე წერილის სათაურში დასმულ შეკითხვას და გავარკვიოთ, თუ რა წერია **„ჩინს ქვასა ზედა?“**

**„ჩინს ქვასა ზედა“ წერია ის, რომ ევროპელი და ამერიკელი განგსტერებისა და გეი-პროპაგანდისტების მიერ ორ ცეცხლს შუა მოქცეული პატარა საქართველოს შველა და ხსნა არის სწორედ ჩინეთში, რომელმაც შექმნა ხელოვნური მთვარე, ააშენა კედელი, რომელიც კოსმოსიდან ჩანს და სტრატეგიული მოთმინების პოლიტიკით დაამიწა და დაასამარა ყველა ის მტაცებელი, რომელიც უზარმაზარ ქვეყანას უსინდისოდ ძარცვავდა და სისხლს სწოვდა...**

როგორც ერთ დროს ჩინეთი, საქართველოც ახლა ყვითელ მდინარესთან უნდა დადგეს და თავისი მტრების გვამების ჩამოტარებას დაელოდოს!

**ყოჩაღ, ირაკლი ღარიბაშვილს, რომელმაც საქართველოს დიდი მოყვარე და მეგობარი აპოვნინა! „ჩინს ქვასა ზედა“ სწორედ ეს წერია!**

***დიტო ჩუბინიძე***

# ყოჩაღ, ირაკლი ღარიბაშვილს, რომელმაც საქართველოს, ჩინეთის სახით, დიდი მოყვარე და მეგობარი აპოვნინა!

**ირაკლი ღარიბაშვილის ჩინეთში ვიზიტისას პეკინის ენისა და კულტურის უნივერსიტეტში შოთა რუსთაველის სკულპტურა გაიხსნა**



# რა წერია «ჩინს ქვასა ზედა»?

**ჩერნენკოიზაცია**

***ოთხშაბათს, 2023 წლის 26 ივლისს, ამერიკის შეერთებული შტატების სენატში გამართული საგანგებო პრესკონფერენციის დროს, სენატის ჯერ უმრავლესობის და შემდეგ უმცირესობის ლიდერი, რესპუბლიკელი სენატორი კენტუკიდან, 81 წლის ედისონ მიჩ მაკკონელი 19 წამის განმავლობაში გაშეშდა, გაითიშა და მეტყველების უნარი დაკარგა...***





# სენატორის

მოხუცი სენატორი საცოდავად, უაზროდ იდგა ტელეკამერების წინ და აღარ იცოდა რა ექნა. გარშემო მყოფები **მაკკონელს** მალევე შემოეხვივნენ და იქაურობას სასწრაფოდ გაარიდეს.

როგორც **მისტერ მიჩის** კოლეგა სენატორები ამტკიცებენ, 2023 წლის მარტში **მაკკონელი** დაეცა, ტვინის შერყევა მიიღო და იმის შემდეგ მთლად კარგად ვერ არის! თუმცა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ **პატივცემული სენატორი ვერც მანამდე იყო ჯანზე, რადგან პატარა საქართველოს უზარმაზარი ატომური „დერჟავის“ — რუსეთის წინააღმდეგ საომრად აქეზებდა და 2021 წელს შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩთან დავით ბაქრაძესთან სტუმრობისას აცხადებდა** — *„ქართველებს უწევთ დაუდგნენ რუსებს, თან ძალიან ახლოდან, მათ შორის, შემოჭრისა და ოკუპაციის წინააღმდეგ, რომელიც თითქმის 15 წელია, გრძელდება. მიუხედავად ამისა, საქართველოს პარლამენტში არ არის არანაირი სენტიმენტი რუსეთის მიმართ. ასე რომ, მადლობა საქართველოს სიმამაცისთვის და რუსების მიმართ მტკიცე დგომისთვის. ჩვენც გვიწევს მათთან გამკლავება, თუმცა, დისტანციურად, რაც სამეზობლოში მათ გვერდით ცხოვრებასთან შედარებით გარკვეულწილად იოლი უნდა იყოს!“*

ჩვენ, რა თქმა უნდა, **მიჩ მაკკონელის** მალე გამოჯანმრთელებასა და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ, თუმცა, მიგვაჩნია, რომ **მოხუცი სენატორის მძიმე მდგომარეობა სიმბოლურია და მთელი სახელმწიფო-პოლიტიკური სისტემის სიდამპლესა და ყავლგასულობაზე უფრო მიგვანიშნებს, ვიდრე ერთი ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემაზე.**

არაერთხელ გვითქვამს და რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო გვიმტკიცდება აზრი, რომ **ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ელიტა სწორედ იმ ხრწნილებისა და გადაგვარების ფაზაში შევიდა, რა მდგომარეობაშიც თვალუწვდენელი საბჭოთა იმპერია ბრეჟნევის, ანდროპოვისა და ჩერნენკოს მმართველობის წლებში აღმოჩნდა.** თვით კეთილი ლეონიდეც კი, რომელიც ერთობ სიმპათიური მამაკაცი გახლდათ და ქალებშიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა, ბოლოს ანეკდოტურ პერსონად იქცა, რომელზეც მთელი ქვეყნის მასშტაბით სასაცილო ისტორიებს თხზავდნენ.

აღარაფერს ვამბობთ **იური ანდროპოვისა** და **კონსტანტინე ჩერნენკოს** შესახებ... სხვათაშორის, როგორც მისი თანაშემწე **ვიქტორ პრიბიტკოვი** იგონებს, **390 დღიდან, რა ხნის განმავლობაშიც საბჭოთა კავშირს მართავდა, ჩერნენკომ ნახევარზე მეტი დრო საავადმყოფოში გაატარა და პოლიტბიუროს ეხვეწებოდა — „შინ გამიშვით, თანამდებობა არ მინდა, დასვენება მჭირდება, მშვიდად სიკვდილი მაცალეთო!“**

**ჩერნენკო** არ გაუშვეს, ქვეყნის რეალურად მოდერნიზაციისთვის ტვინი არ ეყოთ და თვალუწვდენელი საბჭოთა იმპერი-



კონსტანტინე ჩერნენკო

# ამერიკის სენატი და კონგრესი სწორედ ჩერნენკოებით აივსო!

# ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის დამყარება იმ რაციონალური და ადეკვატური პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელებაა, რომელსაც ირაკლი ღარიბაშვილი და მისი მთავრობა ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ატარებენ!

## ჯონდი ბაღათურია:



***ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტით ჩასულ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს აეროპორტშივე პომპეზური ცერემონიით დახვდნენ, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ჩინური ხელისუფლება ქართული სამთავრობო დელეგაციის სტუმრობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. და, მართლაც, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და ჩინეთის პრეზიდენტმა განაცხადეს, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა სტრატეგიული პარტნიორობის სიმაღლეზე ადის! ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრს, პარტია „ქართული დასის“ ლიდერს ჯონდი ბაღათურიას ვესაუბრებით:***

— ჩინეთთან ურთიერთობების გაღრმავებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწორედ ახლა, როცა იქმნება ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური სივრცე, სადაც დასავლეთი დომინანტი და იმპერატიული მითითებების მიმცემი აღარ არის. **ამ სივრცეში, რომელიც რუსეთს, თურქეთს, ჩინეთს, ირანს, აზერბაიჯანს, არაბულ სამყაროს, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების 90 პროცენტს მოიცავს, საქართველოს ერთ-ერთი საკვანძო ადგილი უკავია.**

**— შეიძლება თუ არა, ეს სივრცე საქართველოსათვის ევროკავშირის საპირწონედ ან ალტერნატივად განვიხილოთ?**

— ნამდვილად არ ვარ მომხრე, ევროპას ან ამერიკას ზურგი ვაქციოთ, პირიქით, მათთან პრაგმატული და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების შესაბამისი ურთიერთობა უნდა გვქონდეს, მაგრამ არც იმის ფუფუნება გაგვაჩნია, ფეხი არ ავუწყოთ დეამერიკანიზაციის პროცესს, რომელიც მსოფლიოში უკვე დაწყებულია და ცოტა ხანში ევროპის ძალიან დიდ ნაწილსაც შეეხება. საფრანგეთი და გერმანია, რომლებსაც ახლა ამერიკის მარიონეტი ხელისუფლებები მართავენ, მალე ევროპაში დეამერიკანიზაციის პროცესის მედროშეები გახდებიან.

**— დეამერიკანიზაციაში კონკრეტულად რა იგულისხმება?**

— დეამერიკანიზაციის მთავარი გამოხატულება გახლავთ **დედოლარიზაცია!** თანდათან ძალას კარგავს ე.წ. ბრეტონ-ვუდსის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მსოფლიოს ქვეყნებს შორის ფინანსური ანგარიშსწორების ძირითად ვალუტად დოლარი იყო აღიარებული, რაც ამერიკის მმართველ ელიტას საშუალებას აძლევდა, დანარჩენ მსოფლიოზე სრულიად უსამართლო გავლენა მოეპოვებინა.

**რუსეთი და ჩინეთი დღეს უკვე ერთმანეთში თავიანთი ეროვნული ვალუტებით — რუბლითა და იუანით ვაჭრობენ, რუსეთი და ინდოეთი — რუბლითა და რუპიით...** ამ დროისათვის მსოფლიოში დოლარზე მოთხოვნა თითქმის 40 პროცენტით არის შემცირებული და ეს პროცესი გაგრძელდება, საბოლოო ჯამში კი, **ჩვენ ირგვლივ არცერთი ქვეყანა — არც რუსეთი, არც თურქეთი, არც ირანი, არც აზერბაიჯანი, არც არაბული სამყარო, არც ჩინეთი და არც ინდოეთი დოლარის მიმოქცევის ზონაში აღარ დარჩება.**

**— საქართველო?**

— ცხადია, ვერც საქართველო დარჩება დოლარის მიმოქცევის ზონაში, რადგან ჩვენი მთავარი სავაჭრო პარტნიორები ამერიკა და ევროკავშირი კი არა, რუსეთი და თურქეთი არიან, ირანთან, ჩინეთთან და ინდოეთთან კი სავაჭრო ბრუნვა თანდათანობით გაგვეზრდება.

ასე რომ, **ფრთხილი, მაგრამ გონივრული და თანმიმდევრული პოლიტიკა, რომელსაც ღარიბაშვილის მთავრობა ბოლო დროს ატარებს, უდავოდ იმსახურებს შექებასა და მხარდაჭერას!**

**— თუმცა, ქართული ე.წ. პროდასავლური ოპოზიციის წარმომადგენლები ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის დამყარებას საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებად განიხილავენ და აცხადებენ —შეუძლებელია, ჩინეთი და აშშ ერთდროულად გყავდეს სტრატეგიულ პარტნიორადო!**

— ბრბო, რომელიც საკუთარ თავს ოპოზიციას უწოდებს, როგორც წესი, ფულზე გაყიდულ შეფასებებს აკეთებს და ფულზე გაყიდულ ემოციებს გამოხატავს! **ხვალ რომ ინფორმაცია გავრცელდეს — რუსეთი ან ჩინეთი მზად არიან, თავიანთი ინტერესების მსახურებისათვის ქართველ პოლიტიკოსებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს 5 დოლარით მეტი გადაუხადონ, ვიდრე კოლექტიური დასავლეთი უხდისო, ნაცლიბერასტული ბრბოს წარმომადგენლები რუსეთისა და ჩინეთის საგრანტო სალაროებთან უშველებელ რიგებს დააყენებენ, მერე კი იმ ხალხს, ვისაც ახლა რუსეთუმეებს ეძახიან, პრეტენზიას წაუყენებენ — ნამდვილი რუსეთუმეები ჩვენ ვართ, თქვენ არასაკმარისად პრორუსულები იყავითო!**

თუ თურქეთს შეუძლია, რუსეთი, ჩინეთი და ამერიკა ერთდროულად ჰყავდეს პარტნიორებად, საქართველოსთვის რატომ არის შეუძლებელი? ყველა ქვეყანასთან იმ ფორმით და იმ დოზით უნდა ვიპარტნიოროთ, როგორც ჩვენი სახელმწიფო ინტერესებისათვის იქნება ხელსაყრელი! — სწორედ ეს არის ნამდვილი პოლიტიკა და არა ის ისტერიული დებილიზმი, რითიც ნაცლიბერასტული ბრბოა დაკავებული!

**— და მაინც, რა ხელშესახებ სარგებელს მოუტანს საქართველოს ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა?**

— ყველაზე გლობალური ჩინური პროექტი გახლავთ „ერთი გზა — ერთი სარტყელი“, რომლის სრულყოფილ ამოქმედებასაც მთელი ევროპა ელოდება. ეს პროექტი გულისხმობს კოლოსალური თანხების ინვესტირებას ეკონომიკური ინფრასტრუქტურის — გზებისა და რკინიგზების მშენებლობაში, რადგან **ჩინეთს ჰაერივით სჭირდება ევროპასთან სავაჭრო-ეკონომიკური კომუნიკაცია. საქართველო, როგორც აბრეშუმის გზის ერთ-ერთი საკვანძო რგოლი, ჩინეთის გლობალური პროექტის განუყოფელი ნაწილია და დიდი ეკონომიკური სარგებლის მიღების პერსპექტივა გააჩნია.**

მოკლედ, ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის დამყარება იმ რაციონალური და ადეკვატური პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელებაა, რომელსაც ღარიბაშვილი და მისი მთავრობა ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ატარებენ!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***



# «დანყებულია მსოფლიოს დეამერიკანიზაცია!»

## ჩერნენკოიზაცია





# გაშეშება

აც თავზე დაემხოთ!

**გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, ვიფიქროთ, რომ პრეზიდენტი ბაიდენი, რომელიც ბრეჟნევისა და ჩერნენკოს ფაზას კარგა ხანია, გასცდა, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ ელიტას სწორედ ჩერნენკოს მსგავსად ეხვეწება — „გამიშვით, მეტი აღარ შემიძლიაო!“** მაგრამ არ უშვებენ და 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გასამარჯვებლად საგანგებოდ მორთულ-მოკაზმულსა და შერემონტებულს კიდევ ერთხელ ამზადებენ!

ამერიკის სენატი და კონგრესი სწორედ ჩერნენკოებით აივსო... ამრიგად, წინა ოთხშაბათს, 26 ივლისს, პრესკონფერენციის დროს **სენატორ მიჩ მაკკონელის** 19-წამიანი გაშეშებაც იმ მოახლოებული ტრაგედიისა და დიდი დაცემის უტყუარი ნიშანია, რაზეც ჯერ კიდევ 1959 წლის მარტში, მთაწმინდაზე გალაკტიონის დასაფლავების იმ ჯანღიან და უამურ დღეს, მურმან ლებანიძე წერდა.

**„იმ დღეს ავად მენიშნა ეს ამდენი ჭაღარა...**
**სდუმდნენ დიდოსტატები, იდგნენ მხრების კანკალით,**
**დასწყებოდა მთაწმინდას საუკუნის სამკალი.“**

ის, რომ პრეზიდენტი **ბაიდენი** ყოველ ნაბიჯზე გაშხლართულია, მედლებს ხალხს გულზე უკუღმა ჰკიდებს, ხელს ჰაერს ართმევს, ხოლო ამერიკის სენატორებმა უკვე გაშეშება დაიწყეს და ვეღარ ლაპარაკობენ, სწორედ იმას გვეუბნება, რომ ქვეყანაში რაღაც შესაცვლელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამერიკასაც ის დღე მოელის, რაც საბჭოთა კავშირს...

სხვათაშორის, ბევრმა არ იცის, მაგრამ **რომის იმპერია 476 წლის 3 სექტემბერს კი არა, სინამდვილეში პირველ საუკუნეში, იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტუსის მმართველობის ხანაში დაეცა, როცა ძლევამოსილმა და მთელი მაშინდელი მსოფლიოს მპყრობელმა ოქტავიანემ ერთადერთი ქალიშვილი იულია რომის ბორდელებს ვერ მოაშორა!**

საცოდავი მამა — უდიდესი იმპერატორი და მმართველი, მთელი დღეების განმავლობაში ოხრავდა, თავის გაჩენის დღეს წყევლიდა და თვალცრემლიანი ანდერძად იბარებდა — **რომ მოვკვდები, იულია ჩემ ახლომახლო არ დამარხოთო!**

ისტორიამ შემოგვინახა ცხვირმომტვრეული ქანდაკი არცთუ ლამაზი ქალისა... ეს მეძავი იულიაა — იმპერატორ **ოქტავიანე ავგუსტუსის** ერთადერთი ქალიშვილი, რომელმაც სახელოვანი მამა ცოცხლად დამარხა და თავისი გარყვნილებით იმპერიასაც მორალური საფუძველი შეურყია...

**არ ვიცი, რამდენად ზნეობრივი ცხოვრებით იცხოვრა სენატორმა მიჩ მაკკონელმა, მაგრამ ფაქტია, რომ ის ცოდვების თუ ასაკის გამო გაშეშდა...**

მიჩ მაკკონელის მსგავსად, ამერიკის პოლიტიკაც გაშეშებულია და ირანში, კავკასიაში, თურქეთში, ავღანეთში, ჩინეთში, რუსეთში, სირიასა და ევროპაში მარცხს მარცხზე განიცდის.

**რა იქნება ხვალ, ღმერთმა უწყის, მაგრამ გაშეშებული მაკკონელი და წაქცეული ბაიდენი რომ ამერიკას ვერ გადაარჩენენ, ცხადია!**

***დიტო ჩუბინიძე***






ჯოზეფ ბაიდენი

# მაკკონელის მსგავსად, აშშ-ის პოლიტიკაც გაშეშებულია!

# გაყიდულიც არის და გამყიდველიც!



## პლასტილინის კაცმა საკუთარი თავისაგან ნაცის გამოძერწვის პროცესი საბოლოოდ დაასრულა!

**როგორც წესი, ყოფილი პრეზიდენტები მემუარების წერით არიან დაკავებული, მარგველაშვილმა კი სააკაშვილის მხარდამჭერი პეტიციების წერა არჩია!**


Purpose
Press Release /Wire Distribution (U.S. MEDICAL EXPERTS CONFIRM POLITICAL $ 1,841.90
Press Release / Wire Distribution (FOURTH GEORGIAN PRESIDENT GIORGI MARGVELASHVILI LEADS COALITION EFFORT TO SAVE FORMER PRESIDENT SAAKASHVILI'S LIFE) $11,559.00

***ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ დოკუმენტებში, რომლებიც სააკაშვილისა და მისი ოჯახის მიერ დაქირავებული უცხოელი ლობისტების საქმიანობას ეხება, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის სახელი და გვარი გამოჩნდა.***

კერძოდ, ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, **სააკაშვილის ოჯახის მიერ დაქირავებულმა ლობისტურმა კომპანია „აკერმანმა“** პიარკომპანია „Cision PR Newswire“-ს **11 559 დოლარი** გადაუხადა, რათა მას საერთაშორისო მედიაში გაევრცელებინა პრესრელიზი ასეთი ფორმულირებით: **„საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ხელმძღვანელობს კოალიციას, რომლის ძალისხმევაც ყოფილი პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლის გადარჩენაა“.**

ქართულ ტელემედიასა და სოციალურ ქსელებში ამ ფაქტის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით გაშუქებამ საზოგადოების ნაწილს წარმოდგენა შეუქმნა, რომ მარგველაშვილმა, სააკაშვილის მხარდამჭერ აქტივობებში მონაწილეობის სანაცვლოდ, მისი ლობისტებისაგან ფული აიღო. კონკრეტულად, საუბარია **ყოფილი მთავარსარდლის** ინიციატივითა და ორგანიზებით მომზადებულ პეტიციაზე, რომლის ხელმომწერნიც საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებდნენ, სააკაშვილისათვის სასჯელი გადაევადებინა და საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაეშვა.

როცა მარგველაშვილს ჟურნალისტებმა ჰკითხეს — ***მართლა აიღეთ თუ არა 11 500 დოლარი სააკაშვილის მხარდამჭერი პეტიციის შედგენაშიო,*** მან უპასუხა — ***ეს ბინძური ტყუილია და თანაც, შეურაცხმყოფელი თანხაა დასახელებული, ასეთი მცირე რაოდენობის ქრთამს როგორ ავიღებდიო!***

მარგველაშვილი, თავისი ჭკუით, ანგლობს და სერიოზული საკითხის გაბიაბრუებას ცდილობს — ***თუ გაყიდვა იყო, გაცილებით მაღალ ფასად გავიყიდებოდიო!***

ჰოდა, ტყუილად როდი შენიშნა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძემ,** რომელმაც მარგველაშვილის განცხადებაზე ასეთი კომენტარი გააკეთა: ***„მან თქვა, რომ 11 500 დოლარად როგორ გავიყიდებოდიო, ანუ გაყიდვა დაუშვა. აქედან ჩანს მისი სახე“.***

სააკაშვილის სასარგებლო ლობისტურ კამპანიაში მარგველაშვილის მონაწილეობას გამოეხმაურა „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი და თბილისის მერი **კახა კალაძეც:** ***„როდესაც ფულზე იყიდები, ეს არის ძალიან მძიმე. შეიძლება, ცხოვრებაში რაღაც პრინციპები გქონდეს, რაღაცის გჯეროდეს, მაგრამ, როდესაც ამას ფულის გამო აკეთებ, ეს არის უმძიმესი, არა აქვს მნიშვნელობა, რა რაოდენობის თანხაზეა საუბარი“.***

კაცმა რომ თქვას, მართლაც არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, აიღო თუ არა მარგველაშვილმა ფული სააკაშვილის მხარდამჭერი პეტიციის შედგენისათვის!

არც ის არის დიდად მნიშვნელოვანი, სააკაშვილმა მარგველაშვილს ლობისტების ხელით 11 500 დოლარი ჩაუკუჭა თუ ათჯერ მეტი გადაუხადა!

**მთავარია, რომ მარგველაშვილმა** ნამდვილად შეადგინა სააკაშვილის მხარდამჭერი პეტიცია და ნამდვილად მოითხოვა მისი სამკურნალოდ გაშვება!

**მთავარია, რომ მარგველაშვილი** ნამდვილად მონაწილეობს ნაცების მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციებში და ნამდვილად დგას იმათთან ერთად, ვინც საქართველოში მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმი შექმნა!

**მთავარია, რომ მარგველაშვილი** ნამდვილად გადაიქცა ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნული „მეხუთე კოლონის“ მოკავშირედ, რომელიც „მოლოტოვის კოქტეილების“ სროლით ცდილობს ე.წ. თბილისური მაიდნის მოწყობას!

**მთავარია, რომ მარგველაშვილი** ნამდვილად წარმოადგენს ერთ-ერთ ინსტრუმენტს იმ ძალების ხელში, რომელთა მიზანიც საქართველოს ომში ჩათრევა და რუსეთის წინააღმდეგ საზარბაზნე ხორცად გამოყენებაა!

ასე და ამრიგად, **მარგველაშვილი, როგორც პოლიტიკოსი, გაყიდულიც არის და გამყიდველიც!**

სულით გაყიდული და სულით გამყიდველი!

**მარგველაშვილმა პოლიტიკურ ეშმაკს სული ჯერ კიდევ მაშინ მიჰყიდა,** როცა ქართველი ხალხის წინაშე დადებული პირობა ურცხვად დაარღვია და აირჩიეს თუ არა პრეზიდენტად, სულ რამდენიმე კვირაში მოირთხა ფეხი სააკაშვილის მიერ აშენებულ ავლაბრის რეზიდენციაში, რომელსაც მანამდე „კალიგულას სასახლესა“ და „ბოროტების ბუდეს“ ეძახდა!

**მარგველაშვილის სულგაყიდულობა და სულით გამყიდველობა მაშინაც გამოჩნდა,** როცა ახალგაპრეზიდენტებულმა უარი განაცხადა, გრიფი „საიდუმლო“ მოეხსნა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დოკუმენტებისათვის, რომლებიც სააკაშვილის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 9 მილიონი ლარის გაფლანგვას ააშკარავებდნენ!

კითხვაზე — **რატომ ცდილობდა პრეზიდენტი მარგველაშვილი, ხელი შეეშალა სააკაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიებისათვის?** — მკაფიო და ცალსახა პასუხი სწორედ ის მოცემულობა გახლავთ, რომელიც დღეს გვაქვს: ნაპრეზიდენტალი მარგველაშვილი სააკაშვილისა და მისი დანაშაულებრივი რეჟიმის ნარჩენთა ღია მოკავშირეა!

**მარგველაშვილის დღევანდელი მდგომარეობაა საუკეთესო პასუხი იმაზეც, თუ რატომ დაუპირისპირდა იგი გაპრეზიდენტებიდან მოკლე ხანში ბიძინა ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“, რომელთა მხარდაჭერისა და ძალისხმევის გარეშე არათუ საქართველოს პრეზიდენტი ვერ გახდებოდა, სახელმწიფო აპარატში სულ უკანასკნელ თანამდებობასაც ვერ ეღირსებოდა!**

იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ მარგველაშვილმა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ წყალობით მოპოვებული საპრეზიდენტო უფლებამოსილება მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე სისხლის სამართლის დამნაშავეების, მათ შორის, **ნარკორეალიზატორებისა და ე.წ. შავ სამყაროსთან დაკავშირებული საკუთარი ნათესავების შეწყალებაში დახარჯა!**

მოკლედ,

**გიორგი მარგველაშვილმა ჯერ კიდევ თავისი პრეზიდენტობისას იზრუნა იმაზე, რომ სააკაშვილის ნაცში საკუთარი ადგილი დაებევებინა და ეს წარმატებით გამოუვიდა!**

**მარგველაშვილმა ჯერ კიდევ სააკაშვილის აშენებულ „კალიგულას სასახლეში“ ცხოვრებისას განიმზადა პოლიტიკური და მორალური ნიადაგი იმისათვის, რომ დიდი პოლიტიკოსების – ლევან ხაბეიშვილის, პეტრე ცისკარიშვილისა და დავით კირკიტაძის ღირსეული პარტნიორი გამხდარიყო!**

გიორგი მარგველაშვილმა ჯერ კიდევ სააკაშვილის აშენებულ „კალიგულას სასახლეში“ ცხოვრებისას განიმზადა პოლიტიკური და მორალური ნიადაგი იმისათვის, რომ დიდი პოლიტიკოსების — **ლევან ხაბეიშვილის, პეტრე ცისკარიშვილისა და დავით კირკიტაძის** ღირსეული პარტნიორი გამხდარიყო!

**ჰოდა, ქსოვს ახლა სააკაშვილის მხარდამჭერ პეტიციებს!**

**ჰო, როგორც წესი, ყოფილი პრეზიდენტები მემუარების წერით არიან დაკავებული, მარგველაშვილმა კი სააკაშვილის მხარდამჭერი პეტიციების წერა არჩია!**

**რა მნიშვნელობა აქვს, ამაში ფულს უხდიან თუ არა?**

**რა მნიშვნელობა აქვს, ბევრს უხდიან თუ ცოტას?**

მთავარია, რომ **პლასტილინის კაცმა** საკუთარი თავისაგან ნაცის გამოძერწვის პროცესი საბოლოოდ დაასრულა და ავთენტური სახით წარუდგა ქართველ ხალხს, რომლისთვისაც **„გონებრივი სისუსტისა“ და „მსუბუქი დებილობის“ დიაგნოზი** დიდი ხანია, დასმული აქვს!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**გიორგი მარგველაშვილი**
*საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი*



მხიარული კომენტარია, რომ მე გავხდი **მექრთამე და ფულის ამღები,** პრინციპულად შეურაცხყოფილი ვარ **ამ პატარა თანხით — 11 500 დოლარით.** ერთადერთი, რაც ემოციურად შემეხო ამ პროცესში, **თანხის სიმცირე იყო.**

„ახალი თაობა“

**მაკა ჩიჩუა**
*გიორგი მარგველაშვილის მეუღლე*



ისე გამოიყვანეს, **თითქოს გიორგი დადის, ხელმოწერებს აგროვებს და ამაში საფასურს იღებს.** თან ასე პატარა თანხას. მეტი კომედია რა გინდათ?!

„ამბები.გე“

**ბექა ოდიშარია**
*პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე*



გიორგი მარგველაშვილი ვერსად გაექცევა იმას, რომ **ის მონაწილეა საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ გაურკვეველი წარმომავლობის ფულით დაფინანსებული ბინძური კამპანიის,** რაც ძალიან დასანანია, რადგან ამას აკეთებს ყოფილი პრეზიდენტი ყოფილი პრეზიდენტის მხარდასაჭერად.

„პირველი არხი“

**ანრი ოხანაშვილი**
*პარლამენტარი*



ნაციონალური მოძრაობის არსი, **რადიკალიზაცია და სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედება** უცვლელი რჩება — რაც შეეხება ბატონ **მარგველაშვილს,** ის ნაციონალური მოძრაობის აქტივისტი გახლავთ.

„რეზონანსი“

# სააკაშვილს ახალი სოფო ჰყავს!

## ჯერ პირადად სააკაშვილი რა არის და მერე მისი პირადი წარმომადგენელი რაღა უნდა იყოს!

*წერილის სათაურიდან გამომდინარე, „იმნაირი“ რომ არაფერი იფიქროთ, ამთავითვე გეტყვით — საუბარია ნაციონალური მოძრაობის წევრ სოფო ჯაფარიძეზე, რომელიც პატიმარმა სააკაშვილმა თავის პირად წარმომადგენლად და სპიკერად დანიშნა.*

თუ **მომღერალ სოფო ნიჟარაძეს** სააკაშვილთან ურთიერთობაში ეროტიკული ფუნქციების შესრულება ევალებოდა, რაც, საბოლოო ჯამში, მისი დაფეხმძიმებითა და ბავშვის გაჩენით დასრულდა, **პოლიტიკოს სოფო ჯაფარიძის** ფუნქცია, როგორც ეს ოფიციალურად არის გაცხადებული, „ვივამედის“ ლუქს-პალატაში წამოპლაკული ნაცბელადის აზრებისა და იდეების გახმიანება იქნება.

სხვანაირად რომ ვთქვათ, სააკაშვილს უცებ წვეტიანი აზრები წამოარტყამს თავში, დემენციისაგან უეცრად განკურნებულ მის გენიალურ ტვინში საქართველოს „რუსული რეჟიმისაგან“ გათავისუფლების სტრატეგია ან ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების გეგმა მოიხარშება, რასაც საზოგადოების ყურამდე **სოფო ჯაფარიძე** მიიტანს საგანგებო ბრიფინგისა თუ პრესრელიზის საშუალებით.

**თავიდან ამ ფუნქციას ნაციონალური მოძრაობის წევრი ეკა ხერხეულიძე ასრულებდა, რომელიც ჯერ რუსთავის ციხეში და მერე კლინიკა „ვივამედში“ სააკაშვილთან თითქმის ყოველდღე შედიოდა, საათობით რჩებოდა და იქიდან გამოსვლის შემდეგ ტელეკამერების წინაშე ყვებოდა, რა თქვა სააკაშვილმა, რას აპირებს სააკაშვილი, რა ჭამა სააკაშვილმა, რამდენჯერ დაახველა სააკაშვილმა, როგორ გავიდა კუჭში სააკაშვილი და ა.შ.**

**ძნელი სათქმელია, სააკაშვილის პირადი წარმომადგენლისა და სპიკერის როლში ეკა ხერხეულიძე სოფო ჯაფარიძემ რატომ ჩაანაცვლა?** გარდა იმისა, რომ ჯაფარიძე ხერხეულიძეზე ახალგაზრდა და სიმპათიურია, კიდევ რა თვისებების გამო გამოარჩია იგი ნაცბელადმა? **იქნებ გიჟულის პირმშოს ჰგონია, რომ სოფო ჯაფარიძე, როგორც ნაცმოძრაობის „ახალი სახე“, საზოგადოებისათვის უფრო მისაღები და დამაჯერებელი იქნება?**

თუ სააკაშვილი ასე ფიქრობს, ძალიანაც შემცდარა, რადგან **ჯაფარიძე** არაფრით განსხვავდება ისეთი ოდიოზური და საზოგადოების მიერ მოყირჭებული ნაცქალებისაგან, როგორებიც, მაგალითად, იგივე **ხერხეულიძე, დეკანოიძე, წითლიძე და ბოკუჩავა** არიან. მეტიც, **სოფო ჯაფარიძე,** რომელიც ნაციონალურ მოძრაობაში **ნიკა მელიამ** ორი წლის წინათ მიიყვანა, პოლიტიკური თვალსაზრისით ბევრად უფრო დეგრადირებული ფიგურაა, ვიდრე ზემოხსენებული სულიერები, რომლებიც დიდი ხანია, ნაცსექტაში ოპერირებენ.

დიახ, **სოფო ჯაფარიძემ, როგორც ახალბედა პოლიტიკოსმა, საკუთარ თავს განაჩენი მაშინ გამოუტანა, როცა პოლიტიკური კარიერა ისეთ შავბნელ და სისხლიან ძალას დაუკავშირა, როგორიც მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელი ნაციონალური მოძრაობაა.** ამ პარტიაში გაწევრიანებით მან ავტომატურად გაიზიარა პოლიტიკური და მორალური პასუხისმგებლობა ყველა იმ ბოროტებასა და დანაშაულზე, რაც სააკაშვილის რეჟიმს საქართველოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ აქვს ჩადენილი.

მოკლედ რომ მოვჭრათ, **სოფო ჯაფარიძე** საკუთარი ნებით გახდა **კოლექტიური მეგისქარდავას ნაწილი** მაშინ, როცა **კოლექტიური მეგისქარდავა** ქართულ მართლმსაჯულებას და, რაც მთავარია, ქართველი ხალხის ცნობიერებას გასამართლებული ჰყავდა, როგორც კრიმინალური რეჟიმი.

ამდენად, შეუძლებელია, **სააკაშვილის ახალ სოფოს** სუფთა და გაუსვრელი პოლიტიკოსის რენომე ჰქონდეს საზოგადოების უდიდესი ნაწილის თვალში, რომლისთვისაც **ნაცი, ძველი იქნება თუ ახალი, მხოლოდ ბოროტებასთან, სიბინძურესთან, სისხლთან, ძალმომრეობასა და ანტიეროვნულობასთან ასოცირდება.**

იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ **სააკაშვილის ახალმა სოფომ** საკუთარი ფუნქციის შესრულება თავიდანვე პოლიტიკური თაღლითობითა და საზოგადოების დაცინვით დაიწყო. კერძოდ, მან, როგორც ნაცბელადის პირადმა წარმომადგენელმა და სპიკერმა, რამდენიმე დღის წინათ ბრიფინგზე განაცხადა:

> ***„მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ რთულია და სიცოცხლის შენარჩუნების ღონისძიებების საჭიროებამ სისტემური ფორმა მიიღო. სამედიცინო პერსონალი შიშობს, რომ შეიძლება, მდგომარეობა ვეღარ დაიჭირონ“.***

ე.ი. ჯაფარიძე ამბობს, რომ სააკაშვილი ძალიან ცუდად არის და შეიძლება, ექიმებმაც ვეღარ უშველონ, ანუ შეიძლება, მოკვდეს!

ახლა ნახეთ, რა განაცხადა **სააკაშვილის ახალმა სოფომ** იმავე ბრიფინგზე, ზუსტად წუთნახევარში მას შემდეგ, რაც თქვა, რომ სააკაშვილი ძალიან ცუდად არის და შეიძლება, ექიმებმა მისი სიცოცხლის შენარჩუნება ვეღარ შეძლონ:

> ***„გაიხსნება მიხეილ სააკაშვილის საზოგადოებრივი მისაღები. ის მზად არის თქვენთან დიალოგისთვის. მას ძალიან დიდი სურვილი აქვს, ჩვენს მოქალაქეებთან იყოს უშუალო კომუნიკაციაში და გელოდებით ყველას, ვისაც სურვილი გაქვთ, რომ მას მიაწვდინოთ ხმა, გაუზიაროთ თქვენი მოსაზრებები. ის აუცილებლად მიიღებს ყველას გზავნილს და ყველას გიპასუხებთ. საზოგადოებრივ მისაღებში მოსვლა ყველას შეეძლება. ყველას შეეძლება წერილის მოტანა, მოსაზრების გაზიარება, რასაც ჩვენი ადვოკატების მეშვეობით, მიხეილ სააკაშვილი ყოველდღიურად მიიღებს და ყოველდღიურად გასცემს ჩვენს მოქალაქეებს პასუხს. სულ რამდენიმე დღეში იქნება ოფისი მზად და დეტალებს გაგაგებინებთ“.***

მოკლედ, **სოფო ჯაფარიძე** გვეუბნება, რომ სააკაშვილი თან კვდება და თან მზად არის, ყოველდღიურად გაეცნოს და უპასუხოს მოქალაქეების ასეულობით წერილს, რომელსაც მისი სახელობის **„საზოგადოებრივ მისაღებში“** დატოვებენ!




## ეჰ, სააკაშვილის ახალო სოფო, როგორ ურცხვად და უნიჭოდ დაიწყე შენი ახალი ფუნქციების შესრულება!

## სააკაშვილს შეუძლია, „ვივამედის“ ლუქს-პალატაში სოფო ნიჟარაძის დედის მიერ მომზადებული საცივი თქვლიფოს, მაგრამ ქართველი საზოგადოება მისი ახალი სოფოს პირით გადმოფრქვეულ ტყუილებს არ ჭამს!

### თუ კვდება, მოქალაქეების წერილების წაკითხვისა და პასუხის გაცემის თავი საიდან აქვს? თუ მოქალაქეების წერილების წაკითხვისა და პასუხის გაცემის თავი აქვს, როგორღა კვდება?

ეჰ, **სააკაშვილის ახალო სოფო,** როგორ ურცხვად და უნიჭოდ დაიწყე შენი ახალი ფუნქციების შესრულება!

გასაგებია, რომ როგორც ნაცს, არაფრის გრცხვენია, მაგრამ **როგორც ქალსა და სამი შვილის დედას მაინც არ გრცხვენია, საზოგადოებას ასე უტიფრად უყურო თვალებში და უბადრუკი ტყუილები მიახალო სახეში?**

სააკაშვილს შეუძლია, „ვივამედის“ ლუქს-პალატაში **სოფო ნიჟარაძის** დედის მიერ მომზადებული საცივი თქვლიფოს, მაგრამ ქართველი საზოგადოება მისი **ახალი სოფოს** პირით გადმოფრქვეულ ტყუილებს არ ჭამს!

**ისე კი, ჯერ პირადად სააკაშვილი რა არის და მერე მისი პირადი წარმომადგენელი რაღა უნდა იყოს!**

ვხედავთ კიდეც, რაც არის!

***ჯაბა ხუბუა***

---

### კვირგვინოსნები



**ვაჟა ნაცვლიშვილი**
*ჟურნალისტი*

**სოფო ჯაფარიძისთვის** უთხოვია, **ჩემი წარმომადგენელი იყავი შინ და გარეთო.** ჰოდა, სოფომაც, როგორც უკვე **სააკაშვილის სპიკერმა,** თავისი პირველი პრესკონფერენცია გამართა — უნდა გავერთიანდეთ და საქართველო გაბრწყინდებაო. არც საქართველოს გაბრწყინების წინააღმდეგი ვარ, არც გაერთიანებისა და არც ამ სიმპათიური ახალგაზრდა ქალბატონს ვერჩი, მაგრამ, ზოგადად, უნდა ვთქვა, რომ **„ცივილური“,** თავის პირველ პრესკონფერენციაზე სამჯერ რომ ახსენა სპიკერმა, სხვაა, ხოლო **„ცივილიზებული“,** რომლის თქმაც ეწადა — სხვა. ისიც, ზოგადად, უნდა ვთქვა, რომ **„პოზიცია“ და „ოპოზიცია“** ერთმანეთის საპირისპიროდ არ გამოდგება — პოზიცია ოპოზიციასაც უნდა ჰქონდეს, **„ოპოზიციის“** საპირისპიროდ კი **„ხელისუფლება“** იხმარება. მარტო **სოფო ჯაფარიძემ** კი არა, ეს ყველაფერი ბევრმა სხვამაც არ იცის. მეც ხმას არ ამოვიღებდი, საქმე **ყოფილი პრეზიდენტის სპიკერს და მის წარმომადგენელს** რომ არ ეხებოდეს. თუ მომავალში ამას და სხვა ამისთანებს გაითვალისწინებს, ისეთივე ინტერესით დაველოდები **ქალბატონი სოფოს სპიჩებს შინ თუ გარეთ,** როგორც მის გამოსვლებს ვუყურებდი მედგიდის დამფუძნებლის როლში პანდემიისას *(გთხოვთ, გაითვალისწინოთ, პოსტს არავითარი კავშირი არა აქვს პოლიტიკასთან).*

„ფეისბუქი“



**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

ამერიკული „რუსული კანონი“ FARA-ს დახმარებით ისიც კი შევიტყვეთ, თუ როგორ იცავდა **ქვეყნის მეოთხე პრეზიდენტი ქვეყნის მესამე პრეზიდენტის** სიცოცხლეს, სულ რაღაც, **11 559 დოლარად.**

„იმედინიუსი“



**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*

**სოფო ჯაფარიძეს** ვთხოვე, **გახდეს ჩემი წარმომადგენელი** შინ თუ გარეთ — **ვიდრე ვარ რუსული რეჟიმის ტყვეობაში.**

„ახალი თაობა“



## პეტრე მამრაძე:

# ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის დამყარება საქართველოსათვის ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენაა!

***როგორც აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ოფიციალური დოკუმენტებიდან გახდა ცნობილი, საქართველოს მეოთხე პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის მიერ პატიმარ სააკაშვილის მხარდასაჭერად შედგენილი პეტიციის გაპიარება ნაცბელადის ლობისტებმა 11 500 დოლარით დააფინანსეს. ამ ფონზე ბევრს გაუჩნდა მოლოდინი, რომ შესაძლოა, მარგველაშვილმა სააკაშვილის მიერ დაანონსებულ „დიდ ოპოზიციურ გაერთიანებაშიც“ ამოყოს თავი, ხაბეიშვილისა და ჭიჭე ვაშაძის გვერდით. ამ და სხვა საკითხების შესახებ საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრს, „მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელს პეტრე მამრაძეს ვესაუბრებით:***

— იქიდან გამომდინარე, რომ **გიორგი მარგველაშვილს** ჯერ კიდევ მაშინ ვაკვირდებოდი, როცა **ზურაბ ჟვანიას** ლანდივით დასდევდა და მისი არაფორმალური მრჩევლის ფუნქციას ასრულებდა, შემიძლია, თამამად განვაცხადო — **მას არავითარი მრწამსი და პრინციპები არ გააჩნია, ყოველთვის მხოლოდ პირად გამორჩენაზე ფიქრობს!** აკი, თავად განაცხადა — **პლასტილინის კაცი ვარ და ყველანაირ ვითარებას მოვერგებიო!**

**— ფაქტია, რომ ეს „პლასტილინის კაცი“ „ქართულ ოცნებას“ ჯერ განათლების მინისტრად ეჯდა, მერე კი — საქართველოს პრეზიდენტად!**

— დიახ, მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ივანიშვილის ნდობა მოეპოვებინა! სხვათაშორის, სწორედ მაშინ, როცა მარგველაშვილი განათლების მინისტრისა და ვიცე-პრემიერის პოსტს იკავებდა, „ქართული ოცნების“ კოალიციაში შემავალი პოლიტიკოსები, რომლებიც მას ჟვანიას დროიდან მოყოლებული იცნობდნენ, კულუარებში ქირქილებდნენ — **მარგველა მინისტრი გახდა, ე.ი. საქართველოს დედა აღარ ჰყავსო!**

**— თქვენი აზრით, მოსალოდნელია თუ არა მარგველაშვილის გაწევრიანება ნაციონალურ მოძრაობაში ან მასთან დაკავშირებულ რაიმე პოლიტიკურ გაერთიანებაში?**

— როგორც გითხარით, პირადი სარგებლის მისაღებად იგი ყველაფერზეა წამსვლელი და ვერაფერს გამოვრიცხავთ, მაგრამ ერთი რამ ცხადია —

**ნებისმიერი პარტია თუ პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც მარგველაშვილს** ნებში ხმების მაქსიმუმ 10-12 პროცენტს მოუტანს, ეს არის **მიხეილ სააკაშვილი,** რომლის გარეშეც პარტიის რეიტინგი ნულის ტოლია!

**— სხვათაშორის, სააკაშვილს ახალი სპიკერი ჰყავს — სოფო ჯაფარიძე, რომელსაც ნაცბელადის აზრებისა და იდეების საჯაროდ გახმოვანება დაევალა!**

— რამდენიმე დღით საქართველოდან ვიყავი წასული და როცა დავბრუნდი, თბილისში ახალი ანეკდოტი დამხვდა — **როდის დაორსულდება სოფო ჯაფარიძე და რამდენ ბინას აჩუქებს მას სააკაშვილი ბავშვის გაჩენის შემდეგ?!** სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

სამწუხაროდ, სააკაშვილი ჯერ კიდევ ახერხებს, ახალ-ახალი ადამიანები ჩაითრიოს იმ მარაზმში, რომელშიც თავად იმყოფება!

**— რას იტყვით იმასთან დაკავშირებით, რომ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის პეკინში ვიზიტის კვალდაკვალ, საქართველო და ჩინეთი ურთიერთობის ახალ და უფრო ღრმა ფაზაში გადავიდნენ, რასაც სტრატეგიული პარტნიორობა ჰქვია?**

— ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის დამყარება საქართველოსათვის ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან მსოფლიო პოლიტიკასა და ეკონომიკაში ჩინეთის როლი სულ უფრო იზრდება და დომინანტური ხდება. გამოჩენილი ამერიკელი მეცნიერები — **გრემი ალისონი** და სხვები ჯერ კიდევ წლების წინათ წერდნენ, რომ ჩინეთმა ეკონომიკის მოცულობით ამერიკის შეერთებულ შტატებს გაუსწრო.

აქვე აღვნიშნოთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოს ეკონომიკაში არასოდეს ჩაუდია ისეთი სერიოზული ინვესტიციები, როგორიც ორ ქვეყანას შორის სტრატეგიულ პარტნიორობას შეეფერება, ჩინეთს კი ამის გაკეთება შეუძლია.

**— ქართული ოპოზიციის ცალკეული წარმომადგენლები და ე.წ. ექსპერტები საქართველოსა და ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორობის გამო შეშფოთებას გამოხატავენ და აცხადებენ, რომ ეს, ფაქტობრივად, ქვეყნის საგარეო კურსის ცვლილებას ნიშნავს, რადგან შეუძლებელია, ამერიკა და ჩინეთი ერთდროულად გყავდეს სტრატეგიულ პარტნიორებად. იზიარებთ ამ მოსაზრებას?**

— ოპოზიციონერი პოლიტიკოსები და ე.წ. ექსპერტები, რომლებიც მსგავს სისულელეს ლაპარაკობენ, ან აბსოლუტური უვიცები არიან, ან — **სააკაშვილისა და მისი ბანდის პროპაგანდონები!** სინამდვილეში, ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის დაწყება არანაირად არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო უარს ამბობს პროდასავლურ კურსზე! აბა, ნახეთ, რამხელა სავაჭრო ბრუნვა აქვთ ჩინეთთან აშშ-სა და ევროპის ქვეყნებს, შეხედეთ, როგორი მოცულობითია ჩინეთის წილი მსოფლიოს სატრანსპორტო ჰაბებში... და რა, ამის გამო ამერიკამ პროდასავლური კურსიდან გადაუხვია ან ევროკავშირი პროჩინური გახდა?

სხვათაშორის, როცა ამერიკასთან სტრატეგიულ პარტნიორობაზეა საუბარი, ერთი ამბავი მახსენდება: 2008 წელს რუსული ტანკები თბილისისაკენ რომ მოდიოდნენ, დავით ბაქრაძე მეთიუ ბრაიზას ეცა — ჩვენ ხომ მოკავშირეები ვართო, მაგრამ ბრაიზამ ცივად უპასუხა — **ჩვენ მოკავშირეები არა ვართ და აშშ-ს თქვენი დაცვის არავითარი ვალდებულება არ გააჩნიაო!** ამის შემდეგ იყო, სასოწარკვეთილმა ბაქრაძემ საქართველოს მოსახლეობას რომ მოუწოდა — რუსულ ტანკებს ტაფებითა და ჩანგლებით გაუწიეთ წინააღმდეგობაო!

**მოკლედ, ჩვენ კი ვამბობთ, რომ ამერიკა საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია, მაგრამ საკითხავია — თავად ამერიკა მიგვიჩნევს სტრატეგიულ პარტნიორად?!**

*ესაუბრა*
**ჯაბა ხუბუა**






***ცნობილი ჟურნალისტი და კონფლიქტოლოგი, პროფესორი ლალი მოროშკინა, რომელიც სულ ახლახან მოსკოვში ჩავიდა და რუსული ტელეკომპანია „ზვეზდას“ პოლიტიკურ თოქ-შოუში მთავარი სტუმრის სტატუსით წარდგა, აცხადებს, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის საინფორმაციო კედელია აღმართული, რაც სერიოზულად უშლის ხელს ორი ქვეყნის ურთიერთობის ნორმალიზებას:***

— რუსული ტელეარხების პოლიტიკურ თოქ-შოუებში ხშირად მიმიღია მონაწილეობა და ჩემს სათქმელს ყოველთვის პირდაპირ ვამბობდი, არასოდეს მოვრიდებივარ საუბარს რუსეთსა და საქართველოს შორის არსებულ პრობლემებზე. რუსული აუდიტორიის წინაშე ყოველთვის ღიად ვსაუბრობდი იმაზეც, რომ რუსულ-ქართულ ურთიერთობებში არსებული სირთულეების გადაჭრას რუსული მხარე უშლიდა ხელს საქართველოსთან ცალმხრივი სავიზო რეჟიმის დაწესებით, პირდაპირი ფრენების აკრძალვით და ა.შ.

მიმდინარე წლის მარტში, როცა თბილისში ე.წ. რუსული კანონის საწინააღმდეგო აქციები იმართებოდა, რუსეთის ერთ-ერთი ტელეარხის ეთერში ჩართვა მქონდა და მკითხეს — **რატომ არ ესვრის თქვენი ხელისუფლება მომიტინგეებს, რომლებიც პოლიციას „მოლოტოვის კოქტეილებს“ უშენენო?** საკმაოდ მწარედ ვუპასუხე — **ეს თქვენი ხელწერაა, ჩვენ კი პრობლემებს მშვიდობიანად ვაგვარებთ-მეთქი!**

სიმართლე გითხრათ, ამის შემდეგ აღარც მოველოდი, რომელიმე რუსული ტელეარხის ეთერში თუ მიმიწვევდნენ, მაგრამ **„ზვეზდას“ თოქ-შოუში** მთავარ სტუმრად დამიძახეს და უარი არ მითქვამს, ოღონდ ჩემი პირობები წინასწარ გავაცანი.

**— რა პირობები?**

— ვუთხარი: **თუ მშვიდობიანი და კონსტრუქციული ეთერი არ იქნება, იცოდეთ, რომ სტუდიაში ბრძოლა არამხოლოდ სიტყვით, არამედ ფიზიკურადაც შემიძლია** და ამის მაგალითები შეგიძლიათ, ინტერნეტში მოიძიოთ-მეთქი! ვერ ვიტყვი, რომ ჩემმა ნათქვამმა შეაშინა, მაგრამ გადაცემის წამყვანებიც და რუსი პოლიტოლოგებიც, რომლებიც თოქ-შოუში მონაწილეობდნენ, კეთილგანწყობით მომიდგნენ, საშუალება მომცეს, სათქმელი ბოლომდე მეთქვა, შემექო ჩვენი პრემიერისა და ხელისუფლების პოლიტიკა, მესაუბრა რუსეთ-საქართველოს პრობლემურ ურთიერთობებზე და ა.შ.

**— ძირითადად მაინც რაზე გაამახვილეთ ყურადღება რუსულ პოლიტიკურ თოქ-შოუში გამოსვლისას?**

— ბევრ აქტუალურ თემაზე ვისაუბრე, ერთ-ერთი ძირითადი აქცენტი კი იმაზე გავაკეთე, რომ დედამიწაზე 4 ადგილი არსებობს, რომელიც ღვთისმშობლის წილხვედრია — **საქართველო, ათონის მთა, კიევ-პეჩორის ლავრა და დივეევოს დედათა მონასტერი ნიჟნი-ნოვგოროდში.** აღვნიშნე, რომ კიევ-პეჩორის ლავრის დაცემის შემდეგ რუსეთსა და საქართველოს კიდევ უფრო მეტად მართებთ, ერთმანეთთან ურთიერთობის დალაგებაზე იზრუნონ და გაუფრთხილდნენ ქრისტიანულ ფასეულობებს, რომლებიც ორივე ქვეყანას საერთო აქვს.

**— კიევ-პეჩორის ლავრის დაცემაში რას გულისხმობთ?**

— მხედველობაში მაქვს ზელენსკის ხელისუფლების ამაზრზენი და მკრეხელური მოქმედე

## „ზელენსკის ხელისუფლებას ცოცხალი სააკაშვილი არ სჭირდება და უკრაინისათვის გადაცემის შემთხვევაში მის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე ემუქრება!“

### კვირგვინოსნები

**ნიკოლაი მალომუჟი**
*უკრაინის საგარეო დაზვერვის სამსახურის ყოფილი თავმჯდომარე*



ჩვენ **დაზვერვისა და კონტრდაზვერვის კადრების შერჩევა** გვევალებოდა. ამ სიაში აღმოჩნდნენ **მიხეილ სააკაშვილი და პეტრო პოროშენკო.** დიახ, სააკაშვილი განიხილებოდა დაზვერვის მომავალ თანამშრომლად. **მასა და პოროშენკოსთან უკრაინული სპეცსამსახურები მუშაობდნენ, რომლებიც „კაგებეს“ ექვემდებარებოდნენ.** საბჭოთა კავშირი დაშლის პირას იყო, ამიტომაც ისინი **უკრაინის უშიშროების სამსახურმა გადაიბარა.** სააკაშვილმა გასაუბრება გაიარა, რეკომენდაციები მიიღო და საქართველოში გაემგზავრა.

„კვირის პალიტრა“

**მირიან მირიანაშვილი**
*პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარე*



**არახამიას** უნდოდა და ახლაც უნდა **ნაციონალურ მოძრაობაზე კონტროლის დამყარება.** ამჟამად იმის სურვილი აქვს, რომ **იყოს პარტიის რუხი კარდინალი.** როცა **არახამია** საქართველოში უზომოდ გააქტიურდა, ის ამერიკელებმა შეაჩერეს. ამიტომაც ამ ეტაპზე **არახამია** უფრო ჩრდილშია და **გვარამიას** ალაპარაკებს.

„ახალი თაობა“

**მიხეილ ყაველაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



მე ვარ ქართველი, აქ დავიბადე და **დავიცავ იმ პრინციპებს, რომლებიც აქამდე მოიტანეს ჩემმა წინაპრებმა,** ზოგი შეეწირა კიდეც მათ ჩვენამდე მოღწევას. **ევროპელობა არ ნიშნავს პრინციპებზე უარის თქმას.**

„POSTTV“

# ლალი მოროშკინა:

# ზელენსკი და მისი ბანდა გრძნობენ, რომ მალე გაქცევა მოუწევთ, უკრაინის ტერიტორიის დიდ ნაწილს კი რუსეთი და პოლონეთი გადაინაწილებენ!



ბა, როცა კიევ-პეჩორის ლავრაში სამხედრო-პოლიციური სპეცოპერაცია ჩაატარა და სამღვდელოება დააპატიმრა!

**— რუსული ტელეარხის ეთერში იმაზე არ გაგიმახვილებიათ ყურადღება, რომ რუსეთის ავიაციამ ოდესაში ფერისცვალების მონასტერი დაბომბა?**

— ოდესაში ეკლესიის დაბომბვა 2023 წლის 23 ივლისს მოხდა, მე კი „ზვეზდას“ ეთერში 21 ივლისს გამოვედი და, შესაბამისად, ამ ფაქტის შესახებ ვერ ვისაუბრებდი. ზოგადად, ომი სწორედ იმიტომ არის საშინელება, რომ რაკეტა ეკლესიას, საავადმყოფოსა და საბავშვო ბაღს ვერ არჩევს... **რუსული ტელეარხის ეთერში ჩვენი 100 000 მოწამის მაგალითიც გავაჟღერე და სტუდიაში დამსწრე სტუდენტებს მოვუყევი, როგორ გაწირეს თავი ქართველებმა, რომლებმაც ღვთისმშობლის ხატს ფეხი არ დააბიჯეს.** ვისაუბრე იმაზეც, რომ ქართველები მცირერიცხოვანი, მაგრამ თავისუფლებისმოყვარე ერი ვართ და შეგვიძლია, თუნდაც 3-დღიანი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მოვკვდეთ, როგორც ეს ლერმონტოვის პოემა „მწირის“ გმირმა გააკეთა.

**სტუდიაში დამსწრე აუდიტორიამ გადაცემის დასასრულ ტაში დამიკრა და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რაოდენ მნიშვნელოვანია რუსეთსა და საქართველოს შორის აღმართული საინფორმაციო კედლის განგრევა.**

საქართველოდან ბევრი დადის რუსეთში სხვადასხვა მიზნით, ფულს შოულობენ, რესტორნებში გრიალებენ, შავ ხიზილალას მიირთმევენ და დროს ატარებენ, მაგრამ რუსულ ტელეეთერებში გამოჩენასა და ადგილობრივ აუდიტორიასთან საუბარს ვერ ბედავენ, არადა, ეს აუცილებელია, რათა რუსულ-ქართულ ურთიერთობებში სასიკეთო გარდატეხა მოხდეს.

**— მოსკოვში ყოფნისას სოციალურ ქსელში დაწერეთ, რომ ბევრი ქართველი, ვინც დღედაღამ რუსეთს აგინებს, იმავე რუსეთში ჩუმ-ჩუმად დაიარება და იქ ნაშოვნი ფულით ქართულ ოპოზიციას აფინანსებს. შეგიძლიათ, უფრო კონკრეტულად გვესაუბროთ ამის შესახებ?**

— საკუთარი თვალით ვნახე, რომ რუსეთში სავაჭრო ობიექტები სავსეა იმ ქართული კომპანიების ღვინითა და სხვა სპირტიანი სასმელებით, რომელთა მფლობელებიც ნაცბანდისადმი სიმპათიებს არ მალავენ და აფინანსებენ კიდეც ქართული რადიკალური ოპოზიციის ვითომ ანტირუსულ, სინამდვილეში კი, ანტიქართულ და ანტისახელმწიფოებრივ აქტივობებს. არაფერს ვამბობ ნაცების ერთ-ერთი მსხვილი დამფინანსებლის — **თემურ ჭყონიას** მიერ საქართველოში წარმოებულ „კოკა-კოლაზე“, რომელსაც რუსული ბაზარი, როგორც იტყვიან, მიაქვს!

მინდა, ვუთხრა იმ ქართველებს, რომლებსაც პროდასავლელებად მოაქვთ თავი და სხვებისათვის პრორუსის იარლიყის მიწებებით არიან დაკავებული: **ბარეწრები ხართ, რადგან ინტენსიურად დადიხართ მოსკოვსა და პეტერბურგში, ქორწილებსა და ნათლობებში ქეიფობთ, რუსული სუპერმარკეტები თქვენი პროდუქციით გაქვთ გაძეძგილი, ასტრახანის შავი ხიზილალითა და წითელი თევზით ძღებით, პენტჰაუსებში ცხოვრობთ, რუსულ აბანოებში ნებივრობთ და ყოველივე ამის ფონზე, საქართველოში „პროდასავლურ ოპოზიციას“ აფინანსებთ!**

ამავე კატეგორიას მიეკუთვნებიან ქართული შოუ-ბიზნესის მთელი რიგი წარმომადგენლები, რომლებიც დღე და ღამე რუსეთს აგინებენ, მერე კი იმავე რუსეთში დაიძურწებიან და იხვეწებიან — მოსკოვსა და პეტერბურგში თუ არა, პატარა ქალაქებში ან რეგიონებში მაინც ჩაგვატარებინეთ კონცერტებიო! დიდი ქუდები აქვთ ჩამოფხატული და სახეებს მალავენ, რომ რუსეთის აეროპორტებში ვინმემ არ იცნოს, მაგრამ უკანალებს რას უზამთ, თქვე სირაქლემებო!

**— მოსკოვში სტუმრობისას დაინტერესდით თუ არა რიგითი რუსი მოქალაქეების პოზიციით უკრაინის ომთან დაკავშირებით?**

## – რუს დედებს უკრაინის ფრონტზე თავიანთი შვილების გაშვება არ უნდათ და ეს ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიმჩნევა – მოსკოვიც და სხვა

## დიდი ქალაქებიც, ფაქტობრივად, დაცლილია ახალგაზრდებისაგან, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში გადაიხვეწნენ, რათა ომში მონაწილეობა აირიდონ!

მიუხედავად იმისა, რომ რესტორნები და კაფე-ბარები მუშაობენ და კულტურულ-გასართობი ღონისძიებებიც ტარდება, **რუსეთში აშკარად იგრძნობა ის დიდი ტრაგიზმი, რომელიც გამოწვეულია ორი სლავი ძმის — რუსისა და უკრაინელის მიერ ერთმანეთის ხოცვით!**

**— როგორ ფიქრობთ, რა მიზნებს ემსახურება უკრაინის ხელისუფლების ბოლოდროინდელი ნაბიჯები და განცხადებები, რომლებიც საქართველოსთან ურთიერთობის უკიდურესად დაძაბვისაკენ არის მიმართული?**

— იმ ფონზე, როცა უკრაინის კონტრშეტევა სრულად ჩავარდა, **ზელენსკი და მისი ბანდა გრძნობენ, რომ მალე გაქცევა მოუწევთ, უკრაინის ტერიტორიის დიდ ნაწილს კი რუსეთი და პოლონეთი გადაინაწილებენ!** რაც შეეხება საქართველოსადმი დამოკიდებულებას, **ზელენსკი, არახამია და ძმანი მათნი** იმაზე არიან გამწარებული, რომ ვერ განახორციელეს გეგმა, რასაც სააკაშვილის საქართველოში შემოპარება ემსახურებოდა!

**— კერძოდ?**

— ზელენსკის ბანდის მიზანი იყო, საქართველოს სახით ჰქონოდა სათადარიგო ტერიტორია, სადაც უკრაინიდან გაქცევის შემდეგ პოლიტიკურ, გასართობ და ფულის საკეთებელ პოლიგონს მოიწყობდა. სააკაშვილიც სწორედ იმიტომ ჩასვეს ტრაილერში და გამოუშვეს თბილისში, რომ ხელისუფლება დაემხო და ზელენსკის ბანდისათვის ველი მოესუფთავებინა, მაგრამ სპეცოპერაცია ჩავარდა და ახლა სწორედ ამის გამო ცდილობენ საქართველოს ხელისუფლებაზე შურისძიებას!

გგონიათ, ზელენსკის მართლა უკრაინის მოქალაქე სააკაშვილის ბედი ადარდებს და ამიტომ ითხოვს ასე კატეგორიულად მის გადაცემას? არა, **ზელენსკის ბანდას იმის ეშინია, სააკაშვილი არ ალაპარაკდეს და არ გათქვას, რა მიზნით გამოუშვეს საქართველოში!**

მეტიც, ზელენსკის ხელისუფლებას ცოცხალი სააკაშვილი არ სჭირდება და უკრაინისათვის გადაცემის შემთხვევაში მის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე ემუქრება!

**— მერედა, ამ საფრთხეს თავად სააკაშვილი ვერ გრძნობს?**

— სააკაშვილმა თვითონაც კარგად იცის, რომ ყველაზე უსაფრთხო ადგილი, სადაც მისი სიცოცხლე დაცული იქნება, ქართული ციხეა! **ხვალვე რომ გაათავისუფლონ, დარწმუნებული ვარ, საქართველოდან ფეხს არ გაადგამს, რადგან სხვაგან ყველგან განწირულია — უკრაინის ხელისუფლებას და ამერიკას ცოცხალი არ სჭირდებათ, ევროპას კი ცოცხალიც და მკვდარიც ფეხებზე ჰკიდია!**

ვფიქრობ, სააკაშვილი მალე დაიწყებს საქართველოს ხელისუფლებასთან შუამავლების გაგზავნას, რათა ე.წ. ელექტრონული სამაჯურით გათავისუფლების შესახებ შეთანხმებას მიაღწიოს. რა გამოუვა, ეს სხვა საკითხია, მაგრამ მცდელობა ნამდვილად ექნება!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

## „ზელენსკის ბანდას ეშინია, სააკაშვილმა არ გათქვას, რა მიზნით გამოუშვეს საქართველოში!“



## „ვფიქრობ, სააკაშვილი მალე დაიწყებს საქართველოს ხელისუფლებასთან შუამავლების გაგზავნას, რათა ე.წ. ელექტრონული სამაჯურით გათავისუფლების შესახებ შეთანხმებას მიაღწიოს!“

## კვირგვინოსნები

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*



**დავით არახამია** თუ ამაყობს ქართული წარმომავლობითა და ფესვებით, სულ მცირე, უნდა იცოდეს, რომ **საქართველოსთან ბრძოლა არცერთ ქართველს არ მოუგია.**

**ხაბეიშვილს ვეტყვი,** რომ საკეტი, რომლის გასაღებიც მათ აქვთ, დიდი ხანია, ქართველმა ხალხმა გამოცვალა, **ვაშაძეს კი ვეტყვი,** რომ მძლავრი დაგეგმვის ფაზაში რამე გადატვირთვა არ მოუვიდეს.

„პირველი არხი“

**ელიშერ გვენეტაძე**
*ისტორიის დოქტორი, პროფესორი*



არახამია **ზელენსკის ხროვის წარმომადგენელია.** წარმოიდგინეთ, როგორ უმძიმეს დღეშია ის ხალხი, რომლის ხელისუფლებაშიც **არახამიას მსგავსნი ტივტივებენ.** კლოუნები და მასხარები შეიძლება უკრაინის ხელისუფლებაში მოვიდნენ, მაგრამ **საქართველოში ამას ვერ ეღირსებიან.**

„საერთო გაზეთი“

**ანზორ აბრალავა**
*ანალიტიკოსი, ყოფილი პარლამენტარი*



ოპოზიციიდან ზოგი **რუსეთის აგენტია,** ზოგი კი თავისი უსინდისო ქმედებებით **რუსეთის საქმეს აკეთებს.**

„ახალი თაობა“

**გიორგი ამილახვარი**
*განათლებისა და მეცნიერების მინისტრი*



საქართველოში ვერანაირი **ოკუპანტის უნივერსიტეტი ვერ გაიხსნება,** ეს არ შედის ქართველი საზოგადოებისა და განათლების ინტერესებში.

„რეზონანსი“

# მოგელანდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად



# ევოლუციის ხარვეზები






ვამჩნევ და მსოფლიო დონის მეცნიერებიც მიდასტურებენ, რომ დედამიწის ზურგზე ყველა წვრილმანი თუ მსხვილმანი ვითარდება — მეცნიერება, ტექნიკა, კულტურა, სოფლის მეურნეობა... ბოლო-ბოლო, ადამიანი შეიცვალა, ტვინის უჯრედები გაუფართოვდა, **თუმცა, მაინტერესებს, ფოტოებზე გამოსახული წარმონაქმნების შემთხვევაში ევოლუცია რატომ გაჩერდა?**

არა, ხალხო, მე ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ გავიგე, რატომ არა აქვს ცას კიბე, როგორ დებენ ვაშლის კანფეტში შიგთავსს, რატომ იყო სააკაშვილი დემოკრატიის შუქურა, რატომ შევიდა **კურკუმალის** ვიოლინო **ჭიჭეს** როიალში, მაგრამ ეს ვერ გავიგე, **ამათ შემთხვევაში დრო რატომ გაიყინა, ფიზიონომიურად თუ გონებრივად რატომ არაფერი შეიცვალა?** კარგი, გარეგნული თვალსაზრისით ბუნებამ, ნაცვლად იმისა, რომ ჩვენს ერამდე გაეჩინა, მე-20 საუკუნეში შვა, მაგრამ გონებრივად რატომ აღარ წაჰკრა ხელი?

☺

**როგორც ჩანს, ევოლუციასაც აქვს თავისი ხარვეზები, ანუ ბიოლოგიური პოპულაციების მემკვიდრეობითი ცვალებადობა არ მიმდინარეობს ღვთისგან დადგენილი წესებით.**

ეჰ... რამდენიმე მეცნიერმა კი ამიხსნა, მაგას, შვილო, პოპულაციის შიგნით **გენეტიკური კოდის გაიშვიათება** იწვევსო, მაგრამ მაინც ვერაფერი გავიგე!

# მტკაველ-მტკაველ

მართალია, ჯერ წელსზემოთ გაშიშვლდა, მაგრამ **ჩალაძეს** მაინც დაურეკეთ და უთხარით — **ეს სადაური წესია-თქვა? სახელსა და ავტორიტეტს რო გირყევს და გირყვნის, ვერ ხედავ-თქვა?**

☺

ისე კი, წუხელ არ მეძინა... ან კი რა დამაძინებდა? მთელი ღამე ვფიქრობდი, ისტორიულ წყაროებს ვიკვლევდი, წარსულს ვაკვირდებოდი და, როგორც იქნა, მივხვდი — **ამ ქალში რომელიღაც რომაელი სენატორის სულია ჩასახლებული... უფრო სწორად, წინა ცხოვრებაში თვითონ იყო რომაელი სენატორი, დაახლოებით იულიუს კეისრისა და პომპეუსის პერიოდში.**

მე ზედმიწევნით შევისწავლე **გიულ-დედულის** მიხვრა-მოხვრა, ჟესტიკულაცია, სიტყვა-პასუხი, მარჯვენა ხელის თითების მოძრაობა... **აი, ფოტოზე ნახეთ, რომაელმა სენატორებმა და კეისრებმაც ზუსტად ეგრე იცოდნენ, როდესაც სენატში შედიოდნენ, კართან მოქალაქეები ხვდებოდნენ, ზოგი რას ითხოვდა, ზოგი — რას, ისინი კი მარჯვენა ხელს ზუსტად ასე სწევდნენ და თითების მოძრაობით ანიშნებდნენ — გვკიდიხართო!**

არადა, თქვენ რა, დარწმუნებული ხართ, რომ მიშას დედა წინა ცხოვრებაში **გაიუს გიულიუს დედულიუსი** არ იყო? იქნებ კლეოპატრაც იყო?

☺

და მაინც, ჯერჯერობით წელს ზემოთ გატატრაყუნავდა, ხალხო, მხოლოდ წელსზემოთ! **წელსქვემოთამდე რაღა დარჩა? სულ რაღაც ერთი მტკაველი!**

# კაცია - მარგველაშვილი?



ხელები კი არ გაასავსავა — **რას ამბობთ, როგორ გეკადრებათ, მე და ქრთამიო? თანაც ვისგან, ქვეყნის დამაქცევარ სააკაშვილისგანო? არა, 11 ათას 500 დოლარზე რანაირად გავიყიდებოდი, ეგ ხო ჩემთვის ცოტააო?!**

მე თუ მკითხავთ, ამნაირი **ცოტა კაცისთვის** ეგ თანხა ბევრიც არი, ან ეგ რაში მისცეს, აქციებზე რომ დაეთრეოდა გაგლეჯილი მთვრალი და ოპოზიციური უბორნიებიდან უნიჭო განცხადებებს აკეთებდა?

☺

იცით, ეს **ცოტა კაცი** ღალატისა და სულის წაწყმედის გზას როდის დაადგა? 2014 წლის 6 ივნისს, გაპრეზიდენტებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, როცა უკრაინაში ჩაეთრა, მაიდანზე დაღუპულებს პატივი მიაგო და მიხეილ სააკაშვილსაც შეხვდა. მერე სააკაშვილის შეწყალება უნდოდა, ვერ გაბედა, როგორც მისი შემდგომი ქალი ვერ რისკავს!

**ვიცოდით, რომ ნაცებში დაძვრებოდა, განა არ ვიცოდით? სანამ ეს საკუთარ ქვეყანას დოლარებზე ახურდავებდა, ამისი ცოლი წუწუნებდა — მშივრები ვართ, სუპიც კი გვენატრებაო... თურმე, უჭირთ კი არა, ფული სარეცხის თოკზე აქვთ გაფენილი.** თქვენ დაიჯერებთ, რომ ამას მარტო ოფიციალური გასამრჯელო აქვს აღებული? ამიტომაც შეცბუნდა — ეგრე ცოტაო? თუ ავიღებდი, ბარემაც ბევრს ავიღებდიო! აიღებდა, რატომაც არ აიღებდა — ჭკუა დაუშლიდა თუ თავადიშვილობა?!

☺

პრეზიდენტობის კანდიდატი იყო, არ ვარგოდა — ბიძინა ივანიშვილი ხელით დაათრევდა!

გუშინ იყო თუ გუშინწინ, **კურკუმალ ვაითმა** ამაყად განაცხადა — მარგველაშვილთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებ, თუ ჩვენთან მოვა, უფრო დიდ პლატფორმას შევქმნით და ბიძინა ივანიშვილს იოლად დავამარცხებთო.

**ამათი დამარცხებული ბიძინა ივანიშვილი არ გაიშვა ჭორვილის გადასახვევამდე, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის დაბანილ-გაპატიოსნებულს მისი დამარცხების სურვილი რომ გაუჩნდება, ის კაცია?**

კაცი არა, შაშა, კოლა და თემურ აკოფოვი კიდე!!!

# ბნელ-ნოდარას მორიგი დუპლეტობანი



**ბნელ-ნოდარა** წუხს — დედამ და მამამ **ბერა** ქონების გარეშე დატოვესო... მოსთქვამს, განიცდის, იტანჯება — როგორ შეიძლება, მშობლები შვილს ასე მოექცნენო და გამომძიებელ-ჟურნალისტს სტყორცნის ჭორვილაში — უცილობლად დაადგინე, რატომ გადაიფორმა **ეკატერინე ხვედელიძემ** ბერას კუთვნილი ქონებაო... **თან ისე გაარკვიე, რომე ყოველ წინადადებაში იგრძნობოდეს ვიშვიში, ვაება და ტრაგიკულობაო.**

გამომძიებელ ჟურნალისტსაც გაუდია მხარზე მიკროფონი და ბატი ტასიკოსავით გაჰყოლია ჭორვილის მოასფალტებულ გზასა. ჭორვილაში გამვლელები შეუჩერებია და უკითხავს — **ბოლო დროს ეკატერინე ხვედელიძეზე 7 ნაკვეთი გადაფორმდა და ხომ არ იცით, რატომო?** როგორც წესი, ყველა პასუხობდა, არ ვიცითო და მხრების აჩეჩვით მიანიშნებდნენ — **წადი, შვილო, გაიარე, ფისი ქენი, დაიძინე, მეტი საქმე არ გაქვსო?**

☺

სტუდიაში დაბრუნებული გამომძიებელ-ჟურნალისტი **ბნელ-ნოდარას** უყვება — **ბიძინა ივანიშვილს რომ ხელოვნების ნიმუშები აქვს სახლში, ეგ სუ ასლებია, ნამდვილი არც ერთი არ არიო.** არც მტკიცებულება, არც ექსპერტების დასკვნა, არც ფაქტი, არც არაფერი, სუ ასლებიაო, მორჩა და გათავდაო, ეგ სახლში ორიგინალებს არ ინახავსო. აქ **ბნელ-ნოდარამ** მიაკომენტარა — **ბიძინა ივანიშვილი ხელოვნების მაგ ნიმუშებს მუზეუმში რომ გამოფენდეს, უამრავ ტურისტს მოიზიდავდა, მაგრამ რად გინდა, წუწკობსო...** ის კი აღარ უთქვამს, მისი ბელადის ზეობის ხანაში მუზეუმებიდან შედევრები რომ გაზიდეს, კაბინეტებშიც დაიკიდეს და ზოგი კიდევ სამუდამოდ გააქრეს.

☺

გამომძიებელ-ჟურნალისტმა ისიც დაადგინა, რომ **ბიძინა ივანიშვილი** თავისი 7 მილიარდიდან 5 მილიარდს ნაღდი ფულით სახლში ინახავს. მიწის ქვეშ საწყობი აქვს აშენებული და „პაჩკები“ იქ ულაგია მუყაოს ყუთებში... **პერიოდულად, როცა ფული ობის სუნს აუშვებს, ამ ყუთებს მზეზე გამოატანინებს და დოლარებს სარეცხის თოკზე გააფენინებს ხოლმე... როცა ერთ კვირაში კარგად შეფიცხდება, ხელახლა გადაათვლევინებს, ისევ ყუთებში ჩააწყობინებს და საწყობში დააბრუნებინებს ხოლმე...** დამთვლელებს არ ენდობა, თვითონაც გადაითვლის ხოლმე... როგორც მისი ყოფილი ადვოკატი **ყიფიანი** ამტკიცებს, ერთხელ სარეცხის თოკზე გაფენა ვერ მოასწრეს, ეზოში გაშალეს და ფიწლებით გადაატრიალ-გადმაატრიალეს.

მა რააააა... მა ამდენი ფულის ქეშად შენახვა თქვენ იოლი გგონიათო? — დასძინა ხვნეშით **ბნელ-ნოდარამ!**

შარშან თუ შარშანწინ **სააკაშვილი** იძახდა — ბიძინა სოლოლაკის სასახლის გამოქვაბულში 800 ათას დოლარს ინახავს და ეს დანამდვილებით ვიციო. რამდენჯერმე **კურკუმალა ვაითი** მიხტომია — უნდა წავართვაო, მაგრამ პოლიციას არ მიუშვია.

☺

მოკლედ, ჭორვილაში ბერას ბრაზილიიდან **ეკატერინე ხვედელიძისთვის** 7 ნაკვეთი გადმოუფორმებია და ამიტომაც წუხს **ბნელ-ნოდარა** — რა იყო, ხალხო, ბიჭი აღარ ჩამოვიდოდა, მერე რომ გადმოგეფორმებინათო?

გამომძიებელ-ჟურნალისტმა თავი გააქიცინა და ირონიულად დასძინა — **საქმე იმაშია, ნოდარ, რომე... ბიძინა ივანიშვილმა თავისი ქონებებით ახალი თამაში წამოიწყოვო... იგი არა მხოლოდ საკუთარ შვილს ჩაგრავს და აწვალებს, თამაშობს კიდევაცო, ჭორვილაში საგვარეულო სასახლეს ახალი მფლობელი ჰყავსო.** საგვარეულო სასახლეო, ხაზგასმით იმეორებს გამომძიებელ-ჟურნალისტი, რომელიც გამომძიებლისა და ჟურნალისტის გარდა ყველაფერია. აქ საუბარია იმ ჩვეულებრივ სახლსა და უბრალო ეზოკარმიდამოზე, სადაც **ბიძინა ივანიშვილის დედა** ცხოვრობდა და **ბერა ივანიშვილის** სახელზე ყოფილა დარეგისტრირებული... რათ აჩუქა ბერამ დედას? ან იქნებ სულაც მიჰყიდა, მაგრამ ხომ არ დაწერდნენ, მიჰყიდაო? თუ არ მიჰყიდა და მართლა აჩუქა, რატომ აჩუქა, ეს ხომ ნეპოტიზმია?

☺

მე ამ დუპლეტების დიალოგს ვეღარ გავუძელი და გადავრთე მაგათი „იაშიკი“. არადა, რა **ბნელ-ნოდარას** შავი სანკის საქმეა, ოჯახში ვინ რას გადაიფორმებს და ვინ ვის რას აჩუქებს?

გიული ალასანიაზე რომ არის გაფორმებული ნახევარი თბილისი და კიდევ ნახევარი საქართველო, ამას რატომ არ ითვლით, თქვე ჩემის გადანგრეულებო! **(შეგახსენებთ, რომ „ჩემის გადანგრეულად“ სააკაშვილი ჯერ კიდევ 20 წლის წინათ მოიხსენიეს თბილისის აეროპორტში და ახსნა-განმარტებაც დააწერინეს!).**



# ეგენი მალე ჭიჭყინასაც გაყიდიან ბაზრებში!





**დიღმიდან რაღაცნაირი სუნი მოდის, თან კორუფციისა, თან სიჩათლახისა!**

აშშ-ის საელჩო მარტო ჩვენთან არ დალპა, მაგას ჩივიან თურქეთშიც, ისრაელშიც და სხვა ქვეყნებშიც. ყველა სტრუქტურაში მოინდომეს გავლენის მოპოვება და საქმეების წარმართვა. ვინმე უსახო, ოფლიანმა **დეგნანმა** მართლა მეფისნაცვლად წარმოიდგინა თავი და ბოლოს იქამდეც მივიდა, ჯერ ვაკეში გარაჟების განაწილება დაიწყო და ქართველი ხალხის სახელით მეორე ფრონტის გახსნაც დააპირა, მაგრამ აქაც ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში, ვერც ქართველ ხალხს „შეაგნებინეს“ ვერაფერი და ახლა რევოლუციურ სცენარზე ამუშავდნენ — ყველა ნაძირალა გროშებად მოისყიდეს, რუსთაველზე გამოიყვანეს და პოლიციის მანქანები გადააბუგინეს, პოლიციისთვის „მოლოტოვის კოქტეილები“ ასროლინეს!

მანამდე ნაჩათლახარ-ნაბოზარი ოპოზიციონერების ხელით სცადეს გადატრიალება — ჩაფლავდნენ!

მერე ასევე ნაჩათლახარ-ნაბოზარი ჟურნალისტები გამოიყვანეს, ეგონათ, მათი „ავტორიტეტი“ გაჭრიდა და ხელისუფლება გადადგებოდა!

მერე, ასევე ნაჩათლახარ-ნაბოზარი არასამთავრობოების ხელით დააპირეს გადატრიალება — ვერც აქ გათვალეს, რომ მაგათი ე.წ. ავტორიტეტი ხალხში მხოლოდ ზიზღსა და სიძულვილს იწვევს!

ბოლოს ე.წ. ახალგაზრდების გამოყვანით დაიწყეს მანიპულირება, მაგრამ ისევ ჩაფლავდნენ — **კოტე ყუბანეიშვილის, ლაზარეს** და **მამამის ბექას** იმედად დარჩნენ!

☺

ახლა ირკვევა, ყოფილი პრეზიდენტი, აწ უკვე **ბომჟად ქცეული მარგველაშვილიც** „დაუვერბოვკებიათ“... პრინციპში, ეგ კაიხანია „დავერბოვკებული“ ჰყავთ, მაგრამ ახლა 11 ათას 500 დოლარად ახალი დავალება მიუციათ — **გამოდი ხოლმე და სააკაშვილის სასარგებლოდ ილაპარაკე, თან აქციებზეც იარეო**. მარგველამ ილაპარაკა, იბოდიალა, დავალება შეასრულა, მაგრამ რა ჩვენი ფეხები?

არც არაფერი!

☺

მეორე სურათზე რომ ხედავთ, **ვინმე ელიოტი** ყოფილა... **თომას ელიოტი** არ გეგონოთ, ის კარგი კაცი იყო, მშვენიერ ლექსებსა და პიესებსა სწერამდა... ამას, **ევანი** რქმევია, აშშ-ის საელჩოში უმუშავია და **ძალიან დიდი ჩათლახიც** ყოფილა. სწორედ ამ **ელიოტისთვის** დეგნანს დაუვალებია, **გიული ალასანიას მიერ დაქირავებულ ლობისტებს დაელაპარაკე და მადამ პლეზიდანთან უშუამდგომლე, რათა მიხეილ სააკაშვილი შეიწყალოსო.**

☺

მოკლედ, ეგრეა... აყროლდა და აქოთდა აშშ-ის საელჩო, კორუფციისა და სიჩათლახის ჭაობში იხრჩობა **დეგნანი** თავის თანამშრომლებთან ერთად... **ეგენი მალე ჭიჭყინასაც გაყიდიან ბაზრებში!**




# ჩინეთამდის გზა გვქონია!

ჩინეთის პრეზიდენტმა **სი ძინპინმა ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრისას** არაერთხელ ახსენა **„სტრატეგიული პარტნიორობა“.** მისი თქმით: **„გამოცხადდება, რომ საქართველო და ჩინეთი ამყარებენ სტრატეგიულ პარტნიორობას და ორმხრივი ურთიერთობები ახალ დონეზე გადაინაცვლებს“.**

☺

ეჭვი მაქვს, ჩვენს დაუძინებელ სტრატეგიულ პარტნიორებსა და მეგობრებს ეს არ მოეწონებათ.

მას შემდეგ, რაც **დიღმის დედოფალა დეგნანი** რომელიმე ცოცხზე შემომჯდარი თანამშრომლის ხელით სახელმწიფო დეპარტამენტში დეპეშას გააგზავნის, ოკეანის გაღმა ცხვირებს ჩამოუშვებენ და განაცხადებენ, რომ საქართველომ ევროპიული გზიდან გადაუხვია... რომ საქართველო ევროატლანტიკურ ალიანსს ნელნელა შორდება... რომ დეკემბერში საქართველო კანდიდატის სტატუსს ან მიიღებს, ან ვერა.

**ამას მოჰყვება ბალტიისპირელი და პოლონელი ევროპარლამენტარების განცხადებები საქართველოში დემოკრატიისა და მედიის „მდგმოიარობის“ გაუარესების თაობაზედ.**

**ყველაზე მეტად შეშფოთდებიან კუბილიუსი, ფოტიგა, იუკნევიჩიენე, ვიოლა კრამონ-ბერინგი და მარკეტა!**

კონგრესმენები **ადამ კინზინგერი და ჯერი კონოლი** კიდევ ერთხელ გამოაცხობენ განცხადებას, სადაც ხაზგასმით იქნება აღნიშნული, რომ მათ იმედები გაუცრუვდათ!

სარკოფაგიდან ამოღოღდება **მეთიუ ბრაიზა** და კონგრესმენებს კვერს დაუკრავს, მერე გადაურეკავს თავის ცოლ **ზეინო ბარანს** და მოახსენებს, რომ საქართველო პლურალისტულ საწყისებს შორდება.

ამის თაობაზე თანაშემწეები **მძინარე ჯოსაც** შეატყობინებენ, მაგრამ **ჯო** ერთი გემრიელად დაამთქნარებს, ბუზებს ხელს აუქნევს, ცალყბად გაიღიმებს, მზარეულს ჰკითხავს — დღეს ვახშმად ხაშლამა გვაქვს თუ ბოზბაშიო და ისევ დაიძინებს.

☺

ჩინეთი და თანაც სტრატეგიული პარტნიორობაო? რასაა, რომ ხედავთ და ვისაა, რომ უხედავთ? თქვენ თავები მართლა დამოუკიდებლები ხომ არა გგონიათო? **სასწრაფოდ შეიწყალოს მადამ პლეზიდანმა ლაზარე, რათა დაუყოვნებლივ აღადგინოს ქართული კოქტეილის ტრადიცია რუსთაველის პროსპექტზე!**

**შვიშტოკებიც უხვად მოიმარაგონ, ტანკის ლულაში გასარჭობად!**




# პირიდან ამოქაქა



ლევან ბერძენიშვილმა პირიდან ამოქაქა — **ბიძინა ივანიშვილს ელის არა მილოშევიჩის, არამედ ჩაუშესკუს ბედიო.** არადა, ვუყურებ ამ ნაგავს და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ მახინჯ სხეულში აუცილებლად მახინჯი სულია!

**ტიპს კი აქვს პრეტენზია მწიგნობრობასა და განათლებულობაზე, მაგრამ ყროლის სუნს წიგნით ვერ გაიქარვებ!**

☺

ათიოდე წლის წინათ იმერეთიდან ერთი ყმაწვილი მირეკავდა... ბიჭი თვითმკვლელობამდე იყო მისული, წარსული ტანჯავდა — მე გამოვიკვლიე და დავადგინე, რომ ჩემი ერთ-ერთი წინაპარი **ბიბლა ბერბიჭაშვილთან ერთად ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობდაო...** ვგრძნობ, ჩვენი გვარი და ოჯახი დაწყევლილია — ან ადრეულ ასაკში ვიღუპებით, ან ფსიქიურად ვიშლებითო... მამაჩემს ვეჩხუბები, რომ ეკლესიის გზას დავადგეთ, მოვინანიოთ, როგორმე გამოვისყიდოთ, მაგრამ ლოთია, არყის სმის მეტი არაფერი აინტერესებსო.

☺

ეს ამბავი რატომ გამახსენდა? იმიტომ, რომ **ლევან ბერძენიშვილი** მოწადინებულია, საკუთარი ჯიში, ჯილაგი და შთამომავლობა თვითონვე დაწყევლოს!

ძალიან შორს აღარ წავალ, მხოლოდ ბოლო ორ შემთხვევაზე ვიტყვი: **ჩვენ, ქართველებმა, მოვკალით ილია ჭავჭავაძე და მოვკალით ზვიად გამსახურდია.**

ბოლო მკვლელობაში **ლევან ბერძენიშვილსა და მის გაბრეჭილ ძმას** დიდი წვლილი მიუძღვით... როგორც ჩანს, მათი ბინძური სულები არ ისვენებენ, ახალ მსხვერპლს ითხოვენ!

☺

**ბიძინა ივანიშვილს მილოშევიჩის კი არა, ჩაუშესკუს ბედი ელისო!**

რატომ ფიქრობს ეს მძორი, რომ **ბიძინა ივანიშვილი** ხალხმა უნდა ჩაქოლოს?!

მაინც რატომ?

ვინმეს გენოციდი მოუწყო? ვინმეს რამე წაართვა? ვინმეს არ დაეხმარა? სიკეთე არ გააკეთა? უამრავი ადამიანი არ გადაარჩინა? დედაქალაქის გულში სალოცავი არ ააშენა?

ყველაფერი ჩამოვთვალო, ამ თვის ბოლომდე ვერ გავალ ბოლოში.

უი!

**ლევან ბერძენიშვილს** კორესპონდენტმა უთხრა — **ბიძინა ივანიშვილმა ევროპული გზიდან გადაუხვია, რუსეთისკენ მიგვაქანებსო და ამანაც** — მაგას ჩაუშესკუს ბედი ელისო... ზვიად გამსახურდია ხომ გავისტუმრე, ახლა ამასაც გავისტუმრებო!

ეს ამბობს ამას, ეს, ვითომ დისიდენტი, რომელიც ციხის უფროსის სახელზე პატაკს პატაკზე წერდა — მაპატიეთ, მეტს აღარ ვიზამო...

☺

არა, არა, სრული ჭეშმარიტება უბრძანებიათ ჩვენს წინაპრებს, რომ მახინჯ სხეულსა და ფიზიონომიაში მახინჯი სულია... შეხედეთ, მართლაც რას ჰგავს, გეგონება, ეშმაკს გადმოვარდნია პირიდან, ეგ თავად პირიდან ქაქმოძდინარე!

ამ დღეებში **დიადმა ხუხამ** პირი მოხსნა: **ბიძინა ივანიშვილის მეთოდია, ქვეყანაში არ დატოვოს ავტორიტეტები და ტალახში ამოგანგლოს ყველაო... გიორგი მარგველაშვილსაც და მეც გვქონდა საშუალება, ფული გვეკეთებინა, მაგრამ ხელი ერთი თეთრისთვისაც არ მოგვიკიდია, როგორი უმწიკვლოებიც მივედით, ეგეთივე უმწიკვლოები წამოვედითო! ეს იცის ბიძინამ და ამიტომ მიაჩნია გიორგი მთავარ საფრთხედო...**

☺

გაიგონეთ?!

თურმე **ბიძინა ივანიშვილს** ყველაზე მეტად **მარგველაშვილისა** ეშინია, თუმცა, ხუხას ლაპარაკიდან გამოდის, რომ ბიძინას მაგისიც ეშინია.

☺

ახლა ნახეთ — **რაღაც ისეთი პირი უჩანს და გულიც მიგრძნობს, აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტი მომდევნო სერიაში ამის გვარ-სახელსაც ამოაგდებს.**

*გაგრძელება მე-12 გვერდზე*



დასაწყისი მე-10 გვერდზე




# კინზინგ(მტ)ერი

ვამბობდი — **როგორც კი ადამ კინზინგერი ირაკლი ღარიბაშვილისა და სი ძინპინის შეხვედრის ამბავს გაიგებს, ეგრევე აღშფოთდება-მეთქი.**

აღშფოთდა, დაიბოღმა, გაიბერა — **ღარიბაშვილი** საკუთარ ერს ანადგურებსო... ესე იგი, კაცი სუპერსახელმწიფოს ლიდერს რომ შეხვდა, ამით ჩვენ გვანადგურებს!

ქართველ ერზე წუხს, ეს ჩემის **თემურ არუთინოვი,** თურმე ღარიბაშვილი გვანადგურებს, **ზელენსკი** კიდე უკრაინელებს ამრავლებს!

ახლა ამას რომ მივწერო — **ამერიკელებმა მაგ სიმართლით იარეთ-მეთქი — წყევლა გამომივა? თუმცა, რაც ეგენი ინდიელებმა წყევლეს, ჩემი წყევლა და გინება რა მოსატანია?**

# შეშლილთა ბანაკი თრაკიაში მიემგზავრება!



**ყვარელში შეეშალათ** — რუსის ნაცვლად ებრაელი გააძევეს!

**თბილისში შეეშალათ** — ამერიკელების დაწერილი კანონი რუსული ეგონათ და ლამის მთელი რუსთაველი გადაბუგეს!

მანამდე საფრანგეთისა და აშშ-ის მოქალაქე, ასევე **ებრაელი პოზნერი ჯაან რუსი ეგონათ და გააძევეს!**

კრემლის ბიუჯეტიდან დაფინანსებული **ჰელენ ხოშტარია** პროდასავლელი ჰგონიათ და ერთ-ერთ ჯაან უმფროსად უზით!

ქარაქუცა **ჭიჭიკო ვაშაძე** ბინებს რუსებზე აქირავებს და მაინც ოკუპანტების წინააღმდეგ ჯაან მებრძოლი ჰგონიათ!

„ვივამედში" დამწყვდეული **„კაბების" ეფრეიტორი** დემოკრატიის შუქურა ჰგონიათ და გასაფრენად ამზადებენ უკვე გაფრენილს.

უკანალში დაჭრილი **ბექა ბრიგორიანი** დემონებთან მებრძოლი ჰგონიათ და ტაშს უკრავენ!

გუშინაც შეეშალათ — **ტრაპზონიდან შემოსული საკრუიზო გემი სოჭიდან შემოსული ეგონათ და ტურისტების მრავალრიცხოვანი ლაშქარი უკან გააბრუნეს.**

☺

არადა, თქვენ გგონიათ, მარტო ახლა ეშლებათ?

არა, ადრეც ეშლებოდათ... **მაგალითად, ერთ-ერთის, რომელიც შეშლილთა ე.წ. აქციებს აფინანსებს, როცა „გეპეის" კომკავშირის მდივანი იყო, მერაბ კოსტავა მოღალატე ეგონა და სკამის გადაჭრილი ფეხით დასდევდა, ერთხელ პალტოც შემოახია!**

**იცით, ერთ-ერთ ამათ იდეოლოგს, რომელსაც ერეკლე მეორე მოღალატე ჰგონია, რა შეეშალა?** 1970-იან წლებში **ნასედკობა კაცობაში აერია** და საკუთარი ძმა მილიციას დააჭერინა. შემდეგ თვითონაც რომ დაიჭირეს, ციხის „უმფროსის" სახელზე პატაკებს წერდა — **შემეშალა, ოღონდ აქედან გამიშვით, მეტს აღარ ვიზამო.** როცა გამოუშვეს, დისიდენტად მოინათლა და დღეს ჭკუასაც ეკითხებიან.

აგერ, რამდენიმე წლის წინათაც შეეშალათ... **თან იძახიან, პროდასავლელი პოლიტიკოსები ვართო და თან კიდე პრეზიდენტობის კანდიდატად კაბებშნიკი ვაშაძე წარმოვიდგინეს. მეტიც, პიარშიკებად რუსები ჩამოიყვანეს და მოსახლეობას არწმუნებდნენ, ესენი ისინი არ არიან, თქვენ რომ გგონიათო!**

ჩემ ბალღობაში ერთი კარგი ფილმი გამოვიდა სათაურით: **„ბოშათა ბანაკი ცას მიემგზავრება".** რომანტიკული ნაწარმოები იყო, მომწონდა. ამათ საქციელზე იმ ფილმის სათაური ამეკვიატა, ოღონდ გადმოკეთებულად — **„შეშლილთა ბანაკი თრაკიაში მიემგზავრება".** გეოგრაფიული ტოპონიმი სპეციალურად მოვიხმე, რომ ანატომიური ტერმინი არ მეხსენებინა.

☺

აბა, კარგად დააკვირდით სურათებს, თქვენი არ ვიცი და ქართულ სახეებს თითქმის ვერ ვხედავ. ესენი ის **ზომბირებული კრეტინები** არიან, **წერას ატანილი სირთაოზები** რომ მართავენ!

ასე რომ, თუ სახელმწიფომ ამათ არ მიხედა და კანონის ჩარჩოებში არ მოაქცია, კიდევ მრავალჯერ შეეშლებათ და ერთხელაც ისე შეეშლებათ, შეიძლება მთელი ქვეყანა გადაიყოლონ!

**წარმოგიდგენიათ, რას აკეთებენ კეზერაშვილები, ხაზარაძეები, ჰყონიები, ჰუტაანები, ალასანიები, დეგნანები, ფოტიგები, კუბილიუსები, იუკნევიჩიანები თუ მარკეტები? არა, ხედავთ, ჩვენს ქვეყანას როგორ არყევენ, არცხვენენ და როგორ ზარალში აგდებენ?!**

ჰა, ხალხო, ბიზნესმენებო, დასაქმებულებო, საოჯახო სასტუმროების მფლობელებო, გამყოლებო და გამომყოლებო, **ამდენი კლიენტი ცხვირწინ რომ აგაცალეს ფუკასავით — ეგ არაფერი? გავატარეთ? მაინც და მაინც „ავრორა" უნდა მოგადგეთ და გესროლოთ, რომ თავი შეიწუხოთ?!**



# რას მიათრ-მოათრევენ?!

**კურკუმალმა** — განვაგრძობ ნაციონალური მოძრაობის გაძლიერებასო და პარტიის საგარეო ურთიერთობათა უჯრედის გამგედ **„ფალოსოფოსი" ზურაბ ჭიაბერაშვილი** დანიშნა. თან დასძინა — ჩვენ ახალი კადრები ჰაერივით გვჭირდებაო!

☺

სურათზე ხედავთ, როგორი **„გაჭივრებული"** გამომეტყველება აქვს **ჭიაბერაშვილს,** მაგრამ აი, მეორე **„გაჭივრებული",** მადამ პლეზიდანისგან გამოქცეული **ვინმე კრევო-ასათიანი** რისთვის იდგა ტრიბუნაზე, ვერავინ მიხვდა.

და, საერთოდ, იქნებ გაგვაგებინოს ვინმემ, **ამ „გაჭივრებულებს" რას მიათრ-მოათრევენ?**






# სალომანდრები და სალომენ ბრძენი

რამდენჯერ მივუთითო? რამდენჯერ გავკიცხო? რამდენჯერ შევაჩვენო? რამდენჯერ დავცინო? რამდენჯერ გავამაიმუნო? რამდენჯერ შევაგინო? რამდენჯერ ვუთხრა, რომ, თუ თავის ქალა შიგნიდან ეფხანება, უბრალოდ, გაჩუმდეს მაინც?!

☺

**ქალო, სანამ რამეს იტყვი, ის მაინც გაარკვიე, რა გემი იყო, რისთვის მოვიდა, ან საიდან მოვიდა, რა ხდებოდა და რა უნდოდათ!**

**პუტინი** მარცვლეულის გადაზიდვას ბლოკავს და შავ ზღვაში ნაოსნობას აფერხებსო, თევზებსაც წამლავსო, მერე იჭერს და ჭამსო... ანკესით კი არ თევზაობს, დინამიტით აფეთქებსო!


სალომე ზურაბიშვილი / Salome Zourabichvili
1 სთ ·

ვამაყობ ჩვენი ხალხით, რომელმაც მშვიდობიანად გააპროტესტა რუსეთის ახალი პროვოკაცია - რუსული საკრუიზო ლაინერის საქართველოში, ბათუმის პორტში შემოსვლა მაშინ, როდესაც პუტინი მარცვლეულის გადაზიდვებს ბლოკავს და შავ ზღვაში თავისუფალ ნაოსნობას აფერხებს.

შავი ზღვის უსაფრთხოება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს, უკრაინისა და ევროკავშირისთვის

ამას ჰგონია, ტურისტებით გაძეძგილი გემი **პუტინმა** გამოგვიგზავნა თურქისტანის გავლით.

☺

თქვენი არ ვიცი და... მე კი ვფიქრობ, რომ **ძალიან მძიმე მდგომარეობაა ორბელიანების სასახლეში და არავინ ხართ ერთი ღვთისნიერი, რამე რომ შეაგონოთ?**

გამოდის, სუ ერთნაირები ხართ და ერთნაირადა ფიქრობთ?

მაშინ ამიერიდან **სალომანდრებად** მოგიხსენიებთ და გყავდეთ ეგ **სალომენ ბრძენი!**

# მოგელანდებით!

## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ხედელაშვილთან ერთად



# გენერალის გაზეთი

**№41-42 (209-210) ★ 2023 წლის 31 ივლისი ★ გამოდის 2003 წლიდან**

***საკრუიზო ლაინერი Astoria Grande, რომელიც 2023 წლის 27 ივლისს მავანთა წიკვინის ფონზე ბათუმის პორტში შემოვიდა, არც ტანკებით ყოფილა დატვირთული, არც თვითმფრინავებით და არც იმ ქვემეხებით, რომლებსაც 1993 წლის 27 ივლისის სოჭის შეთანხმების შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ საკეტები მოხსნა და რუსული გემებით სოხუმიდან ფოთში ჩაიტანა, რათა აფხაზეთის დაცემა დაეჩქარებინა.***

„ასტორია გრანდეზე“ მხოლოდ რუსი მომღერლები, შოუმენები და ე.წ. ქარიზმატული წამყვანები — **დიმიტრი კოლდუნი, დიმიტრი ოლენინი, ივან ჩუიკოვი, მიტია ფომინი,** ლამაზი ქალები და სხვა პოპ-მომღერლები ხუნცულობდნენ... ლაინერი, რომელიც 22 ივლისს სოჭიდან გამოვიდა, ტრაპიზონის, სტამბოლისა და ისევ და ისევ ბათუმის გავლით დაბრუნდა და კვლავ უკან გამოემართა. მის გეგმებში სოხუმის პორტში შესვლა ჯერ კიდევ არ შედის, მაგრამ,

**თუ ქართველები გონიერებას არ მოვუხმობთ და იმ ტუტუცურ პოლიტიკას გავაგრძელებთ, რისი მოსწრენიც ბათუმის პორტში გავხდით, როცა თურქულ მედრესებში ნათრევმა გაურკვეველი ორიენტაციის ნაცაქტივისტებმა ერთი წივილ-კივილი ატეხეს და რუს ტურისტებს „ღორები“ უძახეს, მაშინ შესაძლოა, ბათუმის პორტს ეწვიოს არა საკრუიზო ლაინერი, არამედ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ატომური კრეისერი „პეტრე პირველი“.**

აი, აქ უკვე რუს ქარიზმატულ წამყვან **დიმიტრი კოლდუნს** ჩაანაცვლებს ქარიზმატული და თავზეხელაღებული ევგენი **პრიგოჟინი თავისი „ვაგნერით“, დიმიტრი ოლენინის** ნაცვლად შესაძლოა, კრეისერის კიჩოზე დავლანდოთ **ვლადიმერ ლენინი, რომელმაც 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში გაფორმებული ზავით ბათუმი თურქეთს გადაულოცა და რომ არა სტალინი, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი და სტალინის მეგობარი, მსახიობ ბოზი ქავთარაძის ბიძა, ქართველი ბოლშევიკი სერგო ქავთარაძე, ბათუმი ისეთივე შორეულ ოცნებად და მემლექეთად დაგვრჩებოდა, როგორც დედასამშობლოს მოწყვეტილი ჩვენი მოუშუშებელი ტკივილი — ტაო-კლარჯეთი.**

თუ ქართველობა სხვის დაკრულზე ბუქნაობას არ მოიშლის, მაშინ მომღერალ **ივან ჩუიკოვის** ნაცვლად ბათუმის ქუჩებში შესაძლოა, ვიხილოთ ხმალამოწვდილი საბჭოთა მარშალი, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი **ვასილი ჩუიკოვი,** რომელმაც იომა ფინეთში, ეომა იაპონელებს, მკერდით დაიცვა სტალინგრადი, ფაშისტებისგან გაათავისუფლა ზაპოროჟიე და ოდესა, მონაწილეობა მიიღო ვისლა-ოდერის ოპერაციაში, შევიდა ბერლინში და 1949 წლიდან გახდა გერმანიაში დავანებული 500 ათასი საბჭოთა ჯარისკაცის მხედართმთავარი.

**★ და გემი მიცურავს!**



# რუსული საკრუიზო ლაინერის გაგდებით ამერიკისა და თურქეთის აგენტურამ საქართველოში ბალტინის გემები მოიწვია!

არადა, ბათუმის პორტში სახელდახელოდ გამორეკილი პროტესტანტთა ნახირი რომ აშკარად სხვის დაკრულზე ბუქნაობდა და რუს ტურისტებს აგინებდა, იმთავითვე გამოჩნდა. **კერძოდ, საკრუიზო ლაინერიდან გადმოსულ რუს ტურისტებს ბათუმის ქუჩებში ფეხიც კი არ ჰქონდათ შედგმული, როცა ამერიკის ელჩმა კელი დეგნანმა თავის აგენტურას უკვე ნიშანი მისცა და სოციალურ ქსელებში სასწრაფოდ განცხადება გაავრცელა — „არ ვფიქრობ, ვინმეს უნდა გაუკვირდეს, ვინმე უნდა ელოდოს, რომ სტუმართმოყვარეობით მიიღებ მას, ვისაც შენი ტერიტორია ოკუპირებული აქვს!“**

ვადაგასულ **კელი დეგნანს** არც ევროპარლამენტარი და ცნობილი მიშმადიდებელი **ვიოლა ფონ ბერინგი** ჩამორჩა, რომელმაც ამერიკელების ფულით მოღორებული და, სავარაუდოდ, თურქეთის სპეცსამსახურების მიერ რახათლუხუმით ნასუქი ადგილობრივი აგენტურის პროტესტის ფონზე ბათუმიდან რუსული საკრუიზო ლაინერის დროზე ადრე გასვლა იმავე სოციალურ ქსელებში ასე შეაფასა — **„საუკეთესო საჩუქარი ქართველი ხალხისგან ბათუმში!“**





თუ ქართველობა სხვის დაკრულზე ბუქნაობას არ მოიშლის, მაშინ **მომღერალ ივან ჩუიკოვის** ნაცვლად ბათუმის ქუჩებში შესაძლოა, ვიხილოთ ხმალამოწვდილი **საბჭოთა მარშალი, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი ვასილი ჩუიკოვი!**

**ჩვენ არ გვგონია, რომ რუსული ლაინერის ბათუმის პორტიდან დროზე ადრე წასვლით და რუსი დამსვენებლებისთვის შეურაცხყოფის მიყენებით, საქართველოს ტერიტორიებს რუსი სამხედროებისგან გავათავისუფლებთ და ქვეყანას გავაერთიანებთ. ვფიქრობთ, პირიქით მოხდება.**

როგორც გენიალური **ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბაში“** აღწერილი სოხუმი გაინაბება, როცა ქალაქის სანაპიროს ბოლშევიკების კრეისერი **„შმიდტი“** და მისი მრისხანე კაპიტანი **კუზმა კილგა** მოადგებიან, სწორედ ისე გაინაბა მთელი საქართველო 1993 წლის ოქტომბერში, ოდეს **რუსი ადმირალი ედუარდ ბალტინი** თავის არმადასთან ერთად ფოთში შემოვიდა და შევარდნაძეს გადაეხვია. **მაშინ ქვეყანაში პროტესტიც დასრულდა, ბრძოლაც და საქართველომ, როგორც დაპყრობილმა, წაქცეულმა, კბილებჩალეწილმა და დასავლეთის მიერ კიდევ ერთხელ ნაღალატევმა და ნათრევმა თითი მოკაკვა!**

როცა რუსი ტურისტებით სავსე საკრუიზო ლაინერ „ასტორია გრანდეს“ ბათუმის პორტიდან დედის გინებითა და „რუსო ღორებო!“-ს ძახილით მიერეკები, ამით ცეცხლს ეთამაშები და **ქმნი იმის საშიშ პრელუდიას, რომ იმავე ბათუმის პორტში სწორედ ადმირალ ბალტინის არმადა შემოვიდეს, რომელიც კელი დეგნანისა და თურქი „შპიონების“ მიერ ჩაფულიანებულ პროტესტანტებს ზურგს კი არა შეაქცევს, არამედ ქვას ქვაზე არ დატოვებს და „ბათუმს ქათქათას“, რომელიც კარგა ხანია, გათურქისფერდა, უცოდველთა თუ ცოდვიანთა სისხლით შეღებავს!**

ამაზე უნდა ვიფიქროთ!

ერთი რამეც ნუ დაგვავიწყდება ქართველებს, რადგან ისტორიას რაღაცრაღაცების მწარედ გახსენება და შემოლაწუნება უყვარს:

რუსეთსა და საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება რომ გაფორმდა და ლენინმა საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა, სტალინი კრემლში ქართველ მენშევიკებს არ შეხვდა. ერთადერთი, ვისაც მიესალმა, **გრიგოლ ურატაძე** იყო, რომელსაც ახალგაზრდობიდან იცნობდა. **ურატაძე** სტალინის კაბინეტიდან რომ გამოდიოდა, სოსომ ქართულად მიაძახა — **გრიშა, ქართველებს მართლა სჯერათ, რომ რუსეთი ბათუმის პორტს დათმობს?**

ეს რიტორიკული შეკითხვა დღესაც ძალუმად ჟღერს და თანამედროვე პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით ასე გაისმის — **ვინმეს მართლა სჯერა, რომ რუსეთი თურქეთის მიერ ბათუმისა და აჭარის გამოუცხადებელ და მცოცავ ოკუპაციას დაუშვებს?**

არ ვიცი, **გრიგოლ ურატაძეს** სჯეროდა თუ არა, მაგრამ მე ამ საქმისა არ მჯერა!

**ამიტომაც ბათუმის პორტში სიურპრიზებს ველოდები!**

***დიტო ჩუბინიძე***

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი* იმ ყოვლისწამლეკავი ანტიქართული კამპანიის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც სტალინისა და ბერიას მკვლელობის შემდეგ საბჭოთა კავშირში ნიკიტა ხრუშჩოვმა წამოიწყო:**



# სვიმონ მასხარაშვილი:

# საბჭოთა კავშირი სინამდვილეში ქართულ-რუსული კონფლიქტის გამო დაინგრა!

## ისტორიკოსის თვალით ★

— 1953 წლის 26 ივნისის შემდეგ, როგორც კი **ლავრენტი ბერია** მოკლეს, საბჭოთა კავშირში მყისიერად დაიწყო **სტალინისა და ბერიას** საწინააღმდეგო მოძრაობა, რომელიც, საბოლოო ჯამში, ანტიქართულ კამპანიაში გადაიზარდა. კაცმა რომ თქვას, ეს კამპანია თავიდანვე ატარებდა ანტიქართულ ხასიათს და ვიდრე საბჭოთა კავშირი არ დაინგრა, არც შეწყვეტილა. უფრო მეტიც, **ანტიქართული კამპანია, რომელიც, საბოლოო ჯამში, 1956 წლის 25 თებერვალს ნიკიტა ხრუშჩოვმა პარტიის მე-20 ყრილობაზე გახსნილად გამოაცხადა, რუსეთში დღემდე არ ნელდება.** ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირი სინამდვილეში ქართულ-რუსული კონფლიქტის გამო დაინგრა, რადგან ის, რაც სამაჩაბლოსა და აფხაზეთში ხდებოდა და ხდება, იყო არა ე.წ. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ეთნოკონფლიქტი, არამედ რუსეთ-საქართველოს გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი ომი.

ვინც სტალინი და ბერია მოკლა, ყველანაირი საფუძველი ჰქონდათ, ქართველი ერი სტალინისა და ბერიას ე.წ. „კულტთან“ არ დაეკავშირებინათ. მართლაც, **1921 წლის თებერვალში ნამდვილად მოხდა დამოუკიდებელი საქართველოს ანექსია და ოკუპაცია, ხოლო 1937 წელს საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებს შორის პროცენტულად ყველაზე მეტი ქართველი ინტელიგენტი ემსხვერპლა ე.წ. „სტალინურ რეპრესიებს“, რაც უტყური საბუთი იყო იმის დასტურად, რომ საქართველო და ქართველი ერი იმ საერთო უბედურებიდან, რასაც წითელი იმპერიის შექმნა ერქვა, სხვებზე ნაკლებად დაზარალებული არ გამოსულა.** პირიქით, დიდ სამამულო ომში პატარა საქართველოს მიერ გაღებული მსხვერპლი, რაც 300 ათასზე მეტი ქართველი მებრძოლის დაღუპვაში გამოიხატა, მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი უპრეცედენტოა...

მოგეხსენებათ, 1956 წელს, კომპარტიის მე-20 ყრილობაზე, **ნიკიტა ხრუშჩოვმა** თავისი ოთხსაათნახევრიანი მოხსენება სტალინის **„პიროვნების კულტის შესახებ“** მაინცდამაინც 25 თებერვალს წაიკითხა. დღემდე ვფიქრობ, რომ 25 თებერვალი ხრუშჩოვსა და მის ხროვას შემთხვევით არ აურჩევიათ! **საქართველოს გასაბჭოების დღეს სტალინის ლანძღვა, რაც ქართველების ბინებასთან იქნა გაიგივებული, პროცესების დრამატიზებას ემსახურებოდა. ამ ფაქტმა ის ქართველებიც კი განარისხა, რომლებსაც 25 თებერვალი ეზიზღებოდათ!**

**— მაინც რა მეთოდებით დაიწყეს სტალინისა და ბერიას სახელების ამოშანთვა ხალხის მეხსიერებიდან?**

— დავიწყოთ იმით, რომ საქართველოსა და მთელ საბჭოთა კავშირში, გარდა გორისა, სტალინის ძეგლი ყველგან დაამხეს. სანაპიროს სტალინის სახელი შეუცვალეს, **სტალინირს** ისევ **ცხინვალი** უწოდეს, ხოლო **სტალინოს დონეცკი** დაარქვეს. სახელი შეუცვალეს **სტალინგრადსაც...** აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ 1961 წლის 31 ოქტომბერს ხრუშჩოვმა სტალინის ცხედარი მავზოლეუმიდან გამოატანინა და ბელადი კრემლის კედელთან გვიან ღამით დაასაფლავებინა, რომელსაც მუნდირზე ოქროს ღილებიც კი ააგლიჯეს.

ჯერ კიდევ 1953 წლიდან, როგორც კი სტალინი და ბერია მოკლეს, **ხრუშჩოვისა და გიორგი მალენკოვის** მიერ გაიცა ფარული დირექტივა, რომლის თანახმადაც **კინოთეატრებიდან მოხსნეს ყველა ის ფილმი, სადაც სტალინი მთავარ ან ეპიზოდურ როლს თამაშობდა.** კრემლის მიერ დაგეშილი ცენზორები პირდაპირ ჩეხავდნენ კინოფირებს, სადაც სტალინი ეპიზოდურ როლშიც კი ჩანდა. **მიხეილ ჭიაურელის „ბერლინის დაცემა“ დააპატიმრეს და რეჟისორი აიძულეს, კინოდან დროებით მულტიპლიკაციის სფეროში გადასულიყო.** სხვათაშორის, ჭიაურელმა, როგორც მულტიპლიკატორმა, შექმნილი მდგომარეობა მწარე ირონიით გადმოსცა თავის ერთ-ერთ გენიალურ მულტფილმში, სადაც თაგვები ასაფლავებენ კატას! გენიალური ქართველი მსახიობი **მიხეილ გელოვანი,** რომელიც ჭიაურელის ფილმებში სტალინს ასახიერებდა, დაბლოკეს. უმძიმესი სტრესის გამო იგი გალოთდა და 1956 წლის 21 დეკემბერს, სტალინის დაბადების დღეს, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. **კინოფილმებიდან სტალინის პერსონის განდევნის პროცესი ბრეჟნევის ეპოქაშიც გაგრძელდა.**

**— ბრეჟნევმა ვერ შეაჩერა ეს პროცესი თუ სურვილი არ ჰქონდა, რომ შეეჩერებინა?**

— ბრეჟნევი ვერ დაუპირისპირდა იმ ბოროტების მდინარეს... აი, მაგალითად, ცნობილია, რომ დიდმა კინორეჟისორმა **რომან კარმენმა,** როცა ბრეჟნევის დროს გადაწყვიტა, 20-სერიიანი ფილმი „დიდი სამამულო ომი“ გადაეღო, სტალინის როლზე მოიწვია **სერგო ზაქარიაძე.** ეს ის რომან კარმენია, რომლის ლამაზი ცოლიც **ვასილი სტალინმა** აცდუნა და ამის გამო კარმენი ბელადთან ჩიოდა — **მიშველეთ, ამხანაგო სტალინ, თქვენმა ვაჟმა ცოლი გამიბახაო!** სტალინმა ამის გამო ვასია „დიზბატში“ გაამწესა... *(იცინის).* **სინჯებზე ისე ფანტასტიკურად და შთამბეჭდავად ითამაშა სტალინი, კრემლში განგაში გამოცხადდა და სერგო ზაქარიაძე სასწრაფოდ როლიდან მოხსნეს.** მის ნაცვლად მიიწვიეს **ბუხუტი ზაქარიაძე** — სერგოს ძმა, რომელიც კარგი მსახიობი იყო, მაგრამ, ცხადია, სერგოს ვერ შეედრებოდა. როგორც ვიცი, ამის გამო სერგო და ბუხუტი ერთმანეთს მთელი ცხოვრება ემდუროდნენ. არადა, სწორედ იმ პერიოდში ჰოლივუდმა გადაიღო „სტალინი“, სადაც მთავარი როლი ბრწყინვალედ შეასრულა **რობერტ დიუვალმა.**

ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გამოფენილი **დავით კაკაბაძის** ერთ-ერთი ტილოდან წაშალეს ბერიას სახე, ხოლო გაყიდვიდან ამოიღეს და მერე აღარასოდეს გამოუშვიათ **კონსტანტინე გამსახურდიას „ბელადი“...** შეწყდა სტალინის ტომეულების გამოცემაც. წიგნებიდან, ენციკლოპედიებიდან და ცნობარებიდან მთლიანად ამოიღეს, ამოჭრეს და ამოჩეხეს ბერიას სურათები. განსაკუთრებით ემტერებოდნენ სწორედ **ლავრენტი ბერიას.**

ნიკიტა ხრუშჩოვის დავალებით, ცეკამ გამოსცა საგანგებო ინსტრუქცია, რომლის თანახმადაც, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემოდა ყველა, ვისაც სახლში ბერიას სურათს ან წიგნს უპოვიდნენ! ყველა ბიბლიოთეკაში, სამკითხველოსა და გამომცემლობაში ისხდნენ კაგებეშნიკები და წიგნებიდან იღებდნენ ბერიას სურათებს. **შეპილოვის, სუსლოვისა და კუუსინენის** მთელი აპარატები — ვისაც კი აგიტაცია-პროპაგანდასთან შეხება ჰქონდა, სწორედ იმაზე იყვნენ მოწადინებული, სადაც კი ბერიას სურათს ან სახელს ნახავდნენ, როგორმე ყველაფერი ამოეშალათ, ამოეჭრათ და ამოეგლიჯათ. **მოქალაქეებს სთავაზობდნენ, დანიშნულების ადგილზე მიეტანათ წიგნები, ენციკლოპედიები და ცნობარები,** საიდანაც ბერიას სურათებს ან გვარ-სახელს ამოიღებდნენ და მის ნაცვლად მისცემდნენ ახლადდაბეჭდილ ფურცლებს, რომლებსაც წიგნებში ჩააკერებდნენ. ქვეყანამ ამ უბინძურესი კამპანიის გამო უდიდესი ზარალი ნახა. გაანადგურეს და მოსპეს ბერიას წიგნი **„მარქსიზმის ისტორია ამიერკავკასიაში“,** რომელიც თავის დროზე სტალინის პატრონაჟით გამოიცა. სხვათაშორის, ეს წიგნი კრემლში ბევრს უშლიდა ნერვებს...

**— რატომ?**

— აქ **ბერია** ასაბუთებდა, რომ საქართველოს კომპარტია არ იყო რუსეთის კომპარტიის ქვეგანყოფილება და ის დამოუკიდებელ ორგანიზაციად ვითარდებოდა. სხვათაშორის, 1956 წელს **ზვიად გამსახურდიამ, მერაბ კოსტავამ, გურამ დოჩანაშვილმა, ვოვა სიხარულიძემ** და სულ ცხრა ახალგაზრდამ პროკლამაციები რომ გაავრცელეს, იქ დაწერეს, რომ საქართველო უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი, მაგრამ




**„მიხეილ ჭიაურელის „ბერლინის დაცემა“ დააპატიმრეს და რეჟისორი აიძულეს, კინოდან დროებით მულტიპლიკაციის სფეროში გადასულიყო!“**



ГРУЗИ́НСКАЯ СОВЕ́ТСКАЯ СОЦИАЛИСТИ́ЧЕСКАЯ РЕСПУ́БЛИКА

I. Общие сведения.

Грузинская ССР — союзная советская социалистическая республика. Образована 25 февр. 1921. С 12 марта 1922 по 5 дек. 1936 входила в состав Закавказской Федерации (ЗСФСР) С 5 дек. 1936 входит непосредственно в СССР. Граничит на С.-З. с Краснодарским и Ставропольским краями РСФСР, на С.— с Кабардинской и Северо-Осетинской АССР и Грозненской областью РСФСР, на С.-В.— с Дагестанской АССР (РСФСР), на Ю.-В.— с Азербайджанской ССР, на Ю.— с Армянской ССР и Турцией. Грузинская ССР делится на Тбилисскую и Кутаисскую области; в её состав входят Абхазская АССР, Аджарская АССР и Юго-Осетинская автономная область. Территория 76,4 тыс. $км^2$. Население 3542 тыс. чел. (1939). Столица — город Тбилиси.




### პრესაში არ გამოქვეყნდეს

## სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ-ში მცხოვრები ბალყარელების გადასახლებისა და ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ-ის ყაბარდოს ასსრ-დ გარდაქმნის შესახებ იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მიერ ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ-ის ტერიტორიის ოკუპაციის დროს ბევრმა ბალყარელმა უღალატა სამშობლოს, ერთიანდებოდნენ გერმანელების მიერ ორგანიზებულ შეიარაღებულ რაზმებში და ეწეოდნენ წითელი არმიის ნაწილების მიმართ ძირგამომთხრელ მოქმედებას, უწევდნენ ფაშისტ ოკუპანტებს მეგზურობას კავკასიის ქედის უღელტეხილებზე, ხოლო წითელი არმიის მიერ კავკასიიდან მტრის ჯარების განდევნის შემდეგ ისინი ეწერებოდნენ გერმანელების მიერ ჩამოყალიბებულ ბანდებში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად, — სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:**

*1. ყველა ბალყარელი, რომლებიც ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ-ის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, გადასახლდეს სსრკ-ის სხვა რაიონებში...*

*2. (...)*

*3. ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ გარდაიქმნეს ყაბარდოს ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად;*

*4. ყოფილი ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ-ის ელბრუსსკისა და ნაგორნის რაიონების სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი შეუერთდეს საქართველოს სსრ-ის ზემო სვანეთის რაიონს, ამასთან დაკავშირებით, შეიცვალოს ამ უბანზე საზღვარი საქართველოს სსრ-სა და რსფსრ-ს შორის შემდეგი სახით: ელბრუსის (იალბუზის — ს.კ.) მთის ჩრდილოეთ კალთებზე მდებარე ბურუნ-ტაშის უღელტეხილიდან საზღვრის ხაზი გატარდეს აღმოსავლეთით მდინარე მალკაზე სიმაღლე 2377-მდე, შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთით მდინარე ისლამ-ჩაიზე, სიმაღლე 3242-ის ჩათვლით, ყირკიტ-აუშის უღელტეხილთან, შემდეგ ისევ სამხრეთ-აღმოსავლეთით მდინარე ყირტიკზე, დასახლება ვერხნი ბაქსანის დასავლეთით და სამხრეთით მდინარე ალირ-სუს გასწვრივ მესტიის უღელტეხილამდე.*

*სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის*
*თავმჯდომარე* **მ. კალინინი**
*სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი* **ა. გორკინი**
***მოსკოვი, კრემლი. 1944 წლის 8 აპრილი.***

კომუნისტური სახელმწიფო, ანუ კომუნისტური იდეები ქართველ საზოგადოებაში ფესვგადგმული გახლდათ. **ხრუშჩოვი და მისი ბანდა** სტალინისა და ბერიას მოთხრას რომ აპირებდნენ, იმაშიც გამოჩნდა, რომ **1955 წლის მარტში ნიკიტა ხრუშჩოვმა საქართველოს ჩამოაჭრა ქლუხორის რაიონი, რომელიც 1943 წელს შეგვიერთეს.** ქლუხორის ფართობი 3593 კვადრატული კილომეტრი იყო. ყარაჩაელები, ყაბარდოელები და ბალყარელები, რომლებიც კავკასიის დაცვის დროს გერმანელების მხარდამხარ იბრძოდნენ, აღნიშნული ტერიტორიიდან ღალატის გამო გაასახლეს და აღდგა ისტორიული სამართლიანობა — **ქლუხორის შემოერთებით საქართველოს ფარგლებში შემოვიდა კავკასიონის უმაღლესი მწვერვალი იალბუზი!**

**— დოკუმენტურად დასტურდება, რომ საქართველოსთვის ქლუხორის რაიონის შემოერთებას ლობირებდა ლავრენტი ბერია!**

— დიახ, სწორედ ასე იყო! ბერია ასაბუთებდა — საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიაში თავდაცვითი ზღუდე უნდა ჰქონდესო! მაგრამ ხრუშჩოვმა 1955 წლის მარტში ქლუხორი საქართველოს ჩამოაჭრა და სტავროპოლის მხარეს მიუერთა. იქ მცხოვრები სვანები და რაჭველები აყარეს და საქართველოში გადმოასახლეს. რასაკვირველია, რაიონის ტოპონიმიკაც შეიცვალა — **ქლუხორს** ეწოდა ყარაჩაევსკი, **ახალშენს** — კამენომოსტი, **მალარო** გადაიქცა ელბრუსად, **მთისძირი** — კარტ-ჯურთად, **ზედვაკე** — ხურზუკად, **მადნისხევი** — უჩკულანად, **მზისა** — ნიჟნი თებერდად, **შუამთა** — დაუთად, ხოლო **შერთულა** — მარააიგად... **ქლუხორის რაიონის ტერიტორია მაშინდელი საბჭოთა საქართველოს ტერიტორიის 4.7 პროცენტს შეადგენდა. ამ ტერიტორიაზე ქართული გავლენა უხსოვარი დროიდან დასტურდება.** მაგალითად, დადეშქელიანების ტიტულატურაში სწორედ იმ მდინარეთა სათავეები ფიგურირეს, რომლებიც სწორედ ქლუხორის რაიონში იღებს სათავეს. სტალინისა და ბერიას მკვლელობის შემდეგ შეთქმულებმა ასევე დამალეს ქართული ეროვნული საჯარისო ფორმირებები...

**— ქართული დივიზიები წითელ არმიაში იყო, მაგრამ რამე განმასხვავებელი ნიშანი ჩვენებს ჰქონდათ?**

— ჰქონდათ! 1921 წლიდან 1926 წლამდე ოფიციალურად არსებობდა საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა საქართველოს წითელდროშოვანი არმიები. სინამდვილეში ეს იყო **ქართული დივიზია,** მაგრამ ოფიციალურად მას ერქვა **„საბჭოთა საქართველოს წითელდროშოვანი არმია“.** 1926 წლის შემდეგ რამდენიმე ქართული დივიზია შეიქმნა, რომელსაც ქართველი გენერლები და ოფიცრები ხელმძღვანელობდნენ. ცხადია, ქართული დივიზიების ფორმა და შეიარაღება სრულად შეესატყვისებოდა წითელი არმიის ფორმას, წესდებასა და შეიარაღებას, მაგრამ ქართულ დივიზიებში ქართველი ჯარისკაცები ყელთან ბოლო ღილს არ იკრავდნენ და სამხედრო ქუდს გვერდულად იხურავდნენ, რაც ქართული სიამაყისა და ამპარტავნობის სიმბოლო გახლდათ. ეს იყო ქართველი ჯარისკაცის განმასხვავებელი ნიშანი ყველა დანარჩენი საბჭოთა ჯარისკაცისგან.

**მკვდარი ჯარისკაცი, რომელსაც ბოლო ღილი შეკრული არ ჰქონდა, უსათუოდ ქართველი იყო. ეს ყველაფერი წაშალეს და მოსპეს და ეროვნული დივიზიები გააუქმეს.** ეს მოხდა 1955-1956 წლებში... ამ პერიოდიდან მოყოლებული, ქართველი ახალგაზრდისთვის საბჭოთა ჯარში წასვლა გახდა სამარცხვინო... შესაბამისად, ქართველე-

**გაგრძელება მე-4 გვერდზე**

### პრესაში არ გამოქვეყნდეს

## სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### ყარაჩაის ავტონომიური ოლქის ლიკვიდაციისა და მისი ტერიტორიის ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ

**იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანელი ფაშისტების მიერ ყარაჩაის ავტონომიური ოლქის ოკუპაციის დროს ბევრი ყარაჩაელი გამცემლურად მოქმედებდა, ერთიანდებოდნენ გერმანელების მიერ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ორგანიზებულ რაზმებში, აბეზღებდნენ გერმანელების წინაშე პატიოსან საბჭოთა ადამიანებს, თან მიჰყვებოდნენ და გზას უჩვენებდნენ უღელტეხილებზე ამიერკავკასიისაკენ მიმავალ გერმანიის ჯარებს, ხოლო ფაშისტების განდევნის შემდეგ ხელს უშლიან და ეწინააღმდეგებიან საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებებს, მალავენ ხელისუფლების ორგანოებისაგან ბანდიტებსა და გერმანელების მიერ დატოვებულ აგენტებს, უწევენ მათ აქტიურ დახმარებას, — სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:**

*1. ყველა ყარაჩაელი, რომლებიც ოლქის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, გადასახლდეს სსრკ-ს სხვა რაიონებში, ხოლო ყარაჩაის ავტონომიური ოლქი გაუქმდეს.*

*2. ყარაჩაის ავტონომიური ოლქის ლიკვიდაციის გამო:*

*ა)...*

*ბ)...*

*გ) ყოფილი ყარაჩაის ავტონომიური ოლქის უჩკულანის რაიონი, აგრეთვე მიქოიანის რაიონის ნაწილი გადაეცეს საქართველოს სსრ-ს, აღნიშნულ ტერიტორიებზე კი შეიქმნას ახალი ადმინისტრაციული ერთეული — ქლუხორის რაიონი, ცენტრი — ქალაქი მიქოიან-შახარი; აღნიშნულ ქალაქს შეეცვალოს სახელი და ეწოდოს* ***ქლუხორი.*** ქლუხორის რაიონში დაწესდეს შემდეგი საზღვარი საქართველოს სსრ-სა და რსფსრ-ს შორის: დასავლეთიდან — ყოფილი მაიაკოვსკის რაიონის ამჟამად არსებული საზღვარი, შემდეგ აღმოსავლეთის მიმართულებით — ქალაქ ქლუხორის ჩრდილოეთით, მდინარე მარას გასწვრივ, სოფელ ნიჟნი მარას გვერდაქცევით და გავიდეს ყოფილი უჩკულანის რაიონის საზღვარზე, სოფელ ვერხნი მარას სამხრეთით, შემდეგ ხაზმა გაიაროს სამხრეთით ყოფილი უჩკულანის რაიონის ამჟამად არსებულ აღმოსავლეთ საზღვარზე...

*სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე* **მ. კალინინი**
*სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი* **ა. გორკინი**
***მოსკოვი, კრემლი. 1944 წლის 12 ოქტომბერი.***

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ ქლუხორის რაიონის აულების გადარქმევისა და სასოფლო საბჭოებისა და სადაბო საბჭოს შექმნის შესახებ

**1. შეიცვალოს სახელწოდება საქართველოს სსრ ქლუხორის რაიონის შემდეგ აულებს და ეწოდოს:**

ა) აულ ზემო ტებერდას — **სოფელი ტებერდა**
ბ) აულ ქვემო ტებერდას — **სოფელი მზისა**
გ) აულ კამენომოსტს — **სოფელი ახალშენი**
დ) აულ უჩკულანს — **სოფელი მადნისხევი**
ე) აულ კარჯურტს — **სოფელი მთისძირი**
ვ) აულ ხურზუკს — **სოფელი ზედვაკე**

**2. გაერთიანდეს ხუტორები:**

ლასტოჩკა, მელნიჩნაია, ბოინია, ტებერდა პირველი, ტებერდა მეორე, და ტებერდა მესამე ერთ სოფლად და ეწოდოს სოფელი ხიდისკარი.

**3. შეიქმნას ქლუხორის რაიონის შემდეგი სასოფლო საბჭოები:**

ა) ტებერდის სასოფლო საბჭო, ცენტრით **სოფელ ტებერდაში**
ბ) მზისის სასოფლო საბჭო, ცენტრით **სოფელ მზისაში**
გ) ახალშენის სასოფლო საბჭო, ცენტრით **სოფელ ახალშენში**
დ) მადნისხევის სასოფლო საბჭო, ცენტრით **სოფელ მადნისხევში**

4. კურორტი ტებერდა გარდაიქმნას დაბად (ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტად) და შეიქმნას **დაბა ტებერდაში სადაბო საბჭო.**

*საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის*
*თავმჯდომარე* **ბ. სტურუა.**
*საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის*
*მდივანი* **ვ. ეგნატაშვილი.**
***1944 წლის 4 სექტემბერი. ქ. თბილისი.***



დასაწყისი მე-2 გვერდზე

## სვიმონ მასხარაშვილი:

### მსახიობი მიხეილ გელოვანი, რომელიც ჭიაურელის ფილმებში სტალინს ასახიერებდა, დაბლოკეს. უმძიმესი სტრესის გამო იგი გალოთდა და 1956 წლის 21 დეკემბერს, სტალინის დაბადების დღეს, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა!


კადრი ფილმიდან „ბერლინის დაცემა“ – მიხეილ გელოვანი სტალინის როლში

ბი მთლიანად მოწყდნენ ოფიცრობას და სწორედ 1955-1956 წლიდან დაიწყეს ქართველებმა „ჩალიჩი“, შემძვრალიყვნენ „კაპტიორკაში“... **ქართველები საშინლად დაამცირეს 1953 წლის სექტემბერში, როცა თბილისის „დინამომ“ მოსკოვის „ტორპედოს“ მოუგო და, როგორც სტადიონზე გამოაცხადეს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, მაგრამ, ხრუშჩოვის ჩარევით, მოხდა უპრეცედენტო რამ — მოგებული მატჩი გაგვიუქმეს, ნასვამ და ნაქეიფარ ქართველებს, რომლებმაც გამარჯვება აღნიშნეს, თავიდან ათამაშეს, „ტორპედოს“ ძალით მოაგებინეს და გამარჯვება წაგვართვეს,** რის შემდეგაც სსრკ ჩემპიონი **მოსკოვის „ტორპედო“** გახდა, რომელმაც ლენინგრადის „ზენიტთან“ დამარცხების შემდეგ უკვე კუიბიშეველებთან მოიპოვა გამარჯვება. 1956 წელს ხრუშჩოვმა დააპატიმრა „საქართველოს ისტორია“, რომელიც, სტალინის მითითებით, **ივანე ჯავახიშვილმა, სიმონ ჯანაშიამ და ნიკო ბერძენიშვილმა** დაწერეს... გარდა ამისა, კრემლმა საქართველოში ჩაშალა ყველა დიდი პროექტი.

**— რას გულისხმობთ?**

— სტალინისა და ბერიას დროს აშენდა რუსთავი, აშენდა ზესტაფონის „ფერო“, აშენდა „31-ე ქარხანა“, აშენდა ქუთაისის საავტომობილო ქარხანა... ხოლო სტალინისა და ბერიას მკვლელობის შემდეგ ქალაქკომის მდივანი **გიორგი გეგეშიძე,** ფაქტობრივად, ფარულად აგრძელებდა თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობას, როცა აცხადებდა — ატომური დაბომბვისთვის თავშესაფარს ვამზადებთო! სპორტის სასახლე რომ აეშენებინა, გეგეშიძემ მისი დანიშნულება შეფუთა და განაცხადა, თითქოსდა ბავშვთა სპორტული კომპლექსი შენდებოდა.

**— ამ ყველაფერმა რა შედეგი გამოიღო?**

— ამ ყველაფრის შედეგად კომუნისტური პარტიის მიმართ საქართველოში გაჩნდა უდიდესი უნდობლობა, საზოგადოება ჩავარდა ღრმა აპათიაში და ქვეყანაში ეროვნული მოძრაობის პარალელურად დაიწყო ე.წ. „ცეხავიკური“ მოძრაობა, როცა წმინდა აღარაფერი დარჩა და ყველა ფულის კეთებაზე გადავიდა!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



### „სინჯებზე ისე ფანტასტიკურად და შთამბეჭდავად ითამაშა სტალინი, კრემლში განგაში გამოცხადდა და სერგო ზაქარიაძე სასწრაფოდ როლიდან მოხსნეს!“

**ისტორიკოსის თვალით**

***ბოლო დროს უკრაინაში ატეხილი საშინელი ომის კვალდაკვალ, პოლონეთი განსაკუთრებით გააქტიურდა. როგორც კი იგრძნო, რომ ზელენსკიმ და მისმა ხროვამ ქვეყანა დაღუპეს, მაშინვე ყურები ცქვიტა, რადგან ძველი პოლონური მიწების, განსაკუთრებით კი გალიციის დაბრუნების პერსპექტივა დაინახა და ბელარუსსაც შეუღრინა. პოლონელების საეჭვოდ აფუთფუთება პუტინს არ გამოჰპარვია და 2023 წლის 23 ივლისს მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა —*** *„რაც შეეხება პოლონელ ლიდერებს, სავარაუდოდ, ისინი ნატოს ქოლგის ქვეშ იმედოვნებენ გარკვეული კოალიციის ფორმირებას და აპირებენ, პირდაპირ ჩაერიონ უკრაინის კონფლიქტში იმისთვის, რათა მოგვიანებით მსუყე ნაჭერი თავისთვის დაიტოვონ და დაიბრუნონ, როგორც ისინი მიიჩნევენ, საკუთარი ისტორიული ტერიტორიები — დღევანდელი დასავლეთ უკრაინა. თუკი პოლონური ძალები შევლენ ლვოვში ან უკრაინის სხვა ტერიტორიაზე, მაშინ ისინი იქ დარჩებიან სამუდამოდ. ახლანდელი პოლონეთის დასავლური ტერიტორიები ეს არის სტალინის საჩუქარი პოლონელებისთვის. ჩვენმა ვარშაველმა მეგობრებმა ეს დაივიწყეს, მაგრამ ჩვენ შევახსენებთ! რაც შეეხება ბელარუსს, ეს არის სამოკავშირეო სახელმწიფოს ნაწილი და ბელარუსის წინააღმდეგ აგრესიის განხორციელება აღქმული იქნება რუსეთის წინააღმდეგ აგრესიად. ამას ჩვენ ვუპასუხებთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალებით!“* ***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მამუკა კარტოზია იმ გერმანულ მიწებს ასახელებს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დასრულების ჟამს სტალინმა პოლონელებს გადასცა და მიიჩნევს, რომ ზელენსკის ხროვამ უკრაინა გაწირა:***

**პროფესორის სიტყვა**



### „პოლონეთს ბალტიის ზღვაზე ჰქონდა 70-კილომეტრიანი კორიდორი, მაგრამ სტალინის გადაწყვეტილებით, ეს 500 კილომეტრამდე გაუზარდეს!“

## მამუკა კარტოზია:

# იმ გერმანული მიწებიდან, რომელიც სტალინმა მიუერთა, პოლონელებს, მხოლოდ სასარგებლო წიაღისეულის სახით, დაახლოებით 130 მილიარდი დოლარის მოგება აქვთ ნანახი!

— თავიდანვე ვაცხადებ, რომ რუსეთის პრეზიდენტის განცხადება პოლონეთთან მიმართებაში აბსოლუტურად ადეკვატური და ისტორიულ ფაქტებზე დაფუძნებული გახლდათ. მოგეხსენებათ, უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში ევროპის პოლიტიკურმა რუკამ ფორმირება სამჯერ განიცადა. პირველად ეს მოხდა **1815 წლის ვენის კონგრესზე,** მეორედ — **1919 წლის ვერსალის საზავო კონფერენციაზე,** ხოლო მესამედ — **1945 წლის იალტისა და პოტსდამის კონფერენციებზე.**

1815 წლიდან 1918 წლამდე პოლონეთი რუსეთის იმპერიის განუყოფელი ნაწილი იყო და რუსეთის უკანასკნელი ხუთი იმპერატორი, **ალექსანდრე პირველით** დაწყებული, **ნიკოლოზ მეორით** დამთავრებული, „პოლონეთის მეფედ“ იწოდებოდა. პოტსდამის კონფერენციაზე, რომელიც 1945 წლის 17 ივლისს დაიწყო და 2 აგვისტოს დასრულდა, **სტალინის მეცადინეობით, პოლონეთი გეოგრაფიული ცნებიდან სერიოზულ, რაფინირებულ ევროპულ სახელმწიფოდ იქცა, რომელსაც უდიდეს ომში გამარჯვებულმა ბელადმა დამარცხებული გერმანიის მიწები გადასცა.**

**— ბატონო მამუკა, მაინც რომელი გერმანული მიწები გადასცა სტალინმა პოლონეთს?**

— მდინარე ოდერისა და ნეისის აღმოსავლეთით მდებარე გერმანული მიწები სწორედ პოლონეთს შეუერთეს. კერძოდ, სტალინმა პოლონეთს გადასცა: **აღმოსავლეთ პომერანია, სილეზია, აღმოსავლეთ ბრანდერბურგი,** თავისუფალი ქალაქი **დანციგი,** რომელსაც **„გდანსკი“** დაარქვეს და გერმანული **შტეტინის პორტი,** რომელსაც პოლონელებმა **შჩეცინი** უწოდეს.

პოლონეთს ბალტიის ზღვაზე ჰქონდა 70-კილომეტრიანი კორიდორი, მაგრამ, სტალინის გადაწყვეტილებით, ეს 70 კილომეტრი 500 კილომეტრამდე გაუზარდეს. **მთელი აღმოსავლეთ პრუსიის ძირითადი ნაწილი სტალინმა სწორედ პოლონეთს აჩუქა, ხოლო საბჭოთა კავშირს, კერძოდ, რუსეთის ფედერაციას, შედარებით მცირე ნაწილი მიაკუთვნა ძველი კენიგსბერგის, ახლანდელი კალინინგრადის, ოლქის სახით.**

მოკლედ, 1945 წლის პოტსდამის კონფერენციაზე პოლონეთს გადაეცა დაახლოებით **100 ათასი კვადრატული კილომეტრი გერმანული მიწა,** რაც იმ ტერიტორიის მეოთხედი იყო, რასაც 1937 წელს ფაშისტური გერმანია ფლობდა. ბუნებრივად დაისმის კითხვა: **რომ არა სტალინი და საბჭოთა კავშირი, პოლონეთი ასეთ საოცნებო საჩუქარს მიიღებდა?** ცხადია, ვერ მიიღებდა! ეს საჩუქარი ფულით ვერ აიწონება, მაგრამ დასავლეთ გერმანელმა მეცნიერებმა ძალიან საინტერესო კვლევა ჩაატარეს და დაადგინეს, რომ **1945 წლიდან დღემდე, იმ გერმანული მიწებიდან, რომელიც სტალინმა მიუერთა, პოლონელებს, მხოლოდ სასარგებლო წიაღისეულის სახით, დაახლოებით 130 მილიარდი ამერიკული დოლარის მოგება აქვთ ნანახი!**

**— თითქმის არავინ იხსენებს იმ ფაქტს, რომ 1938 წლის 30 სექტემბერს, როცა მიუნხენის სამარცხვინო შეთანხმებას ხელი ეწერებოდა, პოლონელებმა ისარგებლეს ჩეხების უმძიმესი მდგომარეობით, ფაქტობრივად, გერმანელებთან ერთად შეიჭრნენ ჩეხეთში და დაიკავეს ტეშინის ოლქი, რომელიც პოლონეთსა და ჩეხეთს შორის დავის საგანი იყო!**

— აბსოლუტურად გეთანხმებით! უფრო მეტიც, **1944 წელს პოლონეთის დევნი-**



„1945 წლის პოტსდამის კონფერენციაზე პოლონეთს გადაეცა დაახლოებით 100 ათასი კვადრატული კილომეტრი გერმანული მიწა, რაც იმ ტერიტორიის მეოთხედი იყო, რასაც 1937 წელს ფაშისტური გერმანია ფლობდა!“

# ვლადიმერ პუტინი:

**ახლანდელი პოლონეთის დასავლური ტერიტორიები — ეს არის სტალინის საჩუქარი პოლონელებისთვის. ჩვენმა ვარშაველმა მეგობრებმა ეს დაივიწყეს, მაგრამ ჩვენ შევახსენებთ!**



# «უკრაინის ბედი გადაწყვეტილია – მას დაშლიან და იმ საზღვრებში, რომელშიც ჩვენ გვახსოვს, ვერასოდეს აღდგება!»




**„ეს მიწები რომ უკრაინას მიუერთდა, არ არის სტალინისა და რუსეთის დამსახურება? შეიძლება ადამიანი, პოლიტიკური ლიდერი ისეთი უმადური იყო, რომ ეს ყველაფერი არაფრად ჩააგდო?“**

**„უკრაინამ თავის თავს განაჩენი გამოუტანა... ხოლო, რასაც ზელენსკი ეკლესიის წინაშე სჩადის, როცა მართლმადიდებლობას ომი გამოუცხადა და მიტროპოლიტი პავლე დააკავა, უდიდესი მკრეხელობაა!“**



*მიტროპოლიტი პავლე სასამართლო დარბაზში, განსასჯელის სკამზე*

**ლი ხელისუფლების პრემიერ-მინისტრი სტანისლავ მიკოლაიჩიკი ჩამოვიდა მოსკოვში და სტალინმა მიიღო. უკვე ჰიტლერის ბედი გადაწყვეტილი იყო და მიკოლაიჩიკმა ბელადს გაუბედა — იქნებ ლვოვიც მოგვცეთო!** სტალინმა პოლონეთის პრემიერ-მინისტრ მიკოლაიჩიკს ლვოვის გადაცემაზე კატეგორიული უარი უთხრა და განუცხადა — **ჩვენ უკრაინის მიწებით არ ვვაჭრობთო!** მოგეხსენებათ, დღევანდელი პოლონეთ-უკრაინისა და პოლონეთ-ბელარუსის საზღვრები ძირითადად „კერზონის ხაზს“ მიუყვება, რომელიც 1920 წელს ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლორდმა კერზონმა წარმოადგინა.

პოტსდამის კონფერენციის დასრულების შემდეგ, 1945 წლის 16 აგვისტოს, საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის საბოლოოდ გაფორმდა სასაზღვრო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც უკრაინას გადაეცა **ლვოვი, ივანო-ფრანკოვსკი, ტერნოპოლი, ვოლინიისა და როვნოს ოლქები... ეს მიწები რომ უკრაინას მიუერთდა, არ არის სტალინისა და რუსეთის დამსახურება? შეიძლება ადამიანი, პოლიტიკური ლიდერი ისეთი უმადური იყო, რომ ეს ყველაფერი არაფრად ჩააგდო?**

**უკრაინა ხელოვნურად შექმნილი და შეკოწიწებული სახელმწიფოა, რომელსაც შვიდი ქვეყანა ესაზღვრება – რუსეთი, ბელარუსი, პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი, მოლდოვა და სლოვაკეთი... შვიდივე ქვეყანას უკრაინასთან ტერიტორიული პრეტენზია აქვს, რადგან, როცა სტალინმა საბჭოთა უკრაინა შექმნა, ყველა ამ სახელმწიფოს რაღაც წაართვა და უკრაინას მიუერთა.**

**— რა ბედი ელის უკრაინას?**

— **უკრაინის ბედი გადაწყვეტილია — მას დაშლიან და იმ საზღვრებში, რომელშიც ჩვენ გვახსოვს, ვერასოდეს აღდგება!** 1783 წელს, როცა **პავლე პოტიომკინმა შაჰინ გირეი** დაამარცხა, ყირიმი თურქეთს წაართვა და რუსეთის იმპერიას მიუერთა, მაშინ უკრაინის ხსენება არ ყოფილა. **ეკატერინე მეორემ** ამ დამსახურებისთვის პოტიომკინს „კნიაზ თავრიდსკი“ უწოდა. 988 წელს **ვლადიმერ სვიატოსლავის ძე** სწორედ ხერსონესში მოინათლა. ნიკოლაევი, ანუ წმინდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სახელი იმ ქალაქს იმიტომ ჰქვია, რომ 1788 წელს რუსებმა თურქეთს ოჩაკოვი წაართვეს.

**უკრაინამ თავის თავს განაჩენი გამოუტანა... ხოლო, რასაც ზელენსკი ეკლესიის წინაშე სჩადის, როცა მართლმადიდებლობას ომი გამოუცხადა და მიტროპოლიტი პავლე დააკავა, უდიდესი მკრეხელობაა!**

**— კი მაგრამ, ამერიკელებმა 2014 წლიდან უკრაინაში უბედურება იმისთვის ატეხეს, რომ რუსეთი კიდევ უფრო გაეძლიერებინათ და უკრაინა დაენგრიათ?**

— ამერიკელების პოლიტიკა გამოირჩევა განსაკუთრებული სივერაგით... მაგალითად, ცნობილია, რომ **ალენ დალესის** მეშვეობით, ისინი მეორე მსოფლიო ომის დროს სეპარატისტულ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ფაშისტ გენერალ **კარლ ვოლფთან,** ხოლო 1944 წლის 6 ივნისს მეორე ფრონტი მანამ არ გახსნეს, სანამ არ დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა კავშირი ომს უსათუოდ მოიგებდა და მთელ ევროპას გაათავისუფლებდა.

**გვახსოვდეს, რომ ჰიტლერსაც უდიდესი მხარდაჭერა ჰქონდა ევროპაში და მსოფლიოს ცნობილი ტვინები — კნუტ ჰამსუნი, მარტინ ჰაიდეგერი, ჰერბერტ ფონ კარაიანი ფიურერს აღმერთებდნენ.** მაგალითად, ცნობილია, რომ 1943 წელს, როცა გერმანიას გაუჭირდა, **კნუტ ჰამსუნმა** თავისი ნობელის პრემიის ოქროს მედალი ჰიტლერს გაუგზავნა — გადაადნეთ და გამოიყენეთო!

დღეს ამერიკელების პოლიტიკური კრედო, რომელიც მათმა გურუებმა — **ზბიგნევ ბჟეზინსკიმ და ჰენრი კისინჯერმა** განსაზღვრეს, ეფუძნება სამარცხვინო იდეოლოგიას, რომლის თანახმადაც პატარა ერები უნდა გაქრნენ, რადგან მათი ადგილი ისტორიაში არ არის! ამერიკა საბოლოოდ ჩამოყალიბდა ექსპანსიონისტ სახელმწიფოდ, რომელსაც აქვს ამბიცია, გახდეს ახალი რომი და რომელსაც მაიდნის მოწყობა შეუძლია კიევშიც, ბიშკეკშიც, ალმა-ატაშიც და თბილისშიც... ამერიკელებმა ძალიან კარგად იციან, რომ უკრაინის გარეშე რუსეთს მომავალი არა აქვს, ამიტომაც თავიდან მათ მოადუნეს რუსეთი, რადგან **ელცინი** თავიდან ბოლომდე მათი იყო და მოსკოვს პირობა მისცეს, რომ გერმანიის გაერთიანებისა და ბალტიისპირეთის დათმობის სანაცვლოდ ნატო არ გაფართოვდებოდა. **მახსოვს, ელცინის დროს დოკუმენტიც კი შეიქმნა, სადაც ნატო რუსეთის მთავარ საფრთხედ კი არა, პარტნიორად და მოკავშირედაც კი განიხილებოდა.** აი, ამ ფონზე ამერიკელებმა არ შეასრულეს თავიანთი პირობა, მთელი აღმოსავლეთ ევროპა გააწევრიანეს ნატოში და რუსეთის საზღვართან დაიწყეს რაკეტების განთავსება. სწორედ ამას მოჰყვა ის უბედურება, რასაც დღეს უკრაინაში ვხედავთ. გაიხსენეთ **პოროშენკოს** ინტერვიუ, სადაც ის ამბობს — **ჩვენ ომისთვის ვემზადებოდითო!**

**— უკრაინა საბოლოოდ გაწირეს?**

— **დიახ, უკრაინა ზელენსკიმ და მისმა ხროვამ გაწირეს!** პოლიტიკაში ფასობს ორი რამ — სახელმწიფოს კეთილდღეობა და შედეგი! ზელენსკი რას უტოვებს უკრაინელებს? მიწასთან გასწორებულ და უკრაინელებისგან დაცლილ უკრაინას, რომელსაც დაკარგული აქვს ყირიმი, მთელი აღმოსავლეთ უკრაინა — ე.წ. **მალოროსია** და არსებობს ძალიან დიდი საფრთხე, რომ ასევე დაკარგოს სხვა ტერიტორიებიც, რომლებსაც რუსეთის გარდა ის დანარჩენი ექვსი მოსაზღვრე სახელმწიფოც მისატაცებლად ეღერება. აღარაფერს ვამბობ იმ ადამიანურ მსხვერპლზე, რომლის დაბრუნება შეუძლებელია. **ცხადია, ზელენსკის ეს დიდად არ ანაღვლებს, რადგან ის უკრაინელი არ არის!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“, № 39-40*

# თავი მეორე

## აღმოსავლეთ საქართველოს განსაცდელი და თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ღვაწლი საქართველოს წინაშე


ივ. ჯავახიშვილი

დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში.

ქართული კლუბის გამოცემა.

თბილისი.
სახელმწიფო სტამბა
1919.



საქართველო, განსაკუთრებით აღმოსავლეთი, მტრების სათარეშოდ იქცა. ჯერ ოსმალეთი, შემდეგ **ნადირშაჰის** დროს სპარსელები სცარცვამდენ და აოხრებდენ ქვეყანას. აღმ. საქართველოს სახელმწიფოებრივი მანქანა მთლად მოშალეს, ყოველგვარი ადგილობრივი დაწესებულება მოსპეს და ჯერ ოსმალთა ფაშები, შემდეგ სპარსეთის ვექილები განაგებდენ საქმეს. მხოლოდ ფრთხილი, შორსგამჭვრეტელი პოლიტიკისა და დაუცხრომელი თანდათანობითი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის წყალობით **მეფე თეიმურაზ II-ემ და ერეკლე II-ემ** და მათმა ღირსეულმა თანამშრომლებმა აღმოსავლეთი საქართველო იმ საშინელ განსაცდელს გადაარჩინეს, რომელშიაც იგი **პეტრე I**-ის გადამკიდე ჩავარდნილი იყო.

**თეიმურაზ II-ისა და ერეკლე მეფის** ღვაწლი მარტო საქართველოს სამხედრო გაძლიერებითა და გარეშე მტრებისგან უზრუნველყოფით-კი არ ამოიწურება, თვით იმ დროინდელი ქართველობის ცხოვრებისა და კულტურის ვითარებაც მხოლოდ გარეგან წესიერებისა და მშვიდობიანობის დამყარებით-კი არ განისაზღვრება, არამედ თვალსაჩინო შინაგანი აღმაშენებლობაც სწარმოებდა. სახელმწიფოებრივს წესწყობილებაშიაც, ეკონომიურს სფეროშიაც, მეცნიერებასა და ხელოვნებაშიაც საგულისხმო და ცხოველმყოფელი შემოქმედება იყო.

**სპარსთა და ოსმალთა გამანადგურებელი ბატონობის წყალობით გახრწნილი სახელმწიფო წესწყობილება მეფე თეიმურაზისა და ერეკლეს წყალობით განახლებული იქმნა:** ჯერ საგანგებო გამოკვლევების საშუალებით ქართული სახელმწიფო სამართლის სხვადასხვა სფეროები იყო შესწავლილი, ხოლო შემდეგ სწყდებოდა ხოლმე საკითხი იმის შესახებ, თუ რა ცვლილება იყო საჭირო ამათუიმ დაწესებულებაში, რომ იმდროინდელი ცხოვრების შესაფერისი ყოფილიყო. ამ გვარად გადასინჯული და შესწორებულ-შევსებული იყო ადგილობრივი მართვა-გამგეობის საკითხი **(ქიზიყისა და კახეთის გარიგება)**, საქალაქო მმართველობის და თვითმმართველობის ძირითადი დებულებანი **(ქალაქის მოურავის სარგო და გარიგება)**. კვლავ განახლებული იყო საქართველოს მკვიდრთა დროგამოშვებითი აღწერა და შემოსავლის დავთრების შედგენა. **ერეკლე მეფემ** მორიგე ჯარის დაწესება შემოიღო და მუდმივი ჯარის არსებობას საქართველოში საძირკველი ჩაუყარა. ამავე დროს მოხდა ქართული სამართლის ძეგლების შესწავლა შინაარსის მხრივ და საკოდიფიკაციო მუშაობის პირველი საფეხური განვლილი იყო.

საქართველოს ეკონომიური და საფინანსო ძალის გამოსაცოცხლებლად და გასაღონიერებლად **ერეკლე მეფემ** საქართველოს მდიდარი მადნების დამუშავება განაახლებინა. უცხოეთითგან დახელოვნებული მემადნენი დაიბარა და წინანდებურად ქართული ლითონის ფულის მოჭრა დაიწყო.

საქართველოში ევროპული სამეცნიერო ცოდნის გასავრცელებლად უცხო ენებითგან საუკეთესო თხზულებები ითარგმნებოდა, თანაც მეცნიერების ყოველ დარგისთვის პატარ-პატარა სახელმძღვანელოები მზადდებოდა. ამ სფეროში განსაკუთრებული ღვაწლი **ანტონ კათალიკოსს** მიუძღვის, რომლის ღრმა და მრავალმხრივი სამეცნიერო ცოდნა იმდენადვე გასაოცარია, როგორადაც მისი დაუღალავი ენერგია და ნაყოფიერება. ბატონიშვილი ვახუშტის შესანიშნავი კრიტიკული მიმართულების წყალობით, ქართულმა საისტორიო მწერლობამაც თვალსაჩინო წარმატება გამოიჩინა. საქართველოს ისტორიის ძველი შრომა გადასინჯული იყო და წყაროების ფაქიზი სარგებლობის მხრივ ფრიად შინაარსიანი ახალი მატიანე დაიწერა. მშვენიერია თავის ღრმა აზროვნებითა და შორსგამსჭვრეტელობით **პაპუნა ორბელიანის** ორიგინალური საისტორიო თხზულება **თეიმურაზ II-ისა და ერეკლე მეფის მოღვაწეობის შესახებ,** რომელშიაც ასე საუცხოვოდ სჩქეფს ავტორის მამულიშვილური გრძნობა და გამოსჭვივის ისტორიკოსის მიუდგომელი, ბრძენი გონება.

თვით მხატვრულს მწერლობასაც თვალსაჩინო წარმატება ემჩნევა: ძველი, უკვე დრომოჭმული ენისა და იერის მაგიერ უკვე ახალი, ხალხური პოეზიის სალაროთგან მომდინარე მიმართულებისა და ენის ნიშან-წყალი ეტყობა. ამ მხრივ იგი ახალი ქართული მწერლობის წინამორბედი იყო. ერთი სიტყვით, ყველაფერი ცხოველმყოფელი შემოქმედებითი სულით იყო მონაბერი და მომავალი თვალსაჩინო აღორძინების მომასწავებელი იყო. ცხადია, რომ ამისთვის მხოლოდ ხელშემწყობი, მყუდრო ცხოვრება იყო საჭირო და **თეიმურაზ II-ისა** და **ერეკლე მეფის** მუდმივი საზრუნავიც სწორედ ეს იყო.


თეიმურაზ მეორე


ერეკლე მეორე


სოლომონ პირველი

**თეიმურაზ მეფეს** უნდოდა, რომ თავისი პოლიტიკური გამარჯვების შედეგი სამუდამოდ უზრუნველ ეყო. ამიტომ მან იფიქრა, რომ ორ ძლიერ მაჰმადიან სახელმწიფოს, ოსმალეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ პატარა ქართველ ერს და საქართველოს ძლიერი მფარველი მოკავშირე ესაჭიროებოდა. მას ეგონა, რომ ასეთ მფარველად სწორედ **ერთმორწმუნე რუსეთი და მათი ხელმწიფეები** გამოდგებოდნენ, ამიტომ 1752 წ. **თეიმურაზ მეფემ** რუსთა ხელმწიფეს **ელისაბედ პეტრეს ასულს სვიმონ მაყაშვილი და ათანასე ტფილელი** ელჩად

გი იქმნებოდა და ამიტომ საქართველოს არსებობაც გაახსენდა. **რუსეთის სამხედრო გეგმა ისე იყო შედგენილი, რომ ოსმალეთთან ომში ბერძნები და სლავები და საქართველოს სამეფოებიც უნდა ყოფილიყვნენ ჩათრეულნი** (პროფ. ა. ცაგარელი Грамоты I, გვ. II და Бутковъ. Матеріалы I, 274, 275). **მაგრამ ქართველებს გარდა, სხვებმა ყველამ სიფრთხილე და წინდახედულობა გამოიჩინეს და რუსეთის მთავრობის დაგებულს ქსელში არ გაებნენ.**

ამ გეგმის განსახორციელებლად რუსეთის დეფოფალმა

შეკვრის დროს საქართველოს თავისუფლების შესახებაც ხელშეკრულებაში პირობა იქმნებოდა შეტანილი **(პროფ. ა. ცაგარელი Грамоты I, 24 და Бутковъ. Матеріалы I, 277). სოლომონსაცა და ერეკლე მეფესაც** ეგონათ, ეხლა კი ნამდვილად ეღირსებოდნენ იმ სამხედრო დახმარებას, რომელსაც საქართველო ასე დაჟინებით სთხოვდა რუსეთს. ორთავემ სიხარულით ომში ჩარევის თანხმობა განაცხადეს იმ პირობით კი, რომ რუსეთიც თავის მხრივ საქართველოში საკმაო ჯარს გამოგზავნიდა **(ბუტკოვი I, 277-278)**.

# თავი მესამე

## დამოკიდებულება საქართველოსა და რუსეთს შორის 1783 წ. ხელშეკრულებამდე

### § 1.

### რუსეთ-ოსმალეთის პირველი ომი ეკატერინე მეორის დროს, საქართველოს ჩათრევა ამ ომში ოსმალეთის წინააღმდეგ და ამის შედეგი.

გაუგზავნა და მაჰმადიან ძლიერ მეზობლებისგან მფარველობა და შველა სთხოვა, მაგრამ რუსეთითგან მფარველობაზე უარი მოუვიდა: **რუსეთს არავითარი სურვილი არ ჰქონდა, რომ საქართველოს გულისთვის ოსმალეთს და სპარსეთს წასჩხუბებოდა. მშვიდობიანობა იყო და საქართველო რუსეთს მაშინ არ ესაჭიროებოდა** (Бутковъ. Матеріалы I, 240. პ. ორბელიანი. ჭიჭ. 217. ჩუბ. 458).

მაგრამ თექვსმეტი წლის შემდგომ, 1768 წ., როდესაც ოსმალეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა და რუსეთი უნებლიედ უნდა ბრძოლაში ჩაბმულიყო, მაშინ მისთვის საქართველო რასაკვირველია, ძალიან გამოსადე-

**ეკატერინე II-ემ** მინისტრთა უპირველესმა იმერეთის მეფეს **სოლომონ I**-ს საგანგებო მოციქულის **თ-დ ხვაბულოვის (ქობულიშვილის)** ხელით მოსწერა, რომ რუსეთი ოსმალეთს ეომება და ეს ომი მას სწორედ ეხლა საუკეთესო საშუალებას აძლევს, დააღწიოს თავი ოსმალთა ბატონობას. ამისთვის მას ჯარი უნდა შეეყარა და თანაც ცდილიყო, რომ ამავე ომში **ერეკლე მეფეც** გაერია და მათ ორთავეს საქართველოს შეერთებულ ლაშქრობით რუსების დახმარებით ოსმალთა წინააღმდეგ ებრძოლათ **(იხ. პროფ. ცაგარელის Грамоты I, 21, 25)**. რუსეთის მინისტრთა უპირველესი დედოფლის მაგიერ ატყობინებდა, რომ ზავის

იმავე დროს, როდესაც **ერეკლე მეფესთან** რუსეთის ხელმწიფის ელჩი ტფილისში ჩამოვიდა და ცდილობდა, რომ ოსმალთა წინააღმდეგ ომში საქართველოსაც, ვითარცა რუსეთის მოკავშირეს, მონაწილეობა მიეღო, ტფილისშივე **ერეკლე მეფესთან** ოსმალეთის დესპანები იმყოფებოდნენ, რომელნიც თავის მთავრობის პირით მხოლოდ იმას სთხოვდნენ, რომ ამ ომში საქართველო არ ჩარეულიყო. **ერეკლე მეფემ ოსმალეთის ელჩები უპასუხოდ გაისტუმრა და უყოყმანოდ რუსეთს მიემხრო** (Бутковъ. Матеріалы I, 278.).

რუსეთის მთავრობამ საქართველოში ოსმალეთის საწინააღმდეგოდ სამხედრო მოქმედებისთვის **გენ. გრაფი ტოტლებენი** გამოგზავნა ერთი ქვეითი პოლკით, 2 ასეული ცხენოსან კარაბინერებით, 2 ასეულ ცხენოსან ჰუსარებით, 200 დონის ყაზახით, 300 ყალმუხით და 12 საველე ზარბაზნით **(ომან ხერხეულიძე. ჭიჭ. 264, ჩუბ. 491 და Бутковъ. Матеріалы I, 280-281).**

**1770 წ. ერეკლე მეფე საქართველოს ჯარითურთ და ტოტლებენი რუსის ჯარითურთ ახალციხის საფაშოს შეესივნენ და აწყურის ციხეს მიადგნენ. სამი დღის ბრძოლის შემდგომ რუსეთის ჯარის უფროსმა მოულოდნელად ბრძოლის ველს და აღმ. საქართველოს თავი მიანება და მთელი თავისი ლაშქრითურთ უკან გაბრუნდა** (ხერხეულიძე. ჭიჭ. 264, ჩუბ. 491 და Бутковъ I, 281-282).

**თავზარდამცემი იყო რუსეთის მხედრობის უფროსის ღალატის მსგავსი საქციელი და ამიტომ „მეფე ერეკლე მრავალს ეხვეწნა“ ტოტლებენს, მაგრამ „მან არა უსმინა“** (იხ. ხერხეულიძე. ჭიჭ. 264, ჩუბ. 491). **ამგვარად რუსეთისავე წყალობით და რუსთა გულისთვის ოსმალეთთან ომში ჩათრეულ აღმოს. საქართველო რუსეთის ჯარის სარდლის მიერვე მრავალრიცხოვან მტრის წინაშე მუხანათურად მარტოდ-მარტო იყო დატოვებული.** საშინელი მდგომარეობა შეიქმნა, მაგრამ ამ უაღრეს განსაცდელის დროსაც **ერეკლე მეფის** დიდებულმა სამხედრო ნიჭმა იხსნა ჩვენი ერი და სამშობლო სხვაფრივ აუცილებელი განადგურებისაგან: **მცირე ლაშქრითურთ მან სამხედრო გეგმისა და ხერხის წყალობით რუსთა მოქმედებით გათამამებული ოსმალთა მრავალრიცხოვანი ჯარი ჯერ ადგილობრივ, შემდეგ ს. ასპინძასთან საშინლად დაამარცხა და მთლად მოსპო** (იხ. ხერხეულიძე. ჭიჭ. 264-266, ჩუბ. 491-492 და Бутковъ. Матеріалы I, 282).

**რუსთა ჯარის მიერ ვერაგულად მიტოვებულსაც მოსვენებას არ აძლევდა ერეკლე მეფეს რუსეთის „მინისტრად წარმოვლენილი“ ლვოვი და ოსმალეთის წინააღმდეგ სხვა და სხვა საბუთებით საომრად აქეზებდა.** სწორედ „ამისის რჩევით“ **მეფე ერეკლე** 1771 წ. კვლავ ახალციხის საფაშოს შეესია და ხერთვისის ციხე და ქალაქი აიღო, მაგრამ როდესაც ციხეში თავის მეციხოვნენი შეაყენა, რუსეთის წარმომადგენელმა ამას წინააღმდეგობა გაუწია იმიტომ, რაკი ოსმალთა დიდი ჯარის მოსვლისა ეშინოდა, რომ მოვიდენ და „ძალად

# სტალინისეული «უმცირესი ბოროტება» –

II თავი.

## აღმოსავლეთ საქართველოს განსაცდელი და თეიმურაზ II და ერეკლე II ღვაწლი საქართველოს წინაშე.

საქართველო, განსაკუთრებით აღმოსავლეთი, მტრების სათარეშოდ იქცა. ჯერ ოსმალეთი, შემდეგ ნადირშაჰის დროს სპარსელები სცარცვამდენ და აოხრებდენ ქვეყანას. აღმ. საქართველოს სახელმწიფოებრივი მანქანა მთლად მოშალეს, ყოველგვარი ადგილობრივი დაწესებულება მოსპეს და ჯერ ოსმალთა ფაშები, შემდეგ სპარსეთის ვექილები განაგებდენ საქმეს. მხოლოდ ფრთხილი, შორსგამსჭვრეტელი პოლიტიკისა და დაუცხრომელი თანდათანობითი სახელმწიფოებრივი აღმაშენებლობის წყალობით მეფე თეიმურაზ II-ემ და ერეკლე II-ემ და მათმა ღირსეულმა თანამშრომელებმა აღმოსავლეთი საქართველო იმ საშინელ განსაცდელს გადაარჩინეს, რომელშიაც იგი პეტრე I-ის გადამკიდე ჩავარდნილი იყო.

თეიმურაზ II-ისა და ერეკლე მეფის ღვაწლი მარტო საქართველოს სამხედრო გაძლიერებითა და გარეშე მტრებისაგან უზრუნველყოფით-კი არ ამოიწყვება, თვით იმ დროი… ცხოვრებისა და კულტურის ვითარებაც მხოლ… ბისა და მშვიდობიანობის დამყარებით-კი არ …

III თავი.

## დამოკიდებულება საქართველოსა და რუსეთს შორის 1783 წ. ხელშეკრულებამდე.

### § 1. რუსეთ-ოსმალეთის პირველი ომი ეკატერინე II დროს, საქართველოს ჩათრევა ამ ომში ოსმალეთის წინააღმდეგ და ამის შედეგი.

თეიმურაზ მეფეს უნდოდა რომ თავისი პოლიტიკური გამარჯვების შედეგი სამუდამოდ უზრუნველ ეყო. ამიტომ მან იფიქრა, რომ ორ ძლიერ, მაჰმადიან სახელმწიფოს, ოსმალეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ პატარა ქართველ ერს და საქართველოს ძლიერი ერთგული მფარველი მოკავშირე ესაჭიროებოდა. მას ეგონა, რომ ასეთ მფარველად სწორედ ერთმორწმუნე რუსეთი და მათი ხელმწიფეები გამოდგებოდენ. ამიტომ 1752 წ. თეიმურაზ მეფემ რუსთა ხელმწიფეს ელისაბედ პეტრეს ასულს სვიმონ მაყაშვილი და ათანასე ტფილელი ელჩად გაუგზავნა და მაჰმადიან ძლიერ მეზობლებისაგან მფა… …ხოვა. მაგრამ რუსეთითგან მფარველობაზე … არავითარი სურვილი არა ჰქონდა, რომ სა… …ს ოსმალეთს და სპარსეთს წასჩხუბებოდა.

# ისტორია, როგორიც იგი არის!

აგართვან, სირცხვილი არისო" **(იხ. ხერხეულიძე. ჰიჭ. 266, ჩუბ. 492-493).**

მეორედაც 1772 წ. **ლვოვმა** კიდევ იმდენი მოახერხა, რომ **ერეკლე მეფეს** ჩააგონა **„ერთხელ კვლავ დაჰკარ ხვანთქრის მამულსაო"** და მანაც **სოლომონ მეფეც** მოიმხრო და შეერთებულის ლაშქრით ჯერ ჯავახეთის ახალქალაქს გარსშემოერტყნენ და **სოლომონ მეფე** საოფლით რომ არ გამხდარიყო, აიღებდენ კიდეც, შემდეგ როდესაც ამ მოარულის გამო აქეთგან აიყარნენ, მოარბიეს ახალციხის, არტაანის და ჯავახეთის ოლქები **(იხ. ხერხეულიძე. ჰიჭ. 267, ჩუბ. 493).**

ორთავე შემთხვევა სრულებით ცხადჰყოფს, რომ რუსეთის წარმომადგენელს თავისი მთავრობის გეგმისაებრ საქართველოს დანიშნულებად ამ ომში მიწა-წყლის დაჭერა-კი არ მიაჩნდა, არამედ უმთავრესად შესევითა და თარეშის საშუალებით ოსმალეთის მუდმივი შეწუხება, რომ ოსმალეთის მთავრობა იძულებული ყოფილიყო, აქ საკმაო ჯარი დაებანდებინა.

როდესაც **ტოტლებენი** რუსის ჯარითურთ დასავლეთს საქართველოში გადავიდა, იქ იგი **სოლომონ მეფის** ქართულ ლაშქარს შეუერთდა. შეერთებული ძალით ოსმალები შორაპნის, ბაღდადისა და ქუთაისის ციხეებითგან განდევნილ იქმნენ (Бутковъ, Матеріалы I, 282-284). შემდეგ ფოთის ციხე უნდა წაერთმიათ თურქებისთვის, მაგრამ ვერც **ტოტლებენმა** და ვერც მის მაგიერ დანიშნულმა გენ. **სუხოტინმა** ჯარის სიმცირის გამო ფოთის აღება ვერ მოახერხეს.

1771 წ. რუსეთის ჯარმა ჯერ ფოთს თავი მიანება, მერმე დასავლეთი საქართველოც სრულებით მიატოვა და აღმ. საქართველოში გადავიდა სადგომად, ხოლო 1772 წ. რუსეთის დედოფალმა **„წარასხნა მხედრობა თვისი მიზეზითა ამით, რომელ ზავ-ჰყო ხონთქარისა თანა"** (Бутковъ, Матеріалы I, 285-6 და იხ. ხერხეულიძე. ჰიჭ. 267. ჩუბ. 493).

ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში უნდა ჩავარდნილიყო რუსეთის წყალობით ოსმალეთთან ომში ჩაბმული საქართველო, როდესაც, **ეკატერინე II**-ის ბრძანებით, რუსეთის მცირერიცხოვანმა ჯარმაცკი საქართველო მიატოვა! თვით ხონთქარიც ხომ რასაკვირველია საქართველოზე განრისხებული იყო და რაკი **„განძვინდა მეფის ირაკლის ზედა",** მას არც ფული, არც ჯარები დაუზოგია, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ომში ჩარევისთვის სამაგიერო გადაეხადა. **ოსმალებმა ფულით ლეკებიც საქართველოზე აამხედრეს და ჩრდილო-აღმოსავლეთითგან დაღესტნელნი, სამხრეთ-დასავლეთითგან ოსმალები ქვეყანას მოსვენებას არ აძლევდენ და აოხრებდენ** (იხ. ხერხეულიძე. ჰიჭ. 267-268. ჩუბ. 494, Бутковъ. Матеріалы I, 289).

მეორეს მხრით, **არც სპარსეთს მოსწონებია საქართველოსაგან რუსეთის ცხადი მომხრეობა და სამხედრო მოკავშირეობა. რუსეთის მსწრაფს გაძლიერებას და გადიდებას იგი შიშის თვალით შეჰყურებდა და რასაკვირველია, როდესაც სპარსეთის შაჰის მოადგილემ ქერიმხანმა „სცნა მეფის ირაკლისაგან რუსეთის იმპერიასა საფარველსა ქვეშე შესვლა, განძვინდა ამისთვის" და საქართველოს წინააღმდეგ ჯარითურთ წამოვიდა** (იქვე ჰიჭ. 268. ჩუბ. 494).

**აი, რა მდგომარეობაში ჩააგდო რუსეთის მთავრობამ საქართველო თავისი სამხედრო გამარჯვების გულისათვის.**

ადვილი არ იყო ამგვარ ორპირ მოვლენილ განსაცდელისგან თავის დაღწევა. როდესაც **ერეკლე მეფემ** ქერიმხანის გამოლაშქრების ამბავი შეიტყო **„არა მცირედ მწუხარე იქმნა, ვინაიდგან იმედეულმან რუსეთისა მფარველობისამან არა რიდა ბრძოლად ხვანთქარისა და არცა-ღა ჰმორჩილებ-და მოადგილესა ყაენისასა და ამ ჟამად დაშორებული იყო მფარველობა რუსეთისა"** (იხ. ხერხეულიძე. ჰიჭ. 268. ჩუბ. 494).

რუსეთმა თავის მიზანს მიაღწია, ოსმალეთის ომის საფრთხე ზავის გამო უკვე აღარ არსებობდა. ამიტომ საქართველოსაც მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა და დანაპირებ მფარველობის გაწევა თითქოს დაავიწყდა კიდეც. სხვა საშუალება აღარ იყო, **საქართველოს ისევ თავის საკუთარ ძალით და გამჭრიახობით უნდა მოეწყო ძლიერ მეზობლებთან ასე მოუფიქრებლივ გაფუჭებული დამოკიდებულება.**

## § 2.
## აღმ. საქართველოს მდგომარეობა 1773–1783 წ. ერეკლე მეორის დამოუკიდებელი პოლიტიკის წყალობით

თავის დიდ დიპლომატიურ ნიჭის წყალობით, **ერეკლემ მეფემ** დესპანების პირით როგორც იყო დაამშვიდა **ქერიმხანი** და სპარსეთის მხრით განსაცდელი საქართველოს თავითგან აიცდინა **(იხ. ხერხეულიძე, ჰიჭ. 268-270, ჩუბ. 494-495).**

ოსმალეთის წინააღმდეგ **ერეკლე მეფეცა და სოლომონიც** სამხედრო ძალით იბრძოდნენ და მსწრაფი, ყოველთვის საუცხოოდ მოფიქრებულ სამხედრო მოქმედების წყალობით **ერეკლემ** ისე შეაწუხა ყარსის, ბაიაზეთისა და ახალციხის საფაშოები, რომ სულტანი იძულებული იყო, სპარსეთის მბრძანებლისათვის დახმარება ეთხოვა, რომ მას ოსმალეთი საქართველოს მეფის თავდასხმისაგან განეთავისუფლებინა. **ქერიმხანის** თხოვნით, **ერეკლემ II**-ემ ზავი ჩამოაგდო ოსმალეთის სულტანთან, რომლისგანაც ძვირფასი საჩუქრები და ტყვეობითგან განთავისუფლებული ქართველები მოუვიდენ (იხ. ხერხეულიძე. ჰიჭ. 270, ჩუბ. 495-496 და Бутковъ. Матер. I, 288, 289).

**ერეკლე მეფე კვლავ მარტო თავის ქვეყნის ძალით შეუდგა საქართველოს სამეფოს პოლიტიკურ მდგომარეობის განმტკიცებას და ზოგან მოხერხებული დიპლომატიური მოლაპარაკებითა და ჩაგონებით, ზოგან თავის პირად სამხედრო ნიჭითა და ქართ. ჯარის მამაცობით, მან არამც თუ მშვიდობიანი დამოკიდებულება ჩამოაგდო მეზობლებთან, არამედ ზოგი მათგანი ისევ ყმად-ნაფიცად გაიხადა.** ერეკლესგან განჯის ხანად დადგენილი **შუშის ხანი** მისი უერთგულესი მოხარკე იყო ისე, რომ ყოველწლიური გადასახადის გარდა თვით განჯაში საქართველოს მეფეც თავის წარმადგენელს ნიშნავდა (Бурнашевъ Картина 13), ისე რომ **„ერთი ამის (შუშის ხანის) კაცი და ერთი მეფის ირაკლისა განაგებდნენ ქალაქსა განჯისასა"** (იხ. ხერხეულიძე, ჰიჭ. 274, ჩუბ. 498). თუმცა 1780 წ. **ერევნის ხანმა ასანალი ხანმა** ურჩობა გაბედა და ხარკის მოცემა აღარ ჰსურდა, მაგრამ **მეფე ერეკლემ** მის წინააღმდეგ გაილაშქრა და იგი დაემორჩილა: **„ევედრა ერევნის ხანი და დაიდვა ვიდრე ოთხიათას თუმნამდე გარდაკვეთით"** ყოველწლიურ ხარკად (იხ. ხერხეულიძე. ჰიჭ. 273, ჩუბ. 497-498. Бутковъ Матеріалы II, 75). ამას გარდა საქართველოს მეფემ ერევანის ხანს **„განუწესა მოურავიცა თვისი მუხრანის ბატონი".** ამის შემდგომ არც **ასან ალიხანს,** არც მის შვილს საქართველოსთვის აღარ უღალატიათ, მოცემულს ფიცს და პირობას ერთგულად ასრულებდნენ **(იხ. ხერხეულიძე. ჰიჭ. 273, ჩუბ. 498. Бутковъ Матеріалы II, 75 და Бурнашевъ Картина 14).** იმას გარდა, რომ „დამორჩილებულ იყვნენ ირაკლისადმი განჯა, ყარაბაღი" და ერევანის ხანი, მან ისეთი სახელი მოიხვეჭა, რომ **„ყოველი ადრიბეჟანის** (sic) **ხანები დაემორჩილნენ მეფესა ირაკლისა და მოართვეს ელჩნი და ფეშქაშნი ძვირფასნი თავრიზის ხანისაგან, ხოის ხანისა, ურუმის ხანისა, შაყაყის ხანისა, ბაიაზეთის ფაშისა და ყარსის ფაშისაგან"**. დასასრულ **„მრავალთა ქურთთა მეპატრონემ"** შამადინაღამ **„მისცა თავი თვისი ყმად"** საქართველოს და **„შორაგალის სულტანიც ერეკლე მეფეს მოერთვა ყმად"** (იხ. ხერხეულიძე. ჰიჭ. 272, ჩუბ. 496-497. Бурнашевъ Матеріалы 14).

*გაგრძელება იქნება*

**აი, რა მდგომარეობაში ჩააგდო რუსეთის მთავრობამ საქართველო თავისი სამხედრო გამარჯვების გულისათვის**


ეკატერინე მეორე


გენერალი ტოტლებენი




# «გეორგიევსკის ტრაქტატი» 240 წლისაა!

# გიორგი ბეზირგანის პასუხები მკითხველს ★

## წაგვიკითხავს ი. სტალინის მიერ 30-იან წლებში გაკეთებული განცხადება, რომ „ცხოვრება უფრო უკეთესი, უფრო მხიარული გახდა.“ თუ შეგიძლიათ, ეს კონკრეტული მაგალითებით დაადასტუროთ?

**„ცხოვრება უფრო უკეთესი, უფრო მხიარული გახდა“,** ეს მხოლოდ სიტყვები არ ყოფილა. **სტალინი ხრუშჩოვის** მსგავსად როდი ისროდა ფრაზებს — **„დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას,“ „საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა კომუნიზმში იცხოვრებს“.** ის სახელოებდაკაპიწებული შრომობდა, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ დაწეოდა და გადაესწრო მოწინავე ქვეყნებისთვის ამა თუ იმ მაჩვენებლით და სახელმწიფოში ხალხისათვის სამართლიან წყობას აშენებდა. რა კონკრეტული მაგალითები ადასტურებს მის განცხადებას, რომ **„ცხოვრება უკეთესი გახდა“?** დავიწყოთ იმით, რომ **1935 წლის დასაწყისში სახელმწიფოში გაუქმდა მოსახლეობის პირველი აუცილებლობის პროდუქტებით უზრუნველყოფის საბარათო სისტემა და ხალხის კეთილდღეობამ მართლაც დაიწყო ზრდა.**




როგორი ხელფასები ჰქონდათ იმ დროს და როგორ იყო მოსახლეობა უზრუნველყოფილი პირველი აუცილებლობის ამა თუ იმ პროდუქტით?

მინიმალური ხელფასი მაშინ თვეში **120 მანეთი** იყო. ასეთ თანხას იღებდნენ დამლაგებლები, საწყობის გამგეები, არაკვალიფიციური პროფესიების წარმომადგენლები — მდივნები, კურიერები, მეეზოვეები და სხვა. საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე ადამიანებს, მაგალითად, ბიბლიოთეკარებს ან ტექნიკოსებს უფრო მაღალი ხელფასი — დაახლოებით **150 მანეთი** ჰქონდათ. პედაგოგები, სასწავლო დისციპლინის და დატვირთვის გათვალისწინებით, **250-დან 750 მანეთამდე** იღებდნენ. კვალიფიციური მუშების ხელფასი **1000-დან 2000 მანეთამდე** იყო, გამომუშავების ნორმების შესრულების მიხედვით. აქ ელიტად მაღაროელები ითვლებოდნენ. მათი გამომუშავება **2-დან 3 ათასამდე** მერყეობდა. კარგად იყო უზრუნველყოფილი არმია. წითელი არმიის მეთაურები ფორმის უფასო ტანსაცმლის და ბინის ქირაზე **50-პროცენტიანი** შეღავათის პარალელურად იღებდნენ: ასმეთაური — **725 მანეთს,** ბატალიონის მეთაური — **850 მანეთს,** პოლკის მეთაური — **1800 მანეთს,** დივიზიის მეთაური — **2200 მანეთს.**

ნათქვამს უნდა დავამატოთ, რომ პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები, **სტალინის** განკარგულების თანახმად, ეგრეთ წოდებულ პარტმინიმუმს იღებდნენ — ანაზღაურებას, რომელიც სახელმწიფოში არსებულ საშუალო ხელფასს არ აღემატებოდა. რა ფასები იყო იმ დროს? რამდენიმე მაგალითს მოგიყვანთ — პური (1 კგ) **50-დან 90 კაპიკამდე** ღირდა (შავი, თეთრი); შაქარი — **4 მანეთი,** კილოგრამი კარაქი — **2,90 მანეთი,** ხორცი — **3 მანეთი** (1 კგ), არაყი — **6 მანეთი** ლიტრი, მამაკაცის კოსტიუმი — დაახლოებით **70 მანეთი.**

როგორც ხედავთ, ამ ფულით ცხოვრება შეიძლებოდა. და ეს ცხოვრება მართლაც უფრო მხიარული ხდებოდა.

## „ომის წინ სტალინმა როკოსოვსკი პატიმრობიდან გაათავისუფლა. როკოსოვსკიმ გაამართლა მისი ნდობა და ერთ-ერთი პირველი მიადგა ბერლინს, მაგრამ ბერლინის აღება სტალინმა ჟუკოვს დაავალა და მარშალს უთხრა – თქვენ პოლონელი ხართ, მე – ქართველი, ბერლინი კი რუსმა ჟუკოვმა უნდა აიღოს. ამბობენ, რომ როკოსოვსკის ჯარების დიდ ნაწილს ყოფილი პატიმრები შეადგენდნენ. მართალია თუ არა ეს?“

**კონსტანტინე როკოსოვსკი** (1896-1968) მართლაც პოლონელი იყო, რკინიგზის მემანქანის ქსავერი (კონსტანტინე) **იუზეფ როკოსოვსკის** შვილი. თუმცა, დედა რუსი ჰყავდა — მასწავლებელი **ანტონინა ოვსიანიკოვა.** დაიბადა **ქ. ველიკიე ლუკიში.** 14 წლიდან შრომითი ცხოვრება დაიწყო, მუშაობდა ქვის მთლელად, ფაბრიკაში — შავ მუშად. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში — პოდპრაპორშჩიკად. **1918 წლიდან** წითელ გვარდიაშია. დაამთავრა ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია. თანმიმდევრულად მეთაურობდა ცხენოსანთა პოლკს, ბრიგადას, დივიზიას. ამ პერიოდში მის ხელქვეითად მსახურობდა პოლკის მეთაური **გიორგი ჟუკოვი. 1938 წელს** საკუთარ თანამოსაგრეთა დასმენით (არსებობს აზრი, რომ ამაში ჟუკოვის ხელიც ერია) რეპრესირებული იქნა. ორწელიწადნახევარი დაპატიმრებული იყო. ომის წინ **სტალინის** განკარგულებით გაათავისუფლეს და მაშინვე გენერლის თანამდებობაზე დანიშნეს. არსებობს მოწმობა, რომ **სტალინმა** ბოდიში მოუხადა უსამართლო დაპატიმრებისათვის. დიდი სამამულო ომის წლებში არმიებს და ფრონტებს სარდლობდა. გადამწყვეტი როლი შეასრულა მოსკოვთან ბრძოლაში, სტალინგრადის ბრძოლაში, პოლონეთის გათავისუფლებაში, ბერლინის ოპერაციაში და ა.შ. ხოლო მის მიერ ბრწყინვალედ ჩატარებული ბობრუისკ-ბელორუსიის ოპერაცია სამხედრო ხელოვნების უმაღლეს მიღწევად იქცა, რომლისთვისაც **როკოსოვსკიმ** გმირის პირველი ვარსკვლავი და მარშლის წოდება დაიმსახურა. **როკოსოვსკი** ორგზის საბჭოთა კავშირის გმირია (1944, 1945), „გამარჯვების“ ორდენის, ლენინის შვიდი, წითელი დროშის ექვსი, სუვოროვის და კუტუზოვის პირველი ხარისხის ორდენების კავალერი. მან მართლაც პირველმა მიაღწია ბერლინთან, მაგრამ ქალაქში **ჟუკოვის** შემდეგ შევიდა. ამასთან, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ **სტალინი** ძალზე აფასებდა **როკოსოვსკის** და მას, როგორც მხედართმთავარს, **ჟუკოვზე** მაღლა აყენებდა. ერთი საგულისხმო მაგალითი. როდესაც ომის შემდეგ მარშალზე სიგნალები შემოვიდა მისი „მორალური გახრწნის“ თაობაზე (ლამაზი როკოსოვსკი ამაში ნამდვილად სცოდავდა), სტალინმა მისთვის წარდგენილ მოხსენებით ბარათს გაკრული ხელით დააწერა: **„სუვოროვი არ გვყავს. წითელ არმიაში როკოსოვსკია. გთხოვთ, საჩივრების განხილვისას ეს გაითვალისწინოთ. ი. სტ.“** კიდევ ორი მაგალითი. **როკოსოვსკის სტალინმა 1945 წლის 24 ივნისს** გამარჯვების აღლუმის ხელმძღვანელობა დაავალა (თუმცა, აღლუმის მიღება, როგორც „რუსს“, აქაც ჟუკოვს დაეკისრა). ხოლო **1949 წელს,** როგორც ერთგული თანამოღვაწე, მდელვარე პოლონეთში გააგზავნა, სადაც **როკოსოვსკი 1956 წლამდე** თავდაცვის მინისტრი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იყო. პოლონეთიდან დაბრუნების შემდეგ **როკოსოვსკი** სსრკ თავდაცვის მინისტრის მოადგილის პოსტს იკავებს. ე. წ. **„პიროვნების კულტთან“** გაქანებული ბრძოლის დროს **ხრუშჩოვი** პირადად მიმართავს მას თხოვნით (ფაქტობრივად, მოთხოვნით), საჯაროდ ამოსვაროს ლაფში **სტალინი** და განსაკუთრებით გაუსვას ხაზი, რომ **30-იან წლებში „სტალინური რეპრესიების მსხვერპლი“ იყო.** და ამაზე მამაცი პოლონელის ასეთ პასუხს იღებს: **„ამხანაგი სტალინი ჩემთვის წმინდანია“.** სწორედ აქ წყდება სახელოვანი მარშლის სამხედრო კარიერა. მეორე დილით საკუთარ კაბინეტში ის მყუდროდ მოკალათებულ არმიის გენერალ **მოსკალენკოს** (მომავალ მარშალს) აღმოაჩენს.



**როკოსოვსკი** ავტორია მემუარებისა **„ჯარისკაცური მოვალეობა“** (მოსკოვი, 1968, 1997), რომელშიც, ზოგიერთი სხვა მარშლისა და გენერლის, მათ შორის **ჟუკოვისგან** განსხვავებით, საკუთარ თავზე იმდენს არ წერს, რამდენსაც **სტალინზე,** როგორც გენიალურ მხედართმთავარზე, დიდ სტრატეგსა და ტაქტიკოსზე. ის, რომ როკოსოვსკის ჯარებში ბევრი ყოფილი პატიმარი იყო, სინამდვილეს შეესაბამება. თანაც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეს მარშლის ინიციატივა გახლდათ. სწორედ მან შესთავაზა **სტალინს,** ფრონტზე გაეგზავნათ ის პატიმრები, ვინც ამის სურვილს გამოთქვამდა. და **სტალინი** დაეთანხმა. ამ ნაბიჯმა გაამართლა. ყოფილი ტუსაღები **როკოსოვსკის** მეთაურობით შეუპოვრად იბრძოდნენ, მათ ნასამართლეობა მოუხსნეს, ბევრი კი სამთავრობო ჯილდოებზე წარადგინეს.

## თავად რუსი ავტორების მემუარებიდან ცხადი ხდება, რომ ს. ბუდიონი სუსტი მხედართმთავარი იყო, დაბალი ინტელექტით. მიუხედავად ამისა, ის ი. სტალინის მეგობარი თუ არა, ძალზე ახლობელი ადამიანი იყო. გთხოვთ, ამ საკითხთან დაკავშირებით ობიექტური ინფორმაცია მოგვაწოდოთ

**სემიონ ბუდიონმა** დიდი სამამულო ომის დასაწყისში თავი მართლაც არამხოლოდ სუსტ, არამედ უმწეო მხედართმთავრად აჩვენა, მაგრამ ის სამოქალაქო ომის ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე სარდალი იყო. და ბოლშევიკები, რომლებმაც ამ ომში სრული და უპირობო გამარჯვება მოიპოვეს, ამას მნიშვნელოვანწილად სწორედ **ბუდიონს** უნდა უმადლოდნენ. სხვათაშორის, სამამულო ომის წლებში თავი ვერაფრით გამოიჩინა სამოქალაქოს მეორე გმირმაც — **ვოროშილოვმა.** და ეს გასაგებია. კავალერიის ადგილი ტანკებმა, სხვა სამხედრო ტექნიკამ დაიკავა. სამანევრო ომი გაჭიანურებულმა პოზიციურმა საომარმა მოქმედებებმა შეცვალა. და ამ ბრძოლებში უკვე აღარ იყო ძველი სამხედრო კადრების ადგილი, რომლებსაც სპეციალური განათლება არ მიუღიათ და სტრატეგიასა და ტაქტიკას ბრძოლის ველზე ეუფლებოდნენ.



რაც შეეხება **მარშალ ბუდიონს** (1883-1973), სპეციალური სამხედრო განათლება არ ჰქონდა კი არა, დაწყებითი სკოლაც ძლივს დაამთავრა. მეფის არმიაში გაწვევის შემდეგ ის მონაწილეობდა **1905 წლის რუსეთ-იაპონიის და პირველ მსოფლიო ომებში.** მიაღწია უნტეროფიცრის ჩინს. იყო გიორგის ჯვრის სრული კავალერი, ასეთი ჯილდო კი მხოლოდ ყველაზე მამაცებს ენიჭებოდა. სამოქალაქო ომის წლებში მეთაურობდა ცხენოსანთა კორპუსს, შემდეგ კი ლეგენდარულ ცხენოსანთა პირველ არმიას. სწორედ მაშინ გაეცნო და დაუმეგობრდა სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრს **სტალინს.**

სამოქალაქო ომის შემდეგ **ბუდიონი** წითელი არმიის კავალერიის ინსპექტორია, **30-იანი წლების ბოლოს — 40-იანის დასაწყისში** — სსრკ თავდაცვის სახკომის მოადგილე. **ბუდიონს სტალინმა** ერთ-ერთ პირველს მიანიჭა საბჭოთა კავშირის **მარშლის** წოდება ***(1935 წ).*** ის **ლენინის რვა და წითელი დროშის ექვსი ორდენის კავალერი იყო.** ჯილდოთა ასეთი „კანკელი“ ქვეყანაში სხვა არცერთ ადამიანს ჰქონია.

სამამულო ომის დასაწყისში **ბუდიონი** სამხრეთის ფრონტს ჩაუდგა სათავეში. და აქ სახელგანთქმულმა კავალერისტმა სრული არაკომპეტენტურობა გამოამჟღავნა. ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ **1941 წლის 1 სექტემბერს** თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრის **ლავრენტი ბერიას** მიერ **სტალინისთვის** გაგზავნილი ტელეგრამის ნაწყვეტს: **„მიზანშეწონილად ვთვლი, ფრონტის სარდლად დაინიშნოს ტიულენევი** *(არმიის გენერალი — რედ.)*, **რომელიც, ყველა ნაკლის მიუხედავად, უფრო შეეფერება ამ დანიშნულებას, ვიდრე ბუდიონი. უნდა აღინიშნოს, რომ უკან დახევასთან დაკავშირებით კავკასიაში ბუდიონის ავტორიტეტი საგრძნობლად დაეცა, თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ თავისი მცირემცოდნეობის შედეგად ის, უეჭველია, საქმეს ჩააგდებს“...**

**სტალინმა** მყისვე შეასრულა **ბერიას** რეკომენდაცია, **ბუდიონი** გამოიწვია და მის ადგილზე **ტიულენევი** დანიშნა. თუმცა, მარშალი არც წოდებით, არც თანამდებობით არ დაუქვეითებიათ, **სტალინმა** ის სარეზერვო ფრონტის სარდლად გადაიყვანა. შემდგომში **ბუდიონი** თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი ინსპექტორია, ცხენოსანთა ნაწილების საბოლოო ლიკვიდაციის შემდეგ კი — სსრკ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ცხენოსნობის დარგში. მისი ხელმძღვანელობით როსტოვის ოლქში გამოიყვანეს ცხენის ახალი ჯიში — **„ბუდიონური“.** სხვათაშორის, წითელარმიულ ქუდს **„ბუდიონოვკას“** ეძახდნენ.

ბელადის მზრუნველი მოპყრობა **ბუდიონის** მიმართ, ვფიქრობ, მხოლოდ მათი მრავალწლიანი მეგობრობით არ აიხსნება. **სტალინი** აფასებდა ძველი მეგობრის დამსახურებებს, თანაც ეს ადამიანი ცოცხალი ლეგენდა იყო. **ბუდიონთან** (და არამხოლოდ) **ბელადის** დამოკიდებულება მთლიანად აბათილებს **ხრუშჩოვის** მითს იმის შესახებ, რომ **სტალინი** ძველ კადრებს ანადგურებდა. სხვათაშორის, **ბუდიონიც** ბოლომდე თავისი მეგობრისა და ბელადის ერთგული დარჩა. და მიუხედავად **ხრუშჩოვის** და მისი ხროვის დაჟინებული მოთხოვნისა, **სტალინის** მამხილებელთა გუნდს შეერთებოდა, თავის მემუარებში ყველანაირად განადიდა იგი. **„პიროვნების კულტთან“** გაგანია ბრძოლის დროს დაწერილმა ამ მემუარებმა დღის სინათლე მხოლოდ **ხრუშჩოვის** გადადგომის შემდეგ იხილა.


გენერალისიმუსი
2023 წლის 31 ივლისი. № 41-42 (209-210)

სარედაქციო კოლეგია
**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www.asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com**
ფეისბუქი: **www.facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

# მამა დავითი (ისაკაძე):
# რაც ახლა უკრაინაში ხდება, მართლმადიდებლობის დევნაა!

*„უკრაინაში ჩვენი ეპოქის დიდი მისტერია მიმდინარეობს. 21-ე საუკუნის მართლმადიდებლები იდევნებიან, როგორც უწინ იმპერატორ ნერონისაგან იდევნებოდნენ! მათ დასცინიან, სცემენ, აპატიმრებენ და კლავენ კიდეც! ახლახან ზელენსკის ფაშისტურმა რეჟიმმა კიევ-პეჩორის ტაძრის წინამძღვარი,* ***მიტროპოლიტი პავლე*** *ციხეში გაისტუმრა. ფაშისტური რეჟიმის, ზელენსკის ხუნტის დამქაშები უკრაინაში არბევენ ეკლესიებს, შეურაცხყოფენ სიწმინდეებს და ასეთი დამოკიდებულების გამო მათ უფალი ძალიან მალე უმკაცრესად დასჯის!“* ***— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი სოფელ დიღმის წმინდა მარინეს სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა დავით ისაკაძემ:***



კიევ-პეჩორის ლავრის წინამძღვარმა, **მიტროპოლიტმა პავლემ** მრევლს საკნიდან მიმართა:

*მშვიდობა თქვენდა, საყვარელო მამანო და ძმანო!*

*გწერთ კიევის ლუკიანოვსკის წინასწარი დაკავების საკნიდან, სადაც 1920-30-იან წლებში ჩვენი წმინდა ლავრის ძმები დააპატიმრეს. ჩემგან მოითხოვეს, რომ დაგვეტოვებინა ლავრა, დამესმინეთ თქვენ და თქვენი ნათესავები, რასაც მომავალში უკრაინის უსაფრთხოების სამსახური შანტაჟისა და მეთვალყურეობისთვის გამოიყენებდა, მაგრამ ვერ დამითანხმეს.*

*ჩემდამი ყველა ბრალდება სრული სიცრუეა. მზაკვარი ცრუმოწმეები, მათ შორის, მრევლიდან, მე ვერაფერში დამადანაშაულებენ.*

*ნიჭიერი ადვოკატები მყავს, მაგრამ მათ არავინ უსმენს. ამას ვმოწმობ, ყველა პოლიტპატიმარი ჩემს კორპუსშია.*

***მოსამართლეთა განაჩენი დიდი ხნის წინ დაიწერა. პროკურორი, გამომძიებელი, მოსამართლე იგივე „ტროიკაა“, ვინც თავის დროზე გაასამართლა მიხაილ სემიონის ძე ლიტვინენკო, ასევე სხვა აღმსარებლები და რწმენის გამო წამებულები.***

*საკანში მყოფმა კორიდორიდან გავიგონე, რომ ჩემზე განსაკუთრებული მეთვალყურეობაა: 3 ბოქლომი, გასაღებები, როგორც ჩანს, სხვადასხვა ადამიანებს გააჩნიათ, რომლებსაც ქვეყნის პირველი პირი აკონტროლებთ.*

*ძალიან მჭირდება თქვენი წმინდა ლოცვები.*

***არ გჭირდებათ უცხო მეფისნაცვლები. მთელი ჩვენი საძმო ღირსეულია, უბრალოდ, ყველაფერი გააკეთეთ ლოცვა-კურთხევით, მოთმინებით და ღრმა რწმენით, მაშინ უფალი, დედაღვთისა და ღირსი მამები არ დაგტოვებთ არც თქვენ და არც მე უბადრუკს.***

*მათ სურდათ, ჩემთვის აეკრძალათ არამარტო ლავრაში, არამედ, როგორც ჩანს, მთელი მრავალჭირნახული უკრაინის ნებისმიერ ტაძარში შესვლა.*

***მე ვარ წმინდა ეკლესიის კაცი, მორწმუნე, ღვთის შეწევნით ყველაფერს გავუძლებ.***

***ღვთის კურთხევას ვითხოვ თითოეულ თქვენგანზე.***

***ჩემი სიხარული იესო ქრისტეს, ღვთისმშობლისა და კიევ-პეჩორის ღირსი მამების შემდეგ — თქვენ ხართ.***

*უფალი გფარავდეთ ყველას.*

***თქვენი უბადრუკი პატიმარი და მლოცველი მიტროპოლიტი პავლე“.***

— დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი — ეს არის მართლმადიდებელი ეკლესიის და მართლმადიდებლების პირდაპირი დევნა და ამ ბინძურ პროცესს ხელი შეუწყო **მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოსის** არაკანონიკურმა ქმედებამ, როცა ის შეიჭრა სხვა ადგილობრივი ეკლესიის, კერძოდ, რუსეთის ეკლესიის იურისდიქციაში და იქ ჩამოაყალიბა სქიზმატური დაჯგუფება, ცრუ **მიტროპოლიტ ეპიფანეს** ხელმძღვანელობით!

თითქმის ერთი საუკუნეა, მსოფლიო (იგივე კონსტანტინოპოლის) საპატრიარქო ამერიკის გავლენაშია მოქცეული. 1949 წლის იანვარში ამერიკის სპეცსამსახურებმა გადააყენეს მოქმედი მსოფლიო **პატრიარქი ბასილი,** შემდეგ სტამბოლში სპეციალური თვითმფრინავით ჩამოიყვანეს და პატრიარქად აღასაყდრეს თავიანთი აგენტი, **ეპისკოპოსი ათინაგორა.** მას მერე კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ამერიკის დირექტივებს ასრულებს და კონსტანტინოპოლის ამჟამინდელი პატრიარქი ბართლომეოსიც ამ ესტაფეტას განაგრძობს!

გარდა იმისა, რომ ამერიკული სპეცსამსახურების მიერ უკრაინის პრეზიდენტად ხელდასხმული პირსისხლიანი და ნარკომანი **კლოუნი ზელენსკი** თავისი ხროვით ყოველივე რუსულს ფაშისტურ-შოვინისტური სულისკვეთებით დაუპირისპირდა, ამერიკელებმა სხვა მხრივაც იკადრეს უკადრებელი, როცა უკრაინის კანონიკურ ეკლესიას (კიევის მიტროპოლიას, რომელიც რუსეთის ეკლესიის შემადგენლობაში შედის) თავიანთი აგენტი, **მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი** დაუპირისპირეს! შედეგად დაიწყო სქიზმატური ჯგუფის მიერ კანონიკური ეკლესიისთვის ტაძრების ჩამორთმევის სამარცხვინო პროცესი. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ამ ძალმომრეობის შემხედვარე, მსოფლიო პატრიარქი დუმს და ამ დუმილით, ფაქტობრივად, მხარს უჭერს, რომ კანონიკური ეკლესია დევნაში იმყოფებოდეს. თანამედროვე ეპოქაში ის მართლმადიდებელთა წინააღმდეგ ანგარიშსწორების იარაღად იქცა, აი, ამდენად მძიმე ცოდვაში იმყოფება კონსტანტინოპოლის პატრიარქი!

**— ეკლესიების ჩამორთმევა ძალმომრეობის გარეშე ვერ მოხდება...**

— ჩამორთმეული ეკლესია-მონასტრებიდან ფაშისტები ხშირად ფიზიკური ძალის გამოყენებით დევნიან მრევლს, სამღვდელოებას, ბერ-მონაზვნებს. ხდება ყველაზე საზარელი მოვლენაც — მართლმადიდებლური სიწმინდეების გატაცება! სიწმინდეები — ძვირფასი ხატები, წმინდა მამების ნეშტები და წმინდა ნაწილები — გააქვთ ვატიკანსა და ლუვრში, ფაქტობრივად, ზელენსკის ფაშისტური რეჟიმი სიწმინდეებს ასხვისებს იმგვარად, როგორც თავის დროზე **ნოე ჟორდანიამ** და მისმა ხელისუფლებამ გაძარცვეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და გაქცეულებმა საეკლესიო განძი უცხოეთში გაიტაცეს, სადაც ამ განძის უდიდესი ნაწილი სამუდამოდ დაიკარგა!

ეს უდიდესი დანაშაულია ღვთისა და ერის წინაშე. **ზელენსკის ფაშისტური რეჟიმი ამასაც არ სჯერდება, ჩამორთმეულ ტაძრებში აწყობს მკრეხელურ შოუებს, იმავდროულად, აპატიმრებს ღვთისმოსავ ნამდვილ მართლმადიდებელ სასულიერო პირებს.** აი, ახლახან კიევ-პეჩორის ლავრის წინამძღვარი, მიტროპოლიტი პავლე მარტო იმის გამო დააპატიმრეს, რომ მან არ დატოვა მონასტერი! პირდაპირ გეუბნებით — მიტროპოლიტი პავლე ჩვენი დროის აღმსარებელია, არანაკლები, ვიდრე გახლდათ ქართული ეკლესიის დიდი მღვდელმთავარი, წმინდანად შერაცხილი **ამბროსი ხელაია!** ქრისტეს მოციქულ პავლეს მსგავსად, რომელსაც სარწმუნოების გამო თავი მოჰკვეთეს, მიტროპოლიტი პავლეს სიცოცხლეც ყოველ წუთს საფრთხეშია, რადგან ანტიქრისტეს გაშმაგებულ მიმდევართა ტყვედ იმყოფება. მან ხომ შეგნებულად უარი თქვა ყოველგვარ შეღავათზე, უარი თქვა დიდძალი გირაოს გადახდაზეც, თუმცა, მრევლი შესაგროვებლად მზად იყო და ციხეში ჩაჯდომით ბოლომდე იტვირთა მოწამეობრივი მისია. ციხეში ჩასმა არ აკმარეს, **კლოუნი და ურჯულო ზელენსკის** ჩაფრებმა მიტროპოლიტს კვერთხი, ჯვარი და პანაღეა აართვეს, განძარცვეს, ვითარცა მაცხოვარი სამოსელისგან — ჯვარცმის მოლოდინში.

**ეს მიტროპოლიტისთვის ჯილდოა, ვინაიდან ის ჯვარს გულით და გონებით ატარებს, ხოლო უბედური იქნება ბართლომეოსი, რომელსაც ჯვარი, კვერთხი და პანაღეა კანონიერად ჩამოერთმევა!**

**— მართლმადიდებელი სამყარო როგორ გამოეხმაურა მიტროპოლიტ პავლეს დაპატიმრებას?**

— საქართველოს საპატრიარქომ გააკეთა მოწოდება უკრაინაში მართლმადიდებელი ეკლესიის დევნის შეწყვეტის მოთხოვნით. საგულისხმო განცხადებები გააჟღერეს სერბეთისა და ანტიოქიის პატრიარქებმა, რომლებმაც ეს სამარცხვინო მოვლენა პირდაპირ „სატანისტებისა და ფაშისტების საქციელად“ შეაფასეს, თუმცა, მსოფლიო პატრიარქმა ბართლომეოსმა ამ განცხადებებს წაუყრუა. ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების განსჯის საგნად აუცილებლად უნდა იქცეს მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოსის პოზიცია, მაგრამ ეს საკითხი, უპირველესად, რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ უნდა დააყენოს.

**— მერედა, რატომ არ აყენებს?**

— სამწუხაროდ, **რუსეთის ეკლესიის პატრიარქი კირილე** ეკუმენური მსოფლმხედველობისკენ არის მიდრეკილი. რუსეთის ეკლესიას ნამდვილად სჭირდება ისეთი მღვდელმთავრები, რომლებიც ამ საკითხს დააყენებენ, რადგან მათი ეკლესიის იურისდიქციაში შეჭრა მოხდა; დაირღვა მათი კანონიერი უფლებები! დიახ, მათ უნდა დააყენონ ეს საკითხი, რათა შემდეგში მოხდეს დიდი საეკლესიო კრების მოწყობა, რომელზეც მსოფლიო პატრიარქს განაკანონებენ! რაც მსოფლიო პატრიარქმა რუსეთის ეკლესიას გაუკეთა, თანამედროვე ეპოქაში ის არ უკადრია რუსეთის ეკლესიას საქართველოს ეკლესიასთან მიმართებაში. კერძოდ, არ დაურღვევია სჯულის კანონი და **ოკუპაციის მიუხედავად, რუსეთის ეკლესია დღემდე აღიარებს საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას აფხაზეთსა და სამაჩაბლოში!**

დაუშვებელია ეკლესიაში პოლიტიკური მოვლენებისთვის მხარის აბმა. ფაქტია, რომ მსოფლიო პატრიარქი თავისი დუმილით ხელს უწყობს სქიზმატურ დაჯგუფებას და ზელენსკის ფაშისტურ ხუნტას უკრაინის ჭეშმარიტი ეკლესიის დევნაში, რომლის მღვდელმსახურების და მრევლის აბსოლუტური უმრავლესობა, სხვათაშორის, ეროვნებით უკრაინელები არიან. უკრაინელია თავად უკრაინის ნამდვილი მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური, **მიტროპოლიტი ონოფრე,** ანუ, ფაქტობრივად, ზელენსკის ხუნტა რუსებთან ერთად, მართლმადიდებელ უკრაინელებსაც დევნის! დიახ, რაც ახლა უკრაინაში ხდება, ყოველგვარი შელამაზების გარეშე, ეს მართლმადიდებლობის დევნაა. პირდაპირ ფაშისტური და სატანისტური სიმბოლოებით აღჭურვილი ბანდები ძალმომრეობენ მართლმადიდებელ მღვდელმსახურებზე და მრევლზე. ზელენსკის ხუნტისგან ეს გასაკვირი არც არის, ზელენსკი ხომ აღმსარებლობით იუდეველია, რასაც თავად აღიარებს, თუმცა, რეალურად ურწმუნო და ათეისტია. ის ისედაც ანათემირებულია ეკლესიიდან. აი, მსოფლიო პატრიარქს კი აუცილებლად უნდა მოეკითხოს საეკლესიო კანონის ფარგლებში!

**— მიტროპოლიტ პავლეს გარდა, უკრაინაში მართლმადიდებლობის გამო კიდევ რომელი სასულიერო პირები იდევნებიან?**

— ქართველი მღვდელმსახურები ლოცვებში ყოველდღიურად ვიხსენიებთ უკრაინაში დევნილ მართლმადიდებელ სასულიერო პირებს: **მიტროპოლიტ პავლეს, მიტროპოლიტ იონათანს, მიტროპოლიტ არკადის, მიტროპოლიტ ნიკიტას, არქიმანდრიტ იგორს, დეკანოზ სერგის, დეკანოზ გენადის, დეკანოზ გიორგის, დეკანოზ ნიკოლოზს, დეკანოზ გიორგის.** ასევე სარწმუნოებისთვის დევნილებს — **ბასილს, იოანეს, ვალენტინს, ვიქტორიას...** ვიცით, რომ ეს სია არასრულია და ყოველდღიურად სარწმუნოების გამო დევნილთა რაოდენობა მატულობს.

**მინდა, „ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან უმორჩილესად ვთხოვო ქართველ მორწმუნეებს, თავიანთ ლოცვებშიც მოიხსენიონ აქ ჩამოთვლილი დევნილები, განსაცდელში მყოფი ჩვენი უკრაინელი მართლმადიდებელი ძმები და დები!**

**— უფლისგან რა სასჯელი ელით მართლმადიდებელი სარწმუნოების მდევნელებს?**

—მათ სრული ფიასკო და მტანჯველი აღსასრული მოელით, მსგავსად იულიანე განდგომილისა, რომელიც გადმოცემის მიხედვით წმინდა მერკურის შუბმა განგმირა. იულიანე რომის იმპერატორი იყო, რომელიც განუდგა ქრისტიანობას და წარმართობის აღორძინებას შეუდგა. ის არბევდა და ძარცვავდა ეკლესიებს, აწამებდა მართლმადიდებლებს და ბასილი დიდსაც სიკვდილით ემუქრებოდა, ვინაიდან წმინდანი მას ამხელდა. მღვდელმთავარი ბასილი დიდი მხურვალედ ლოცულობდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის იმ ხატის წინ, რომელზეც წმინდა მერკურიც იყო გამოსახული და უსჯულო იმპერატორისგან მართლმორწმუნეთა დახსნას ითხოვდა. ზეციურმა დედოფალმა შეისმინა მისი ვედრება და მოხდა სასწაული: ერთხელაც მლოცველი ბასილი დიდის თვალწინ ხატზე გამოსახული წმინდა მერკური ანაზდად ხატიდან გაქრა. სწორედ იმ მომენტში, თურმე, იულიანე განდგომილი სპარსელებთან ომში სასიკვდილოდ დაჭრა უცნობმა მეომარმა, რომელიც მყისიერად გაუჩინარდა. სამაგიეროდ, წმინდა მერკური კვლავ აღიბეჭდა ხატზე გაოგნებული წმინდანის თვალწინ. მას ამჯერად ხელთ სისხლიანი მახვილი ეპყრა იმაზე მისანიშნებლად, რომ სარწმუნოების მტერი სწორედ მან განგმირა, ხოლო სულთმობრძავი ღვთისმგმობელის უკანასკნელი სიტყვები მის მიერ გმობილი ქრისტეს უძლეველობის აღიარება იყო: **„შენ გაიმარჯვე, გალილეველო!“**



კიევ-პეჩორის ლავრის წინამძღვარი, მიტროპოლიტი პავლე

**„მიტროპოლიტი პავლე ჩვენი დროის აღმსარებელია, არანაკლები, ვიდრე გახლდათ ქართული ეკლესიის დიდი მღვდელმთავარი, წმინდანად შერაცხილი ამბროსი ხელაია!“**

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***

# იგორ კვესელავა:

# ზვიად გამსახურდია ბევრმა მისმა თანამებრძოლმა მამლის პირველ ყივილამდე გაყიდა!

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა იმ მიზეზებს ასახელებს, რომლებმაც საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და ეროვნული ხელისუფლების დამხობა განაპირობა:***



— ზვიად გამსახურდიამ, როგორც პიროვნებამ, მოღვაწემ და პრეზიდენტმა თავისი სიცოცხლე შეგნებულად დათმო, ის გაცნობიერებულად წავიდა სიკვდილზე და შევარდნაძეს შეაკვდა. ცხადია, მას შეეძლო, მშვიდად მჯდარიყო გროზნოში, მერე წასულიყო ევროპის რომელიმე ქვეყანაში, მაგალითად, ავსტრიაში, სადაც თავისი დიდი მეგობრისა და თაყვანისმცემლის, ავსტრიის კრონ-პრინცისა და ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტის **ოტო ფონ ჰაბსბურგის** დახმარებით უპრობლემოდ მიიღებდა ემიგრანტის სტატუსს, დაწერდა მემუარებს, მისცემდა ინტერვიუებს და წაიკითხავდა ლექციებს, მაგრამ 1993 წლის 24 სექტემბერს ის საქართველოში ჩამოვიდა და არც უცდია, აქედან წასულიყო...

**— ბატონო იგორ, მაინც რატომ ჩამოვიდა ზვიად გამსახურდია გროზნოდან საქართველოში და იყო თუ არა მისი ეს ნაბიჯი შეცდომა?**

— თუ ამ საკითხს პრაგმატული პოლიტიკის ჭრილიდან შევხედავთ, მაშინ შესაძლოა, ეს შეცდომა იყო, მაგრამ ზვიად გამსახურდია პრაგმატიკოსი არ გახლდათ და მისი პოლიტიკა რომანტიკულ-რაინდული სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი. გამსახურდია ზნეობრივ პოლიტიკას ემსახურებოდა. ცნობილია, რომ 1993 წლის 24 სექტემბერს საქართველოში გამოფრენის წინ **ბურამ აბსანძეს** მან ასეთი რამ უთხრა — **ჩქარა წავიდეთ, გურამ, თორემ ამ ნაძირალა შევარდნაძემ აფხაზეთი ჩააბარა!** აქედან გამომდინარე, გამსახურდია საქართველოში აფხაზეთის გადასარჩენად ჩამოვიდა და პირველი, რაც გააკეთა, ოჩამჩირეში, ხუნტის გენერლების შტაბში, მივიდა, საიდანაც კიტოვანი, ჯემალ ჭუმბურიძე და სხვა ე.წ. „გენერლები" ფანჯრიდან გადახტნენ და ისე გაიქცნენ. ოჩამჩირეში მან გააერთიანა სხვადასხვა მხარეს მდგომი ქართველი მეომრები და დაიწყო მზადება სოხუმის გადასარჩენად. ამის პასუხად შევარდნაძემ სასწრაფოდ ჩააბარა სოხუმი და გამოიქცა აფხაზეთიდან.

სხვა საკითხია ჩეჩნეთთან და ჩეჩნებთან გამსახურდიას ურთიერთობის თემა. **შესაძლოა, ამის გამო ბევრმა გამკიცხოს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩეჩნეთთან ზვიადის ურთიერთობა სიღრმისეულად გააზრებული არ იყო!**



**„გამსახურდია ამბობდა — ეროვნულმა ხელისუფლებამ შესაძლოა, სამხედრო გზით გაიმარჯვოს, მაგრამ ზნეობრივად დამარცხდებაო!"**

**„1991 წლის შემოდგომაზე საქართველოში ჩამოვიდა ბიძინა ივანიშვილი. მისი შეხვედრა ზვიად გამსახურდიასთან ჩაშალეს, რაც შეცდომა იყო!"**

**„შესაძლოა, ამის გამო ბევრმა გამკიცხოს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩეჩნეთთან ზვიადის ურთიერთობა სიღრმისეულად გააზრებული არ იყო!"**

**შეუძლებელია, ზვიად გამსახურდიას არ სცოდნოდა, რომ აფხაზეთში ომის გაჩაღების წინ სოხუმში ბინ ლადენი ჩაიყვანეს და მოამზადეს ნიადაგი, რათა „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის" დედაქალაქად სწორედ სოხუმი გამოცხადებულიყო.**

ამ ყველაფრის ფონზე ზვიადის განსაკუთრებული დაინტერესება თათრეთით, სადაც დელეგაცია გაგზავნა და ასევე ძალიან ახლო ურთიერთობა ჩეჩნეთთან, ქმნიდა იმის აშკარა საფრთხეს, რომ საქართველოს სამაგალითოდ დასჯიდნენ.

1991 წლის შემოდგომაზე საქართველოში ჩამოვიდა **ბიძინა ივანიშვილი.** მისი შეხვედრა ზვიად გამსახურდიასთან ჩაშალეს, რაც შეცდომა იყო! არადა, ამ დროს იმ პრეზიდენტის ბანაკში, რომელიც რუსეთისა და ამერიკის შეთანხმებულ და ანტიქართულ პოლიტიკას უპირისპირდებოდა, ნახევარზე მეტი სწორედ რუსეთის აგენტი და მოღალატე გახლდათ!

**— მაინც ვინ იყვნენ მოღალატეები?**



— მოღალატეები საქართველოსა და ზვიად გამსახურდიას არასოდეს აკლდათ! აი, მაგალითად, შევარდნაძის ერთ-ერთი თავგადაკლული მომხრე, პარლამენტარი, რომლის გვარსაც შეგნებულად არ ვასახელებ, აცხადებდა — **„სამშობლოს ღალატი პოლიტიკური საშუალებაა მტრის მხარეზე დასადგომად და იმ დროის მოსასვლელად, როცა მტრები უნდა გაანადგურო! ამდენად, სამშობლოს ღალატი დასაფასებელია!"** ანუ შევარდნაძის ბანაკში სამშობლოს ღალატი ფასობდა... ამ ფონზე მართლაც სიმბოლურია განცხადება, რომელიც ძალიან საინტერესოდ ჟღერს და რომელიც **ჯანსულ ღვინჯილიამ** წიგნში ციტატად მოიტანა — *„ქართველებო, უფრთხილდით გამორჩენილ, ღვაწლმოსილ, თავდადებულ, უკვდავ მოღალატეებს! სწორედ მათი ღალატია დამღუპველი ქვეყნისათვის. მათ უდიდესი გამოცდილება აქვთ და ისინი ამ საქმეს წარმატებით აკეთებენ ათასწლეულების მანძილზე!"*

აი, მაგალითად, **გიორგი ხოშტარია,** რომელმაც ზვიად გამსახურდიას უღალატა და შევარდნაძის სამსახურში ჩადგა, პირველ პრეზიდენტს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში **„მტრის სინდრომის შემოტანას"** აბრალებდა. ხოშტარია წერდა — *„ჩვენ ამას ჯერ კიდევ ორი წლის წინათ მივხვდით, მაგრამ, როგორც არჩევნებმა გვიჩვენა, ჩვენი ნათქვამი ამომრჩეველთა უმრავლესობამ ყურად არ იღო!"* ამას ლაპარაკობს ზვიად გამსახურდიას საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც აშკარად არ არის ნორმალური... ე.ი. კაცი გაიძახის — ამომრჩევლებმა ხმა მოგვცეს და გავიმარჯვეთ, რადგან არ დაგვიჯერესო! გეკითხებით, ამის მთქმელი კაცი ნორმალურია? უფრო მეტიც, გამსახურდიას ერთ-ერთი თანამოაზრე, რომელიც დღეს ცოცხალი არ არის, ამბობდა — **„მე ვცდებოდი!"** ხოლო მეორე მის ნათქვამს ბანს აძლევდა და აცხადებდა — **„გამსახურდიას დიქტატურის სალტე სუნთქვას მიკრავდა!"**

## კვირგვინოსნები



**ბაკურ გულუა**

*ყოფილი ვიცე-პრემიერი*

**ჟიული შარტავას** ცხედარს ექსპერტიზა უკვე ჩატარებული ჰქონდა. ეტყობა, განბანეს, მოაწესრიგეს და ტანსაცმელიც ჩააცვეს. **მაინც მიაქციეს ყურადღება და დაიცვეს აფხაზური წესები.** ვერტმფრენი დაეშვა თუ არა, **შუიკოვმა** მთხოვა, დავხედავო. იქ ერთი ფოთელი კაცი იყო, ვთხოვე, თვითმფრინავში რამე არ ჩადონ, ყურადღება მიაქციე-მეთქი. ის ფოთელი კაცი ცოტა ხანში დაბრუნდა. მითხრა, **შუიკოვმა ჟიულის ცხედრის წინ დაიჩოქა და მოუბოდიშა, ვერ შევძელი შენი დაცვაო.**

„კვირის პალიტრა"



**გიორგი შარტავა**

*ჟიული შარტავას შვილიშვილი*

**ჟიული შარტავა** მაშინ დაფასდება, **როცა სოხუმში დავბრუნდებით.**

„კვირის პალიტრა"



**მამუკა არეშიძე**

*უსაფრთხოების ექსპერტი*

რუსეთმა აქტიურად დაიწყო საუბარი **აფხაზეთის რკინიგზის აღდგენაზე.** ქართული მხარე ამის **კატეგორიული წინააღმდეგია,** მაგრამ საჯაროდ ჯერ არაფერს ამბობენ. საქართველოს ვერცერთი პოლიტიკური ძალა ვერ შეინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას, **თუ რაიმე დათმობაზე წავა აფხაზეთსა და ცხინვალთან დაკავშირებულ საკითხებზე** *(რკინიგზის აღდგენა იქნება თუ გზის გახსნა)* ისე, რომ საქართველომ დივიდენდები არ მიიღოს.

„კვირის პალიტრა"



**რამაზ საყვარელიძე**

*პოლიტოლოგი*

ვერც მიშა და ვერც მისი პარტია **ხალხისთვის მიმზიდველი ვერ იქნება,** რადგან მათ დაუჩემებიათ: **ჩვენი მიზანია, ივანიშვილს შევებრძოლოთო!** კი მაგრამ, **ხალხის მიზანი არის, რომ ივანიშვილს შეებრძოლონ?** განა ამ ხალხს სურს, რომ **ნაცები დაბრუნდნენ და ახალგაზრდები კვლავ ქუჩაში ხოცონ?!** 2012 წელს საზოგადოება მობილიზდა, რათა ნაცები სახლში გაეშვა. ეს არ არის დასკვნის გაკეთების საბაბი, რომ **ხალხი მათ დაბრუნებას არ დათანხმდება?!**

„საერთო გაზეთი"

# „ირაკლი ბათიაშვილი საქართველოს გაუბედურების საქმეში სამ მთავარ ფიგურას გამოყოფდა: ედუარდ შევარდნაძეს, ჯაბა იოსელიანსა და ილია მეორეს!“



**— ვინ ამბობდა ამას?**

— ერთი **ნემო ბურჭულაძე** იყო, ხოლო მეორე — **თემურ ქორიძე!** ესენი, როცა ამას ამბობდნენ, იმ პერიოდში ძალიან იყვნენ შეშინებული, ეშინოდათ დაჭერის და იმიტომაც გააკეთეს მსგავსი განცხადებები. უნდა ვაღიაროთ, რომ ზვიად გამსახურდია ბევრმა მისმა თანამებრძოლმა მამლის პირველ ყივილამდე გაყიდა!

**— ამბობენ, რომ ზვიად გამსახურდია საკადრო პოლიტიკამ დაღუპა!**

— საკადრო პოლიტიკამ ვინ არ დაღუპა? შევარდნაძეც და სააკაშვილიც კადრებმა დაღუპეს... ამ ხელისუფლებასაც ერთდროულად ორ სკამზე მჯდომი კადრები მოუღებენ ბოლოს!

## ანდა რა ექნა ზვიად გამსახურდიას, საიდან მოეყვანა კადრები, იმ საზოგადოებიდან, რომელიც „ცეხავიკებისა“ და კორუფციაში ჩაფლული „საქმოსნების“ ნაზავს წარმოადგენდა? გამსახურდია კადრების შერჩევის პროცესს მეგობრის არჩევას ადარებდა და კითხულობდა – „განა ადვილია მეგობრის არჩევა? მეგობარს ეძებ და მტერი შეგრჩება ხელში!“

ზვიადის ეს რიტორიკული და სასოწარკვეთილი ამოძახილი ყველა ხელისუფლებამ და განსაკუთრებით ამ ხელისუფლებამ კარგად გაითავისოს! ზვიად გამსახურდიას კადრები რომ გაეწმინდა, საქართველოს საქმე სხვანაირად წავიდოდა, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო... ძალიან საინტერესო და პირუთვნელია **ირაკლი ბათიაშვილის** მოსაზრება, რომელმაც საქართველოს გაუბედურების მთავარ მიზეზად **„კრიმინალურ-მაფიოზური, პროსოციალისტურად მოაზროვნე და არაეროვნული ძალების მიერ ქვეყნის მართვა“** დაასახელა...

**— ბათიაშვილი ამ ძალების ლიდერებს არ აკონკრეტებდა?**

— ირაკლი ბათიაშვილი საქართველოს გაუბედურების საქმეში სამ მთავარ ფიგურას გამოყოფდა —**ედუარდ შევარდნაძეს, ჯაბა იოსელიანსა და ილია მეორეს!** ის სამივე პიროვნებას ბრალს სდებდა და აცხადებდა, რომ *„შევარდნაძე ძველი სოციალისტური სისტემის ტყვეობაში აღმოჩნდა და მისთვის მეტად უცხო იყო რეფორმისტული პოლიტიკის წარმოება, რის გამოც აღარც სოციალიზმი გვქონდა, აღარც კაპიტალიზმი და ეკონომიკა ჰაერში გამოკიდებული, გაურკვევლობის ბურუსში გახვეული აღმოჩნდა.“* რაც შეეხება **ჯაბა იოსელიანს,** ირაკლი ბათიაშვილის განმარტებით, *ჯაბა „კრიმინალურ-მაფიოზური ძალა იყო და შევარდნაძის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა. მას მეტისმეტად ჰქონდა ფესვები გადგმული ქვეყნის მთელ სხეულში და, ფაქტობრივად, შიდასახელმწიფოებრივი სიტუაციის მართვის ბერკეტები ეპყრა ხელთ!“*





**— ეკლესიისა და პატრიარქის მიმართ მისი აზრი როგორი იყო?**

— ირაკლი ბათიაშვილის აზრით, *„შევარდნაძეს მხარში ერთგულად ედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური, რომლის მთელი მოღვაწეობაც მიმართული იყო იქითკენ, რომ საქართველოსთვის ამ განსაცდელის ჟამს ეკლესია მიყუჩებული და მიძინებული ყოფილიყო!“*

გულწრფელად მინდა, გითხრათ, რომ ბათიაშვილის ამ მოსაზრებებს თავიდან ბოლომდე ვეთანხმები... **ეკლესიას მართლაც შეეძლო ბოროტების მხილება და ყველა უკეთურებისთვის თავისი სახელის დარქმევა, მაგრამ ეს არ მოხდა, რაც ეკლესიის ავტორიტეტზე ძალიან უარყოფითად აისახა.** ეკლესიის გაყუჩებამ და პატრიარქის არასწორმა პოზიციამ ის შედეგი გამოიღო, რომ კრიმინალური მაფია სახელმწიფოს დაეპატრონა. **ირაკლი ბათიაშვილის** აღიარებით, მისი და ეროვნული მოძრაობის წიაღიდან გამოსული სხვა პირების თანამშრომლობა ამ დანაშაულებრივ, კრიმინალურ სინდიკატთან შეცდომა იყო და მათ საქმიანობას მომავალი განსჯიდა!

**— შეეძლო თუ არა შევარდნაძეს ეროვნული გზით სვლა?**

— **არ შეეძლო!** შევარდნაძე საქართველოში დასვეს ამერიკელებმა და რუსებმა, ხოლო იმ პოლიტიკურ სიტუაციაში, არც ერთს და არც მეორეს თბილისში ეროვნული ხელისუფლების არსებობა არ აწყობდათ. ზვიად გამსახურდიას ჰქონდა შანსი, ერევნიდან გროზნოში ჩაფრენილ თვითმფრინავს, რომელიც იმავე დღესვე საქართველოსკენ გამოტრიალდა და სოხუმის აეროპორტში დაფრინდა, თავადაც გამოჰყოლოდა და დასავლეთ საქართველოში დამკვიდრებულიყო, მაგრამ მან ეს არ გააკეთა, რადგან ქვეყნის გაერთიანებისთვის იბრძოდა!

ზვიად გამსახურდიასგან განსხვავებით, შევარდნაძე მსოფლიო პოლიტიკაში უპირატესობას ანიჭებდა არა ეროვნულ თვითმყოფადობას, არამედ ბალანსს. სწორედ ამ ბალანსს ეწირება დღეს ჩვენი ეროვნული ტრადიციები და სუვერენიტეტი... მიმაჩნია, რომ **ირაკლი ღარიბაშვილმა** ამ ბოლო დროს უარი თქვა შევარდნაძის მიერ არჩეულ კურსზე და იმ უწესო თამაშზე, რომელიც ედუარდ ამბროსოვიჩმა პოლიტიკაში დანერგა. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ შეერთებული შტატები და მისი აგენტურა ემზადებიან ამ ხელისუფლების მოსაშორებლად.

ზვიად გამსახურდიას პოლიტიკაში სიმართლე მეტი იყო, ვიდრე ძალა! საქართველოს პირველ პრეზიდენტს პოლიტიკაში ტყუილი არ შემოუტანია და არც გამიზნული სიცრუისთვის დაუკრავს ტაში. ზვიად გამსახურდია ამბობდა — **ეროვნულმა ხელისუფლებამ შესაძლოა, სამხედრო გზით გაიმარჯვოს, მაგრამ ზნეობრივად დამარცხდება!** მართალიც იყო... მან თავისი სიკვდილით მაგალითი დაუტოვა შთამომავლობას და მორალურ მსოფლიოს, რომ იდეას სწორედ პირველი პირი უნდა შეეწიროს... ამიტომაც კიდევ ერთხელ ვაცხადებ — ზვიადი არ იყო პრაგმატიკოსი, ის რომანტიკულ-იდეალისტურ ლიდერად მოკვდა!



## თემურ ქორიძე: გამსახურდიას დიქტატურის სალტე სუნთქვას მიკრავდა!



## „შევარდნაძეც და სააკაშვილიც კადრებმა დაღუპეს... ამ ხელისუფლებასაც ერთდროულად ორ სკამზე მჯდომი კადრები მოუღებენ ბოლოს!“

## ნემო ბურჭულაძე: მე ვცდებოდი!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***
***გაგრძელება იქნება***

## კვირგვინოსნები

**ლევან ანჯაფარიძე**
*კინორეჟისორი*



2006 წელს, როცა ხალხი **მობილურიდან სიმბარათს იღებდა, გვერდით ოთახში ტოვებდა და ისე საუბრობდა,** რათა მისთვის არ მოესმინათ, სწორედ ამ დროს მე **ირინა ენუქიძეზე ფილმი გადავიღე, რის გამოც სტუდია დამიწვეს.** აი, რას ჰქვია **რეპრესია.** ესენი რომელ **რეპრესიებზე** ლაპარაკობენ?

„საერთო გაზეთი“

**კონრად ბაბუნაშვილი**
*საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია „ევრო ამბასადორის“ თავმჯდომარე*



**რუსეთი დაშლის პირას არის მისული** და ჩვენ ვრჩებით პირისპირ ჩრდილოეთ კავკასიის 6-მილიონიან მოსახლეობასთან. თუ ჩვენ არ გვექნება **ჩრდილოეთ კავკასიასთან ეფექტური პოლიტიკა** უსაფრთხოების სისტემებით დაცული, ეს პრობლემა გახდება საქართველოს ეროვნული ინტერესებისთვის. **ლეკიანობის შესახებ ვიცით და დაახლოებით იგივე პროცესები დაიწყება.**

„ალია“

**ჰამლეტ ჭიპაშვილი**
*პოეტი*



ბოდიში და, **ფეხებზე ჰკიდია ზელენსკის მიშა,** მასაც და სხვებსაც აღელვებთ ის, რომ **საქართველომ არ გახსნა მეორე ფრონტი რუსეთის წინააღმდეგ,** არ დაუწესა რუსეთს ეკონომიკური სანქციები, ამის გამოა, რომ **მაქსიმალურად ცდილობს უკრაინის პრეზიდენტი, წიხლი დააჭიროს საქართველოს.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ზაზა შათირიშვილი**
*ფილოსოფოსი*



**ოლიგარქიულმა ოჯახებმა** შექმნეს ადამიანის უფლებების საკუთარი მოდელი, რომელიც **მთლიანად ლგბტ პროპაგანდამდეა დაყვანილი.** ამ პროპაგანდას სინამდვილეში არაფერი აქვს საერთო ადამიანის უფლებების დაცვასთან და მთლიანად **ოლიგარქიული ოჯახების** პოლიტიკურ მიზანს — **საზოგადოების ბიომასად გადაქცევას და მოსახლეობის ათჯერ შემცირებას ემსახურება.**

„საერთო გაზეთი“

**ზაფხულობით თითოეული ჩვენგანის ოჯახში დიდი ფუსფუსია — დიასახლისები კომპოტებისა და მურაბების დამზადებას ეტაპობრივად იწყებენ! ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი სწორედ მურაბების ავკარგიანობასა და დამზადების წესზე გვესაუბრება და აცხადებს, რომ მურაბა, რომელიც მაღალი შაქრიანობის გამო ერთმნიშვნელოვნად მავნებელია, ბოლომდე უვარგისი პროდუქტი მაინც არ არის, რადგან ჩვენი ჯანმრთელობისთვის სასარგებლო არაერთი თვისება აქვს:**



**„ოჯახის პირობებში დამზადებული მურაბა 1 წელზე მეტხანს არ უნდა შევინახოთ!“**

# კახა საბახტარიშვილი:

# ყველაზე საუკეთესო ქაცვის მურაბაა!



— საქართველოში მურაბების დამზადებისა და მოხმარების ტრადიცია საუკუნეებს ითვლის. პირველი ცნობები მურაბის შესახებ ქრისტეშობამდე 2 ათასი წლის წინანდელია. **უძველესი ტექსტების თანახმად, სპარსელები სხვადასხვა პროდუქტებს თაფლსა და სანელებლებს უმატებდნენ და ამ გზით ღებულობდნენ ცხარე სოუსს, რომელიც მურაბის წინამორბედად შეიძლება მივიჩნიოთ.** სპარსელებმა ეს ტექნოლოგია ბუნებრივად აითვისეს, რადგან ახლო აღმოსავლეთის ცხელი ჰავა პროდუქტებს მალფუჭებადს ხდის და ამდენად, აუცილებელი იყო ისეთი რაღაცის მოფიქრება, რაც დიდი ხნის განმავლობაში ასეთი პროდუქტების საკვებად ვარგისიანობას უზრუნველყოფდა. ევროპაში მურაბის მასობრივად წარმოება მე-15-მე-16 საუკუნეში დაიწყო. ამას ძალიან შეუწყო ხელი კოლონიებიდან იაფი შაქრის შემოდინებამ. სანამ შაქარი დეფიციტი იყო, მანამ ხილისა და კენკროვნების კონსერვაციისთვის თაფლს იყენებდნენ. კერძოდ, საგანგებოდ მოწყობილ ღუმელში ხილს თაფლთან ერთად ადუღებდნენ, რაც მის ხანგრძლივი დროით შენახვას განაპირობებდა.

**— ჩვენ არაერთგზის გვითქვამს, რომ თაფლის გაცხელება დაუშვებელია, რადგან მაღალ ტემპერატურაზე ის კიბოს გამომწვევ ფენოლებს გამოყოფს! ამ მომაკვდინებელი საფრთხის შესახებ შუა საუკუნეების საქართველოსა და ევროპაში არაფერი იცოდნენ?**

— ამის შესახებ არათუ შუა საუკუნეებში, არამედ მეოცე საუკუნის 50-იან წლებამდეც კი არაფერი იყო ცნობილი, სანამ ფენოლების ჯგუფი და მათი გავლენა კიბოს წარმოშობაზე კარგად არ იქნა შესწავლილი.

**დღესაც კი ვერ ხვდება ქართველი საზოგადოება, რომ გოზინაყი, რომელიც საახალწლო სუფრის განუყოფელი ატრიბუტია, სასიკვდილო საფრთხის შემცველი ნუგბარია, კიბოს იწვევს და მისი ჭამა არ შეიძლება!**

არ შეიძლება ცხელ ჩაიში შაქრის ნაცვლად თაფლის გამოყენებაც! არ შეიძლება არცერთი იმ ნამცხვრისა და ტორტის მირთმევა, სადაც თერმულად, მაღალ ტემპერატურაზე დამუშავებული თაფლია გამოყენებული! უფრო მეტიც, **ცხელი ჩაის მირთმევის დროს თაფლს საერთოდ არ გავეკაროთ და ეს იშვიათი და ძალიან სასარგებლო პროდუქტი კარაქიან პურზე არ გადავუსვათ, რადგან ცხელი წყლის ზემოქმედებით თაფლი შხამად გარდაიქმნება!**

საერთოდ, კარაქთან ერთად თაფლის ჭამა არანაირად არ არის რეკომენდებული, რადგან კარაქი სუფთა ცხიმია, ხოლო თაფლი — სუფთა შაქარი. მაღალი კონცენტრაციის ცხიმისა და შაქრის კომბინაცია ორგანიზმს ძალიან ვნებს და გარანტირებულად იწვევს წონის მატებას, შაქრიან დიაბეტსა და ღვიძლის ჰეპატოზს, ანუ გაცხიმოვნებას! ამიტომაც ჩემი რჩევაა, **ბავშვებს ნუ დავაძალებთ ისეთ კარაქიან პურს, რომელზეც თაფლიც იქნება გადასმული. თაფლი და კარაქი შესანიშნავი პროდუქტებია, მაგრამ ისინი ცალ-ცალკე უნდა მივირთვათ!**

**— კარაქის გაცხელება რამდენად რეკომენდებულია?**

— კატეგორიულად ვაფრთხილებ ყველას: **კარაქში პროდუქტების შეწვა დაივიწყეთ!**



# „კარაქი გაცხელებისას გარდაიქმნება ტრანსცხიმად, რომელიც კიბოს იწვევს!“

დადასტურებული ფაქტია, რომ კარაქი გაცხელებისას გარდაიქმნება ტრანსცხიმად, რომელიც კიბოს იწვევს. ამიტომ კარაქში კვერცხის, ხორცის, ყველის ან სხვა პროდუქტების შეწვა კატეგორიულად დაუშვებელია! შედარებით უსაფრთხოა პროდუქტების მზესუმზირის ზეთში შეწვა.

# „კატეგორიულად ვაფრთხილებ ყველას: კარაქში პროდუქტების შეწვა დაივიწყეთ!“



**— მივუბრუნდეთ მურაბებს! საერთოდ, რამდენად სასარგებლოა მურაბა?**

— **არ შეიძლება, მურაბა სასარგებლო იყოს, რადგან ის 50 პროცენტი შაქარია!** აქედან გამომდინარე, მურაბის ჭამას სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ! **ვისაც შაქრიანი დიაბეტი აქვს, იმან მურაბა საერთოდ არ უნდა ჭამოს...** ზოგიერთი ამტკიცებს, რომ მურაბა აბსოლუტურად უსარგებლო პროდუქტია, რაც სინამდვილე არ არის. საქმე ის გახლავთ, რომ მავნებლობასთან ერთად მურაბა გარკვეულწილად სიკეთის მომტანიც არის, რადგან არაერთ სასარგებლო ნივთიერებას შეიცავს. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომელი პროდუქტისგან დამზადებულ მურაბაზე ვსაუბრობთ... ყველაზე საუკეთესო **ქაცვის მურაბაა!** იგი ანტიმიკრობული პროდუქტია და გრიპისა და გაციების დროს შეუდარებელია. ამასთან, ქაცვის მურაბა შაქარსა და ქოლესტერინს დაბლა სწევს და ელასტიკურს ხდის სისხლძარღვებს. ქაცვის მურაბა შეუდარებელია ზედა სასუნთქი გზების დაავადების დროს და ძალიან უხდება პანკრეასის ჯირკვალს, კუჭს, თორმეტგოჯა ნაწლავს, თირკმელსა და ღვიძლს. მიუხედავად იმისა, რომ მურაბის დამზადებისას ნებისმიერ პროდუქტში არსებული ვიტამინების დონე მცირდება, რადგან მდუღარე წყალი ვიტამინების მტერია, ქაცვის მურაბაში მაინც ნარჩუნდება B1, B2, PP და E ვიტამინები, რომლებიც ცხელი წყლის ზემოქმედებას უძლებენ. აქედან გამომდინარე, **ქაცვის მურაბა ავიტამინოზის აღმოსაფხვრელად ერთ-ერთი საუკეთესო პროდუქტია და მისი მიღება ორსულებსაც თავისუფლად შეუძლიათ, მაგრამ ზომა აქაც უნდა იყოს დაცული. კერძოდ, ორსულმა ქალმა დღეში 3 ჩაის კოვზზე მეტი ქაცვის მურაბა არ უნდა შეჭამოს.** თუ ადამიანს ქაცვზე ალერგია აქვს, მაშინ ის ქაცვის მურაბას საერთოდ არ უნდა გაეკაროს. 3 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ქაცვის მურაბის მიღება საერთოდ არ არის რეკომენდებული ისევ და ისევ ალერგიის საშიშროების გამო.



**„ბევრი დიასახლისი ალუბალს კურკას არ აცლის და ისე ამურაბებს, რაც შეცდომაა... საერთოდ, კომპოტი იქნება თუ მურაბა, კურკა ყველა ხილს უნდა მოვაშოროთ და ისე მოვამზადოთ, რადგან კურკის უმრავლესობა მომწამვლელი მჟავებისგან შედგება, რომელიც ციანიდში გადადის!“**

**— ამ ბოლო დროს ძალიან მოდური გახდა ნაძვის გირჩისგან დამზადებული მურაბა! გირჩის მურაბით მოვაჭრენი კლიენტებს არწმუნებენ, რომ მურაბა განსაკუთრებით კარგია ბავშვებისთვის... რას იტყვით?**

— საერთოდ, ნაძვი და წიწვოვანი ხეები გამოყოფენ **ფიტონციდებს,** რომელსაც ანტივირუსული და ანტიბაქტერიული თვისებები აქვს. აქედან გამომდინარე, **ანგინის დროს გირჩის მურაბა არამარტო ბავშვების, არამედ დიდებისთვისაც შეუცვლელია.** ის ხოცავს ბაქტერიებსა და ვირუსებს, აცხრობს ყელის სიწითლეს და დაბლა სწევს ტემპერატურას. გირჩის მურაბა პირდაპირ შველაა მათთვის, ვისაც მშრალი ხველა ან ბრონქიტი აქვს. უმჯობესია, გირჩის მურაბა მწვანე ჩაისთან ან წყალთან ერთად მივიღოთ. გირჩის მურაბის მომზადება მარტივია:

*1 კილოგრამ მწვანე გირჩს, რომელიც ზომით 1 სანტიმეტრიდან 5 სანტიმეტრამდეა და დანით ადვილად იჭრება, დავასხათ 3 ლიტრი ცივი წყალი, 10 საათის განმავლობაში გავაჩეროთ და წყალი გადავღვაროთ. ამის შემდეგ გირჩს დავაყაროთ 1 კილოგრამი შაქარი და შესქელებამდე ვადუღოთ ნელ ცეცხლზე. მიღებული მასა გავაცივოთ და ჩავასხათ ქილებში.* ხველისა და ბრონქიტის დროს გირჩის მურაბა დღეში სამჯერ უნდა მივიღოთ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე 1 ჩაის კოვზის ოდენობით.



# „პარაზიტებისგან ორგანიზმის გასაწმენდად გირჩის მურაბა საუკეთესოა!“

ბევრმა არ იცის, რომ გირჩის მურაბა ძალიან ეფექტურია პარაზიტების წინააღმდეგ საბრძოლველად! კერძოდ, ადამიანის ორგანიზმში მოკალათებული **ლამბლიები** — პარაზიტების ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული სახეობა — გირჩის მურაბის არომატს ვერ იტანენ! ამიტომ პარაზიტებისგან ორგანიზმის გასაწმენდად გირჩის მურაბა საუკეთესოა! თუ 12 დღის განმავლობაში გირჩის მურაბას ჭამამდე 30 წუთით ადრე ერთი სუფრის კოვზის ოდენობით მივიღებთ, ორგანიზმი პარაზიტებისა და მავნებლებისგან გაიწმინდება! გირჩის მურაბა ინსულტის საპროფილაქტიკო საშუალებაცაა... ეს ნუგბარი აუცილებლად უნდა მივაღებინოთ ყველა იმ ბავშვს, რომელსაც დაბალი ჰემოგლობინი აქვს.

**— რას იტყვით ჟოლოს, ანუ ე.წ. მალინის მურაბის შესახებ?**

— **ჟოლოს მურაბა** გრიპისა და გაციების დროს მისწრებაა და ეს ყველამ კარგად უწყის, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ მას სიცხის დამწევი თვისებაც აქვს.

**ჟოლოს მურაბა შეიცავს ბუნებრივ ასპირინს, ანუ აცეტილსალიცილის მჟავას, რომელიც, ქიმიური ასპირინისგან განსხვავებით, კუჭს არ აღიზიანებს.**

**— საქართველოში უხსოვარი დროიდან პოპულარულია კაკლის მურაბა... რამდენად სასარგებლოა ის?**

— კაკლის მურაბა ძალიან უყვარდა სტალინს, რომელსაც დედა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე უმზადებდა და საქართველოდან კრემლში უგზავნიდა. სტალინმა დედის მომზადებული კაკლის მურაბა ერ-




**ზე მეტხანს არ უნდა შევინახოთ!** საქმე ის გახლავთ, რომ კანცეროგენური ნივთიერება ოქსიმეთილფურფუროლი ნებისმიერ მურაბაში შეიძლება იყოს. ეს ნივთიერება მაღალ ტემპერატურაზე შაქრის დაშლის შედეგად გამოიყოფა. საგულისხმოა ისიც, რომ მურაბაში ხილის მჟავების არსებობა ამ შხამის გამოყოფის პროცესს აჩქარებს. ბავშვთა კვებაში ამ საშიში ნივთიერების დასაშვები დოზა 1 კილოგრამ პროდუქტზე 20 მილიგრამს არ უნდა

## „კაკლის მურაბა ძალიან უყვარდა სტალინს, რომელსაც დედა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე უმზადებდა და საქართველოდან კრემლში უგზავნიდა!“

თხელ ჩერჩილსაც გაასინჯა, რომელიც დიდი გურმანი იყო. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მურაბით აღფრთოვანებული დარჩა! კაკლის მურაბა ძალიან სასარგებლოა და განსაკუთრებით კარგად მოქმედებს თავის ტვინზე. **კაკლის მურაბა აუმჯობესებს მეხსიერებას და ჩიყვის უებარი წამალია.** იგივე შეიძლება ითქვას **ფეიხოას მურაბაზეც,** რომელიც გულით ავადმყოფთათვის პირდაპირ მისწრებაა. იოდის მაღალი შემცველობის გამო ფეიხოას მურაბაც და კომპოტიც ჩიყვის უებარი წამალია.



**— როგორც ცნობილია, მურაბის მომზადების რამდენიმე წესი არსებობს, თქვენ რომელს გვირჩევთ?**

— მურაბას სამი წესით ამზადებენ — კლასიკურად, ცივად და ხუთწუთიანი ხარშვით! სამურაბე ხილი რაც ნაკლებად მოექცევა მდუღარე წყლის ზემოქმედების ქვეშ, ჯანმრთელობისთვის მით უკეთესია! აქედან გამომდინარე, მურაბის ცივი წესით მომზადება ჯანმრთელობისთვის ყველაზე საუკეთესო ვარიანტია. ასეთ დროს სხვადასხვა ხილსა და კენკრას კარგად გარეცხავენ, დააქუცმაცებენ და ზუსტად იმავე რაოდენობის შაქარს მოაყრიან, რამდენიც ხილია და კენკრა. ამის შემდეგ მასას ხის კოვზით შაქრის სრულ გახსნამდე მოურევენ და დაშაქრულ პროდუქტს სტერილურ ქილაში მოათავსებენ. ქილა ან ცივ ადგილას უნდა შევინახოთ, ანდა მაცივარში. ე.წ. „ხუთწუთიანი ტექნოლოგიით“ მურაბა ასე მზადდება — ხილს ან კენკრას დაასხამენ წყალს, დაამატებენ საჭირო ოდენობით შაქარს, წამოადუღებენ და 5 წუთის განმავლობაში ხარშავენ. გაცივებულ მასას ჩაასხამენ სტერილურ ქილაში და ცივ ადგილას შეინახავენ.

## „კაკლის მურაბა აუმჯობესებს მეხსიერებას და ჩიყვის უებარი წამალია!“

მურაბის კლასიკურად მომზადების შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, რადგან ეს ყველამ იცის. ყველაზე დიდი პრობლემა მურაბის შენახვაა, რადგან, თუ გარკვეულ წესებს არ დავიცავთ, მურაბას შესაძლოა, ძალიან ადვილად გაუჩნდეს ობი. ეს რომ არ მოხდეს, აუცილებელია: ქილა პირამდე ავავსოთ, ზემოდან დავაფაროთ პერგამენტი, რომლის მურაბასთან შეხებ ბის მხარე სპირტში იქნება ამოვლებული და ქილა მჭიდროდ მოვხუფოთ. მოხუფვა უნდა მოხდეს მაშინ, როცა მურაბა ცივი იქნება.



### გვახსოვდეს – მურაბა, რომელსაც ობი მოეკიდება, უნდა გადავაგდოთ, რადგან ობის სოკოს შხამი – ნიკოტოქსინი არამხოლოდ ქილის ზედაპირზე, არამედ მთელ ქილაშია მოდებული!

**ნიკოტოქსინი,** რომელიც კიბოს გამომწვევია, ძლიერ მომწამვლელი შხამია... ბევრი დიასახლისი ალუბალს კურკას არ აცლის და ისე ამურაბებს, რაც შეცდომაა... საერთოდ, კომპოტი იქნება თუ მურაბა, კურკა ყველა ხილს უნდა მოვაშოროთ და ისე მოვამზადოთ, რადგან კურკის უმრავლესობა მომწამვლელი მჟავებისგან შედგება, რომელიც ციანიდში გადადის.

**— რამდენი ხნის განმავლობაში შეიძლება მურაბის შენახვა?**

— **ოჯახის პირობებში დამზადებული მურაბა 1 წელ**აღემატებოდეს.

1 წლის მურაბაში ოქსიმეთილფურფუროლის ოდენობა **25 მილიგრამია,** ანუ ნორმის ფარგლებშია, მაგრამ წელიწადნახევარში ეს მაჩვენებელი **75 მილიგრამი** ხდება, ხოლო ორ წელიწადში — **600 მილიგრამი.** სამი წლის მურაბაში კიბოს გამომწვევი კანცეროგენის შემცველობა კატასტროფულად მაღალია და 1 კილოგრამზე 1500 მილიგრამს აღწევს. ამდენად, **ერთ წელზე მეტხანს მურაბის გაჩერება ყოვლად დაუშვებელია და უნდა გადავაგდოთ!**

ერთიც გვახსოვდეს:

### ქარხნული წესით დამზადებული მურაბა ოჯახურთან შედარებით ძალიან სახიფათოა, რადგან მას ათასი ჯურის კონსერვანტები და გემოს მიმცემი ნივთიერებები აქვს დამატებული.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## „არ შეიძლება ცხელ ჩაიში შაქრის ნაცვლად თაფლის გამოყენებაც! არ შეიძლება არცერთი იმ ნამცხვრისა და ტორტის მირთმევა, სადაც თერმულად, მაღალ ტემპერატურაზე დამუშავებული თაფლია გამოყენებული!“












# რა ღირს კულისებს მიღმა გაყიდული საქართველო?!

**რეპორტაჟი ქართული პოლიტიკის ხუხულებიდან**

***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს პოლიტოლოგ გია ხუხაშვილის ახლახან გამოცემული მემუარული ჟანრის წიგნის — „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“ განხილვას. ეს მოგონებები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ავტორი, როგორც ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილისა და ბოლოს, ბიძინა ივანიშვილის უახლოესი გარემოცვის წევრი, პირადად მონაწილეობდა საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვან და ფართო მასებისთვის დაფარულ მოვლენებში და იმ პერიპეტიებს ეხება, რომლებმაც განსაზღვრეს კიდეც უმძიმესი დღევანდელობა.***



დასაწყისი იხ. „ა-დ“ №18-19, 20-21, 22-33




## გია ხუხაშვილი: მადლიერი ვარ ბიძინასი!




**„ეს არის არა მატერიალური, არამედ გაჭირვებაში თანადგომის, თანაგრძნობის ფასდაუდებელი ვალი, რომელიც ყოველთვის მემახსოვრება და ვერასოდეს გადავიხდი!“**

**გია ხუხაშვილი** თავის მემუარებში აღწერს 2011 წლის მიწურულიდან **ბიძინა ივანიშვილის** პოლიტიკაში ღია ჩართვის შედეგად დაწყებულ კოალიციის შექმნის პროცესს, რომელშიც ის პირადად მონაწილეობდა.

პირველ ეტაპზე, **ბიძინა ივანიშვილის** გარშემო ეგრეთ წოდებული ლიბერალურ-პროდასავლური ძალების გაერთიანების შემდეგ, დღის წესრიგში კონსერვატიული ძალების შემოკრებაც დადგა:

***„კოალიცია ყალიბდებოდა და იზრდებოდა, ძირითადად, კონსერვატიული ძალების ხარჯზე და მიიღო ერთგვარი ეკლექტური ხასიათი. ფორმირდებოდა პოლიტიკური გაერთიანება, რომლის შემადგენელ ნაწილებს აერთიანებდა არა საერთო ფასეულობათა სისტემა, არამედ ერთი პიროვნება ერთადერთი ამოცანით — შეცვლილიყო ხელისუფლება“*** *(გ. ხუხაშვილი, „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“, გვ. 153).*

„ქართული ოცნების“ კოალიციის ეს ეკლექტურობა მართლაც თვალში საცემი იყო: რესპუბლიკურ პარტიასა და ტრადიციონალისტთა კავშირს მართლაც არა აქვთ საერთო პოლიტიკური მსოფლმხედველობა, მაგრამ ეს ის შემთხვევა გახლდათ, როდესაც მიზანი ამართლებს საშუალებას! მიზანი კი მართლაც, ისტორიული იყო — **სააკაშვილის პათოლოგიური და ანტიქართული რეჟიმისგან საქართველოს დახსნა!**

მიუხედავად იმისა, რომ მემუარისტი წლების გადმოსახედიდან უარყოფითად აფასებს ამგვარი ეკლექტური კოალიციების შეკოწიწებას, იმას კი ობიექტურად აღიარებს, როგორ შეძლო **ივანიშვილმა** შეუთავსებლის შეთავსება დასახული დიდი მიზნის მისაღწევად:

***„ამ ამორფული, გაუგებარი სისტემის მართვის პროცესში ბიძინა ივანიშვილმა გამოავლინა თავისი უნიკალური უნარი, შეეთავსებინა შეუთავსებელი, მოერიგებინა და ერთი ტაქტიკური ამოცანის — ხელისუფლების დამარცხების — ირგვლივ გაეერთიანებინა პოლიტიკური პარტიები და პიროვნებები, რომელთაც არათუ არაფერი საერთო არ ჰქონდათ, არამედ, ხშირ შემთხვევაში, უკიდურესად დაპირისპირებულები იყვნენ ერთმანეთთან.***

***პირველივე შეხვედრების დროს პოლიტიკურ მაგიდასთან სრულიად აშკარად გამოჩნდა, რომ მას აქვს ამ ტიპის რთული, ანტაგონიზმით დამუხტული სისტემების მართვისა და მედიაციის განსაკუთრებული ნიჭი“*** *(იქვე, გვ. 154).*

მეტიც, ხუხაშვილი აკეთებს შემაჯამებელ დასკვნას, რომელიც თავდაყირა აყენებს ნაცსექტის ცნობილ პროპაგანდისტულ თეზას, ივანიშვილის ღირსება მხოლოდ მისი მილიარდებიაო:

***„ჩემი აზრით, მცდარია ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ბიძინას მთავარ აქტივად მისი მატერიალური შესაძლებლობების განხილვა. ვფიქრობ, რომ არა მისი ნიჭი და გამოცდილება რთული სისტემების მართვაში, მის მიერვე განხორციელებული ინვესტიცია წყალში გადაყრილი იქნებოდა“*** *(იქვე, გვ. 154).*

ამის შემდეგ **ხუხაშვილი** იხსენებს, რომ, რაც უფრო ღრმად შედიოდა პოლიტიკურ პროცესში, მით მეტად გარდაუვალი ხდებოდა, გაეკეთებინა არჩევანი: ან პოლიტიკურად ნეიტრალური, დარჩენილიყო მისი მეგობრის საერთაშორისო ბიზნესკომპანიაში, მაღალანაზღაურებად პოზიციაზე, ანდა წამოსულიყო იქიდან და მთლიანად **ბიძინა ივანიშვილის** გუნდში გადასულიყო! ეს არჩევანი კი დროზე იყო გასაკეთებელი, რადგან ხუხაშვილის პოლიტიკური აქტიურობა ივანიშვილის მხარეზე გარდაუვლად გამოიწვევდა ნაცრეჟიმის მხრიდან დიდ პრობლემებს მისი მეგობრის ბიზნესისათვის!

მემუარისტი იხსენებს, როგორ უთხრა ივანიშვილს, წამოვედი ბიზნესკომპანიიდან, რათა უფრო აქტიურად და ღიად მივიღო მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებშიო:

***„ბიძინას, რა თქმა უნდა, გაეხარდა ჩემი გადაწყვეტილება და იქვე მითხრა, რომ მის გეგმებშიც არ შედიოდა ხელისუფლებაში დიდხანს დარჩენა. უბრალოდ, უნდა მოგვემზადებინა და დაგვეტოვებინა ისეთი პოლიტიკური გუნდი, რომელსაც გადავაბარებდით ხელისუფლებას გამარჯვების შემდეგ და რომელიც ქვეყანას დაამშვიდებდა, გააძლიერებდა და ჩვენც მოგვეცემოდა წყნარი ცხოვრების საშუალება...“*** *(იქვე, გვ. 158).*

**ხუხაშვილი** იხსენებს იმ ყოფითი დეტალების მოგვარებასაც, პოლიტიკაში აქტიურობით რომ აუცილებლად წარმოიქმნებოდა:

***„მესმოდა, რომ გავხდებოდი ხელისუფლების მხრიდან ზეწოლისა და განსაკუთრებული დაკვირვების ობიექტი, ამიტომ ერთადერთი თხოვნა მქონდა ბიძინასთან — უნდა გადამეწყვიტა ჩემი შვილის უსაფრთხოების პრობლემა. მე მქონდა ხელისუფლებასთან კონფრონტაციის საკმაოდ დიდი გამოცდილება და, შესაბამისად, პირადი რისკის პრევენციაზე ნაკლებად ვზრუნავდი. შვილი კი, რომელიც იმ დროს 20 წლის იყო, შეიძლებოდა, გამხდარიყო რაიმე ტიპის პროვოკაციის მსხვერპლი. მიმაჩნდა, რომ ეს იყო ჩემი მთავარი სისუსტე, რომლის განეიტრალების გარეშე გამიჭირდებოდა სრულფასოვანი ჩართვა პოლიტიკურ პროცესში“*** *(იქვე, გვ. 159).*

**ივანიშვილმა** ხუხაშვილს შესთავაზა, ოჯახიანად მის შუშის სასახლეში გადასულიყო, რაზეც **ხუხაშვილმა** უპასუხა — ჩემი შვილი ასე იზოლირებულად ვერ იცხოვრებსო, ამიტომ ერთადერთი გამოსავალი ოჯახის უცხოეთში გაყვანა იყო!

ჰოდა, ბიძინა ივანიშვილმა ეს უზრუნველყო — როგორც მემუარისტი ამბობს, მისი მეუღლე და შვილი ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში ცხოვრობდნენ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში ნაცხელისუფლების დამარცხებამდე...

**ხუხაშვილი** იხსენებს, რომ ევროპაში გახიზნულ მის მეუღლეს სტრესისაგან გულის ქრონიკული დაავადება გაუუარესდა და გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციაც დასჭირდა:

***„მადლიერი ვარ ბიძინასი... მე შეიძლება, ბევრი ვილაპარაკო იმაზე, რომ მასთან ვალში არა ვარ და ამის ათასი არგუმენტი მოვიყვანო, მაგრამ... ის, რაც გააკეთა მან მელანოს ოპერაციასთან დაკავშირებით, არ იზომება უბრალო ბუღალტერიით. ეს არის არა მატერიალური, არამედ გაჭირვებაში თანადგომის, თანაგრძნობის ფასდაუდებელი ვალი, რომელიც ყოველთვის მემახსოვრება და რომელსაც ვერასოდეს გადავიხდი. ეს არის ის ეპიზოდი ჩვენს ურთიერთობაში, რომელიც მკვეთრი წითელი ხაზის გატარებაში მეხმარება ჩვენს საზოგადოებრივ და პირად დამოკიდებულებას შორის“*** *(იქვე, გვ. 162).*

იქვე მემუარისტი იხსენებს ივანიშვილთან დაკავშირებულ კიდევ ერთ ამბავს, თუ როგორ უთხრა ბიძინამ, ჩემი რეზიდენციიდან საკმაოდ შორს ცხოვრობ, დიღომშიო და მოდი, სადმე, უფრო ახლოს გიყიდი ბინასო:

***„მე ავუხსენი, რომ სრულიად მაკმაყოფილებდა დიღომში ცხოვრება და ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავდი იქიდან შუშის სასახლეში მგზავრობასთან დაკავშირებით. მეორე მხრივ, მისგან ასეთ ძვირადღირებულ საჩუქარს ვერ მივიღებდი, რადგან გამიჩნდებოდა იმ ტიპის ვალდებულება, რომელსაც შეეძლო, საგრძნობლად დაეზიანებინა ჩვენი მეგობრული ურთიერთობა“*** *(იქვე, გვ. 163).*

თუმცა, ბიძინა ივანიშვილი ამ უარს მაინც ვერ დაეთანხმა და, როგორც მემუარისტი იხსენებს, მაინც დაარწმუნა ძვირფასი საჩუქრის მიღებაში:

***„ერთ მშვენიერ დღეს შემიყვანა თავის კაბინეტში, დამსვა და მითხრა, რომ როგორც ვიცი, უამრავ ადამიანს ეხმარებოდა და დღესაც ეხმარება. დამიდასტურა, რომ, როგორც წესი, დახმარების მიღების შემდეგ მის მიმართ ამ ხალხის დამოკიდებულება იცვლება — თითქოს ურთიერთობა კარგავს გულწრფელობას და უშუალობას. მაგრამ იყო ორი ადამიანი, რომლებსაც ის ყოველთვის ეხმარებოდა, მაგრამ მათ, კარგი გაგებით, „ისე გემრიელად შეირგეს ეს ყველაფერი, რომ წარბიც არ შეუხრიათო. მერე დამისვა რიტორიკული კითხვა, თუ იცი, რატომო, და თვითონვე უპასუხა — იმიტომ, რომ ისინი ნიჭიერი ხალხია და იციან თავისი ფასიო“*** *(იქვე, გვ. 164).*

**ხუხაშვილი** არ ასახელებს ამ ორ ადამიანს, თუმცა, იმას კი ამბობს, ერთი დიდი რეჟისორია, მეორე კი დიდი მსახიობი იყოო!

მოკლედ, ბიძინა ივანიშვილმა ასე დაარწმუნა ხუხაშვილი:

***„შენც ხომ ნიჭიერი კაცი ხარ და მოიხსენი ეს კომპლექსი. ამ საკითხს ასე შევხედოთ — შენ აკეთებ იმას, რაც შეგიძლია ჩემთვის, მე კი შენთვის ვაკეთებ იმას, რაც შემიძლია, და ეჭვი ხომ არ გეპარება, რომ მაქვს ასეთი საჩუქრის გაკეთების საშუალებაო.***

***ანუ ამით ამიხსნა, რომ, თუ ბინას შეიძენდა ჩემთვის, ეს მე არ მაკისრებდა არანაირ დამატებით ვალდებულებას, გარდა იმისა, რასაც ისედაც ვაკეთებდი საერთო საქმისთვის“*** *(იქვე, გვ. 165).*

**ხუხაშვილის** თქმით, ეს ისეთი არგუმენტი იყო, რომელმაც ის განაიარაღა.

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

# ამერიკის ვადაგასულმა ელჩმა ქართველები ისევ მასხრად აიგდო!

*საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა კელი დეგნანმა ქართველი ხალხის აბუჩად აგდება კიდევ ერთხელ სცადა და უკვე მერამდენედ დაამტკიცა, რომ დიპლომატი კი არა, პოლიტიკური რევიზორია, რომელიც უხეშად აფათურებს ხელს ქართული სახელმწიფოს შინაურ საქმეებში.*



რაც ყველაზე მთავარია, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო, რეალურად, **ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური შტაბია,** რომელშიც დიპლომატიური უწყების მაგივრად რევოლუციური კომიტეტი ფუნქციონირებს.

საქმე ეხება აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ საბუთებს, რომლებშიც სააკაშვილის მიერ დაქირავებულ ლობისტურ კომპანიას ერთ-ერთ საკონტაქტო პირად საქართველოში **ამერიკის საელჩოს თანამშრომელი ევან ელიოტი** ჰყავს მითითებული. დოკუმენტის თანახმად, ელიოტს ევალებოდა, ნიუ-იორკში სამუშაო ვიზიტით მყოფი სალომე ზურაბიშვილისათვის სააკაშვილის ამერიკელი ადვოკატი **მასიმო დი ანჯელო** შეეხვედრებინა, რათა მას საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილის შეწყალების აუცილებლობაში დაერწმუნებინა.

**პრეზიდენტი ზურაბიშვილი** ნიუ-იორკში სამუშაო ვიზიტით მიმდინარე წლის 5 მარტს იმყოფებოდა, **ევან ელიოტი** კი იმ დროისათვის საქართველოში აშშ-ის საელჩოს პოლიტიკური მრჩევლის თანამდებობას იკავებდა. **საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ადასტურებს, რომ ამერიკაში ვიზიტისას სალომე ზურაბიშვილს მართლაც სთხოვეს, სააკაშვილის ადვოკატ დი ანჯელოს შეხვედროდა, თუმცა, პრეზიდენტმა აუდიენციაზე უარი განაცხადა.**

როცა აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ოფიციალური დოკუმენტებით დასტურდება, რომ აშშ-ის საელჩოს თანამშრომელი პოლიტიკური ლობიზმის კამპანიაში იყო ჩართული, ეს დიდი დიპლომატიური და პოლიტიკური სკანდალია!

კიდევ უფრო დიდი სკანდალია, როცა აშშ-ის საელჩოს თანამშრომელი კონკრეტული სისხლის სამართლის დამნაშავის ციხიდან დახსნის მიზნით წარმოებულ ლობისტურ კამპანიაში მონაწილეობს!

შესაბამისად, **საქართველოში აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი, რომელსაც უფლებამოსილების ვადა 2023 წლის 31 იანვარს ამოეწურა, მაგრამ დღემდე თანამდებობაზე რჩება, ვალდებული იყო, ქართველი საზოგადოებისათვის აეხსნა და განემარტა, რატომ ფიგურირებს მისი საელჩოს თანამშრომელი სააკაშვილის მიერ დაქირავებული ლობისტების საქმიანობაში?**

ამის ნაცვლად **კელი დეგნანმა** ქართველი ჟურნალისტების კითხვას სრულიად უტიფარი და გამაოგნებელი პასუხი გასცა — **დოკუმენტებს, რომლებიც აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა, არ ვიცნობ!**

გესმით?

**თურმე, საქართველოში აშშ-ის ელჩი არ იცნობს აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებს, რომლებიც საქართველოს ეხება!**

**კელი დეგნანი,** რომელიც თავს უფლებას აძლევს, ქართველ კანონმდებლებს პირდაპირ მიუთითოს — ეს კანონი მიიღეთ და ის კანონი არ მიიღოთ, თურმე საქმის კურსში არ არის, რა წერია აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ გამომზეურებულ საბუთებში, რომლებიც საქართველოში პოლიტიკურ ვნებათაღელვას იწვევენ!

**კელი დეგნანს, რომლის ჩარევის გარეშეც თბილისში მიწისქვეშა პარკინგიც კი ვერ მოწყობილა და მშენებლებსა და ბინათმესაკუთრეებს შორის წარმოქმნილი პრობლემები ვერ გადაწყვეტილა, თურმე აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ გავრცელებული დოკუმენტების გასაცნობად არ სცალია!**

როგორც ჩანს, **ამერიკის ვადაგასულ ელჩს** არამხოლოდ ის ადამიანები მიაჩნია ბრბოდ, რომლებმაც ამა წლის 8 ივლისს თბილისში ე.წ. ლგბტ ფესტივალი ჩაშალეს, არამედ **მთელ ქართველ ხალხსაც ბრბოდ და ნახირად განიხილავს.** ასე რომ არ იყოს, **ვადაგასული დეგნანი** თავს მოვალედ ჩათვლიდა, ქართველი საზოგადოებისათვის თუნდაც ფორმალური ახსნა-განმარტება მაინც მიეცა, თუ რატომ იყო ჩართული ამერიკის საელჩოს თანამშრომელი სააკაშვილის შეწყალების მიზნით წარმოებულ ლობისტურ კამპანიაში?

თუმცა, რაღა აქვს სათქმელი ამერიკის ელჩს ქართველი ხალხისათვის?!

რაღა მნიშვნელობა აქვს, რას იტყვის **ვადაგასული ელჩი,** რომელიც უკვე მრავალგზის არის შემჩნეული და მხილებული ქართველი საზოგადოების მოტყუებაში, დაცინვაში, შეურაცხყოფასა და აბუჩად აგდებაში?

ზუსტად ამიტომ, **ქართველი ხალხის თვალში კელი დეგნანის სიტყვას ახლა ისეთივე ფასი აქვს, როგორიც რომელიმე ნინოლომჯარიას, რომელიმე სალომესამადაშვილის ან რომელიმე ანანაცვლიშვილის ბუუტურს!**

ზუსტად ამიტომ, ქართველი ხალხის თვალში კელი დეგნანის დიპლომატიური, პოლიტიკური და მორალური წონა ახლა **რომელიმე ანაწითლიძის, რომელიმე თინაბოკუჩავას ან რომელიმე ხატიადეკანოიძის** პოლიტიკურ წონას არ აღემატება!

## კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველოში ამერიკის საელჩო, რეალურად, ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური შტაბია!




**რაღა გასაკვირია, ამერიკის საელჩოს თანამშრომელი სააკაშვილის ციხიდან დახსნის ლობისტურ კამპანიაში მონაწილეობდეს, როცა იმავე საელჩოს თანამშრომელი ქართველ მოსამართლეს პირდაპირ სასამართლოს შენობაში ურჩევდა საქმეს ნიკა გვარამიას გასამართლების გამო!**



ევან ელიოტი

ისიც ცხადი და უეჭველია, რომ სააკაშვილის ციხიდან დახსნის მიზნით წარმოებულ ლობისტურ კამპანიაში ამერიკის საელჩოს თანამშრომლის **ევან ელიოტის** მონაწილეობა ვერც კელი დეგნანის და, მითუმეტეს, ვერც ამერიკის სახდეპის ზურგს უკან ვერ მოხდებოდა!

ან კი, რაღა გასაკვირია, ამერიკის საელჩოს თანამშრომელი სააკაშვილის ციხიდან დახსნის ლობისტურ კამპანიაში მონაწილეობდეს, როცა იმავე საელჩოს თანამშრომელი ქართველ მოსამართლეს პირდაპირ სასამართლოს შენობაში ურჩევდა საქმეს **ნიკა გვარამიას** გასამართლების გამო!

**მთელ ამ ამბავში ყველაზე ცუდი და სამწუხარო ის არის, რომ საქართველოში აშშ-ის საელჩო და ელჩი დეგნანი მთელი მონდომებით ლამობენ, ქართველი ხალხის დიდ ნაწილში საბოლოოდ მოსპონ ამერიკული სახელმწიფოსადმი ნდობა და პატივისცემა!**

თუ ვადაგასული დეგნანი საქართველოში კიდევ ცოტა ხანს გააჩერეს, ამ საქმეს წარმატებით დააგვირგვინებს!

**უკვე თითქმის ბოლომდე ჰყავს მიყვანილი!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



ამერიკის საელჩომ **კეთილი ინებოს და ტონი შეარჩიოს!**

„ახალი თაობა“

**თამარ ჩიხურაძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**კელი დეგნანმა გაანადგურა ამერიკის იმიჯი საქართველოში.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**გოგა ხაინდრავა**
*კონფლიქტოლოგი*



**ელჩო დეგნან,** ზიანი, რომელიც თქვენ **აშშ-ის პრესტიჟს** საქართველოში მიაყენეთ, ყველა თქვენ წინამორბედს ერთად აღებულს არ უქნია. **ჯ. ტეფტი და ი. კელიც** იგდებდნენ აბუჩად სამართალსა და დემოკრატიას საჯაროდ. თუმცა, **ქართველების ბრბოდ მოხსენიებას** არა თუ ისინი, სსრკ ცკ მდივნებიც კი ვერ ბედავდნენ!

„იმედინიუსი“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



თუ **ზურაბიშვილი** ძლიერი სახელმწიფო მოღვაწე და მეთაურია, მაშინ **გამოვიდეს და საჯაროდ თქვას, ვინ, როგორ, რით ემუქრება, რათა სააკაშვილი შეიწყალოს.** დამერწმუნეთ, ასეთ შემთხვევაში, მთელი საქართველო გამოვა და მას გვერდით დაუდგება.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*



ოპოზიციის გაერთიანება მხოლოდ **სალომე ზურაბიშვილს** შეუძლია.

„ახალი თაობა“

*„ახლახან სოჭში გაიმართა ბიოლოგიური უსაფრთხოების გლობალური საფრთხეებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. განხილულ იქნა რუსეთისა და პარტნიორი ქვეყნების ბიოლოგიური უსაფრთხოების საკითხები. მონაწილეებმა შეშფოთებით აღნიშნეს, რომ იზრდება ხელოვნურად ორგანიზებული ეპიდემიური ხასიათის რისკები. რუსეთისა და პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლები შეთანხმდნენ ერთობლივ ქმედებებზე, რათა შეძლონ მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეების აცილება, საჭიროების შემთხვევაში კი, სწრაფად რეაგირება!“* ***— ამ სიტყვებით დაიწყო საუბარი სახალხო დიპლომატმა და უფლებადამცველმა, საერთაშორისო ორგანიზაცია „ევრო-აზიური ალიანსის“ თავმჯდომარემ, ამერიკის ბიოლაბორატორიებისა და ბიოლოგიური იარაღის წინააღმდეგ მოძრაობა „ანტილაბ-საქართველოს“ დამფუძნებელმა კობა კუსიანმა:***



## კობა კუსიანი:

# მე ლუგარის ცენტრს ადამიანებზე ექსპერიმენტების ჩატარებაში ვადანაშაულებ!

## „მთლიანად საქართველოს მოსახლეობა საცდელ კურდღლებად აქციეს!“

— სულ ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომ შეერთებულმა შტატებმა ვერ დაამტკიცა თავდაპირველი ვერსია, რომლის თანახმად კორონავირუსის პანდემია ვუჰანის ლაბორატორიიდან დაიწყო. **აშშ-ის დაზვერვის ანგარიშის თანახმად, დღემდე არ არსებობს პირდაპირი მტკიცებულება ჩინური ლაბორატორიიდან ვირუსის გაჟონვასთან დაკავშირებით. ეს ამძაფრებს ლოგიკურ ვარაუდს, რომ ვირუსი მიზანმიმართულად გავრცელდა, როგორც ბიოლოგიური იარაღი, პლანეტის მოსახლეობის ფართო მასების გასანადგურებლად,** ხოლო ახლო მომავალში კვლავ მოსალოდნელია, კაცობრიობის წინააღმდეგ „პანდემიად“ მონათლული ბიოლოგიური ომი უფრო დიდი მასშტაბებით განმეორდეს.

**— სად შეიძლება იქმნებოდეს ბიოლოგიური იარაღი?**

— ფაქტებს დავეყრდნოთ და გამოვთქვათ გონივრული ვარაუდი: 1975 წელს მიღებულ იქნა **კონვენცია ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის შექმნის, წარმოების, მისი მარაგის აკრძალვისა და განადგურების შესახებ.** ამას აკვირდება 160 ქვეყანა, მათ შორის, აშშ და დიდი ბრიტანეთი. 2001 წელს აშშ-მა ხელი არ მოაწერა ამ კონვენციის დამატებით პუნქტს, რომელიც კონტროლის მექანიზმებს არეგულირებს.

რადგან შეერთებულმა შტატებმა საქართველოსგან განსხვავებით, მოახდინა ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის კონვენციის რატიფიცირება, პენტაგონი აშენებს **ბიოლაბორატორიებს ისეთ ქვეყნებში, სადაც ასეთი საქმიანობა** „ლეგალური“ იქნება.

2002 წლიდან აშშ ინტენსიურად სწავლობს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის გენეტიკურ მონაცემებს. კვლევა ჩატარდა აფრიკაში, სამხრეთ ამერიკაში და რუსეთში. **სლავურს შეისწავლიან უკრაინაში განთავსებული, კავკასიურს — საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, აზიურს კი — ყაზახეთში განთავსებული ბიოლაბორატორიები.**

საქართველოს ხელისუფლებას თავისი მოსახლეობისათვის არასოდეს გაუმხელია ლუგარის სახელობის ლაბორატორიის მუშაობის დეტალები, არც ის, რომ ლუგარის ლაბორატორია აქტიურ მონაწილეობას იღებდა **პათოგენების** შექმნაში! თავად ხელისუფლებამაც მხოლოდ ზეპირსიტყვიერად იცის, რა ხდება ამ ობიექტზე. ადგილობრივ კატაკლიზმებსა და ამერიკული ბიოლოგიური ლაბორატორიის საქმიანობას შორის პარალელები რომ გავავლოთ, გავიხსენებ **სამაჩაბლოში ღორის აფრიკული ჭირის აფეთქებას,** რომელიც სწორედ ამ ლაბორატორიის მუშაობის დაწყებას მოჰყვა და რომელმაც მძიმედ დააზარალა სოფლის მეურნეობა. გახსოვთ, ალბათ, რაჭის რეგიონში მოსახლეობას ღორები მასობრივად რომ დაეხოცა, მაგრამ ამაზე არავის უსაუბრია.

საყურადღებოა, რომ **აფრიკული დაავადების პირველი კერები თავდაპირველად დაფიქსირდა ახალგორისა და ზნაურის რეგიონის სამ სოფელში,** საითკენაც თბილისიდან კონტროლირებული ტერიტორიებიდან არაერთხელ მოხდა დრონების გაფრენა, რომელიც ფაქტზე ცალმხრივად სამხედრო დამკვირვებლებმა დააფიქსირეს. რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭომ სერიოზული შეშფოთება გამოთქვა რუსეთის საზღვრებთან აშშ-ისა და ნატოს ბიოლოგიური ლაბორატორიების განლაგების გამო და, საბოლოოდ, **ქართულ ლაბორატორიას ბრალი დასდეს ე.წ. სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის განადგურების მიზანმიმართულ ოპერაციაში!**

რუსეთის უშიშროების საბჭომ მოსალოდნელი სცენარიც კი აღწერა, რომლის მიხედვით მომაკვდინებელი მიკროორგანიზმები შეიძლება მოხვდნენ გარემოში, რაც გამოიწვევს როგორც სასაზღვრო ქვეყნების, ასევე რუსეთის ფედერაციის მოსახლეობის მასობრივ განადგურებას. ეს არის სცენარი, რომელიც შესაძლოა, რეალობად იქცეს!

**— ცხადია, თქვენს გამონათქვამებს ეყოლება ოპონენტები და თანაც — ძალიან სერიოზული ოპონენტები!?**

— ლუგარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ლაბორატორიაა რეგიონში. მას შეუძლია მრავალი საშიში ვირუსის და ბაქტერიის იდენტიფიცირება. ბიოუსაფრთხოებაში მხოლოდ ოთხი დონეა, ეს ლაბორატორია აკმაყოფილებს მესამე დონეს, ანუ როგორც მას უწოდებენ BSL 3 დონის ობიექტია, რაც იმას ნიშნავს, რომ იქ ძალიან საშიშ პათოგენებთან შეიძლება მუშაობა. **პირდაპირ გეტყვით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მარტო ლუგარის ლაბორატორია კი არა, მისი ფილიალებიცაა განთავსებული და ერთ-ერთი ასეთი ლაბორატორია არსებობს ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვრებთან.** ლუგარის ცენტრის გარდა, აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტი საქართველოში აფინანსებს ათზე მეტ მცირე ლაბორატორიას. თითოეულ მათგანს აქვს ბიოუსაფრთხოების მეორე დონე (BSL 2)!

ლუგარის ცენტრის მუშაობა შეიძლება შეფასდეს იმ ტენდერებით, რომლებიც დრო და დრო ჩნდება მის ვებგვერდზე. ასე, მაგალითად, ამ ლაბორატორიის სპეციალისტების ინტერესი გამოიწვია პატენტმა **„ინფიცირებული მწერების შესხურებისთვის უპილოტო საფრენი აპარატები“.** ანოტაციაში მითითებულია, რომ ეს მცირე ზომის საფრენი აპარატი შექმნილია **„მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ინფიცირებული მწერების შესაფრქვევად, რათა მინიმალური დანახარჯით მას სასიკვდილო დარტყმა მიაყენოს“.** კიდევ ერთი პატენტი, ასევე ლუგარის ცენტრის საჭიროებისთვის, გაიცა მცირე ზომის იარაღზე **„ბიოლოგიურად დაბინძურებული მასალით, საბრძოლო დივერსიული მოქმედებების განხორციელების მიზნით“.** ვფიქრობ, გასაგებია, რა ინტერესები აქვთ ამერიკელ სამხედრო ექსპერტებს და რა საფრთხის წინაშე აყენებენ ისინი საქართველოს მოსახლეობას.

**— მაგრამ, ოფიციალურად, ლუგარის ლაბორატორია სულ სხვა ფუნქციას ასრულებს.**

— დიახ, ლუგარის ცენტრი 2011 წელს გაიხსნა რეგიონულ ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლის დახმარების ეგიდით. თუმცა, მხოლოდ ნაწილობრივ ასრულებს სამედიცინო დახმარების ფუნქციას. ზოგიერთი შენობა მკაცრი კონტროლის ქვეშაა და იქ მოხვედრა მხოლოდ გარკვეულ დონეებზე მყოფ პერსონალს შეუძლია, რომელთა ვინაობა გასაიდუმლოებულია. თვალის ასახვევად არაერთხელ ითქვა, რომ **„საქართველოში პენტაგონის ბიოლოგიური ლაბორატორიები ასწავლიან, ეხმარებიან, მკურნალობენ“.** მე კი მოვიყვან კვლევის შედეგებს: ცნობილია, რომ ლუგარის ცენტრი საქართველოში ექსპერიმენტული მედიკამენტებით C ჰეპატიტით დაავადებულთა მკურნალობითაც იყო დაკავებული. **2015 წლის დეკემბერში 30 პაციენტი გაურკვეველი მიზეზით გარდაიცვალა. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ დაადასტურა C ჰეპატიტით დაავადებულთა გარდაცვალება, ხაზგასმით აღნიშნა, რომ გარდაცვალების მიზეზი დაავადების მძიმე მიმდინარეობა იყო, თუმცა, არ გაამჟღავნა ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალი, რომ 30-დან 24 ადამიანი ერთსა და იმავე დღეს დაიღუპა!**

ამ პროგრამაში უამრავი ადამიანი იყო ჩართული. ბევრი კმაყოფილებასაც გამოთქვამდა, მაგრამ მათი შემდგომი ბედით არავინ დაინტერესებულა. პროგრამაში ჩართულმა საზოგადოებამ პროგრამა მიიღო, როგორც დახმარება და არა, როგორც ექსპერიმენტში მონაწილეობა. **მათთვის არც კი განუმარტავთ, რომ ეს იყო ექსპერიმენტი!**

დავამატებ იმასაც, რომ თითოეული პაციენტის ვინაობა გასაიდუმლოებული იყო, მათ გარდაცვალებაზე კი გამოძიება არ ჩატარებულა. უფრო მეტიც, 2016 წლის აპრილში ისტორია კვლავ გეგმასავით განმეორდა: **ისევ 30 ადამიანის სიკვდილი, რომელსაც აგვისტოში კიდევ 13 დაემატა.**

საქართველოს გარდა, მსოფლიოში არსად დაფიქსირებულა ამდენი გარდაცვალების ფაქტი ერთ დღეში! ამის შემდეგ „დახმარების პროგრამა“, რომელმაც 73 ადამიანი იმსხვერპლა, წესით, უნდა შეჩერებულიყო, მაგრამ მაინც გაგრძელდა. **სიკვდილიანობის შესახებ ყველა მონაცემი აშშ-ში იგზავნებოდა. ექსპერტები 2018 წელს რეგიონში აქამდე არნახული ღორის აფრიკული ჭირის გაჩენას და 2019 წელს მარმარილოს ბუზის გავრცელებასაც ლუგარის ცენტრის საქმიანობას უკავშირებენ.**




ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსური დახმარება საქართველოსთვის კოლოსალურია, ამიტომ საქართველოს ხელისუფლებას პენტაგონის ბიოლოგიური ლაბორატორიების საქმიანობის შესახებ გაჩუმება უწევს. **მე ლუგარის ცენტრს ადამიანებზე ექსპერიმენტების ჩატარებაში ვადანაშაულებ! ვის მოვუწოდო? გონივრული ეჭვი მაქვს, რომ მთლიანად საქართველოს მოსახლეობა აქციეს საცდელ კურდღლებად!** ადამიანებზე ექსპერიმენტები ლუგარის ცენტრის გახსნიდან ტარდება და დღემდე არ შეწყვეტილა.

**საქართველოს დედაქალაქის მახლობლად მდებარე ლაბორატორიის კედლებს მიღმა თანამედროვე კაცობრიობისთვის უმნიშვნელოვანესი საიდუმლო საფრთხე იმალება! ამიტომაც ამბობენ უარს ამერიკელები საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციაში ცენტრის გადაცემაზე!**

**— მაგრამ ლუგარის ლაბორატორია ხომ საქართველოს იურისდიქციაშია?**

— მხოლოდ ფორმალურად, საბუთებით! ვინც ღიად განაცხადა ლუგარის ლაბორატორიის უკანონო საქმიანობაზე, ამერიკელი ექსპერტი **ჯეფრი სილვერმანი** იყო, ამაზე საუბარი ხმამაღლა დაიწყო საქართველოს უშიშროების ყოფილმა მინისტრმა **იგორ გიორგაძემ.** აუცილებელია, მოხდეს ლუგარის ცენტრის მონიტორინგი, შეიქმნას კომისია საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, ასევე ადგილობრივი სპეციალისტებისა და საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით, დაიდოს დასკვნა ლუგარის ცენტრის მუშაობის შესახებ, რათა მოსახლეობამ გაიგოს, ეს ლაბორატორია ნამდვილად მათ კეთილდღეობას ემსახურება თუ არა!

**— არ მგონია, ლუგარის ცენტრის ხელმძღვანელობამ თქვენი ბრალდებები სერიოზულად მიიღოს...**

— ლუგარის ცენტრში ბიოლოგიური იარაღის შემუშავებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ბრალდებას უარყოფენ და ირწმუნებიან, რომ არაერთხელ მიიწვიეს ჟურნალისტები ლაბორატორიის „დასათვალიერებლად“. პანდემიის პერიოდში კოლეგებთან ერთად თავად ვიყავი შესული ბატონ **ამირან გამყრელიძესთან,** ადმინისტრაციული შენობის სამუშაო გარემოთი მოხიბლული დავრჩი, თუმცა, ისინი მხოლოდ სამოქალაქო ობიექტებში უშვებენ ჟურნალისტებს. **ცენტრის დახურულ კორპუსში შესვლა კი შეუძლიათ მხოლოდ შეერთებული შტატების მოქალაქეებს, რომლებსაც გააჩნიათ მესამე ხარისხის ბიოუსაფრთხოება.** ლაბორატორიის თანამშრომლებმაც არ იციან სრულყოფილად, რა ხდება იქ სინამდვილეში.

საქართველოს ხელისუფლება, კერძოდ, ჯანდაცვის სამინისტრო საერთოდ არ აკონტროლებს ლუგარის ცენტრში ჩატარებული კვლევების შედეგებს. მიმდინარე კვლევებიდან სარგებელს იღებენ ამერიკელი მკვლევარები, რომლებიც აპატენტებენ შედეგებს და იყენებენ აშშ-ის სამხედრო ინტერესებისთვის, რადგან კონტრაქტორები არიან ამერიკელი სამხედრო კომპანიები. როცა ამერიკელებმა ლუგარის ცენტრი გახსნეს, ალექსეევკაში ცერემონიალს ესწრებოდნენ თავდაცვის მინისტრის მდივნის თანაშემწე ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური პროგრამების საკითხებში **ენდრიუ ვებერი** და სენატორი **რიჩარდ ლუგარი,** რომლის პატივსაცემადაც ცენტრს მიენიჭა მისი სახელი. **ენდრიუ ვებერის** დასწრება ცენტრის გახსნაზე საეჭვოდ არ მიგაჩნიათ?

ბიოლოგიური იარაღის სპეციალისტი **ილია დუხოლინოვი** არ გამორიცხავს, რომ ლუგარის ლაბორატორიას აქვს საკმარისი რესურსი ბიოლოგიური იარაღის შესაქმნელად და მსგავსი ექსპერიმენტების ჩასატარებლად. დიახ, ბიოლოგიური იარაღი კაცობრიობისთვის მთავარ საშიშროებად რჩება. **მის შემქმნელებს შეუძლიათ, ეპიდემიებად შენიღბონ პროცესები და სწრაფად დააინფიცირონ ადამიანები. სერიოზული საფრთხეებია მოსალოდნელი შემოდგომიდან.** შესაძლოა, განაცხადონ გლობალური დათბობის გამო სხვადასხვა ეპიდემიის თაობაზე; შესაძლოა, მოხდეს ახალი ვირუსის გავრცელება იმ ბიოლოგიური ლაბორატორიებიდან, რომლებიც ასე მრავლად განათავსა დასავლეთმა მსოფლიოში.

## „სერიოზული საფრთხეებია მოსალოდნელი შემოდგომიდან. შესაძლოა, განაცხადონ სხვადასხვა ეპიდემიის თაობაზე!“

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

## ზურაბ ქუმსიაშვილი:

# ფრინველის კვერცხისა და ხორცის სახით მაღაზიებში საწამლავი იყიდება!



***— მარკეტში კვერცხი ვიყიდეო, — ყვებოდა ავტობუსში ერთი მგზავრი, — მივედი სახლში, ერბოკვერცხი შევიწვი და გემო ვერ ჩავატანე, კვერცხს არაფრის გემო არა ჰქონდაო! — ნუთუ არ იცით, რომ კვერცხის ხელოვნურად დამზადებაც შეიძლება! — უფრო შორს წავიდა მეორე მგზავრი და, ანაზდად, ბებიაჩემის მომზადებული ტაფამწვარის სუნი და გემო გამახსენდა. მართლაც, რა ხდება? კვერცხს კვერცხის გემო აღარ აქვს, კარაქს — კარაქის. ხორციც, გინდ — გიჭამია, გინდ — ჩალა დაგიღეჭიაო...***

*„— ნებისმიერი არსება იმისგან შედგება, რასაც მიირთმევს. შესაბამისად, პროდუქტის კვებითი ღირებულებაც იმით განისაზღვრება, თუ რით იკვებებოდა ცხოველი თუ ფრინველი!“* ***— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი ექიმმა, ინტეგრალური მედიცინის წარმომადგენელმა, პროფესორმა ზურაბ ქუმსიაშვილმა:***

— ბუნებრივ პირობებში ქათმები თავისუფლად მოძრაობენ ეზოში, ბაღჩასა თუ მინდორში, მრავალფეროვანი საკვებით იკვებებიან, რაც მწვანე მცენარეებისა და მარცვლეულის გარდა, ჭიაყელებისგან, კალიებისგან, ხოჭოებისგან და სხვა ცოცხალი ორგანიზმებისგან შედგება. ცოცხალი ორგანიზმები კი, როგორც ცნობილია, მრავალფეროვანი ცილოვანი ნაერთების წყაროა. ამგვარად ყალიბდება ჯანმრთელი პროდუქტი — ასეთი ქათმის ხორციც და კვერცხიც მაღალი კვებითი ღირებულების იქნება. **სრულიად განსხვავებული პირობებია მეფრინველეობის ფერმებში.**

**— რით არის განსხვავებული?**

— უპირველესად, ფერმებში ფრინველები მცირე გალიებში უმოძრაოდ არიან გამოკეტილი, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მათი კუნთოვანი და ძვლოვანი ქსოვილის განვითარებაზე, ხოლო მათი საკვები ოდნავადაც არ ჰგავს ბუნებრივს, ღარიბია მინერალებითა და მიკროელემენტებით. არადა, ფერმერების ინტერესშია, რაც შეიძლება სწრაფად გაიზარდოს ფრინველი, რომ კვერცხის დება დაიწყოს და სახორცე პროდუქტად გამოდგეს. **ამ მიზნით საკვებად ფართოდ იყენებენ ჰორმონულ პრეპარატებს, რაც აზიანებს ფრინველის როგორც ნერვულ, ისე საყრდენ-მამოძრავებელ სისტემას.** გარდა ამისა, სხვადასხვა დაავადების შედეგად ფერმაში უამრავი ფრინველი იხოცება, რადგან საყრდენ-მამოძრავებელი, ანუ ძვლოვანი სისტემის ჩამოყალიბების რიტმი ვერ ეწევა კუნთოვანი სისტემის ჰორმონებით დაჩქარებულ ზრდას. უფრო მეტიც, დახოცილ ფრინველს არ ანადგურებენ, არამედ სათანადო გადამუშავების შემდეგ ფერმაში აბრუნებენ ფრინველთა გამოსაკვებად. ახლა წარმოიდგინეთ, როგორი გემო უნდა ჰქონდეს ასეთ საკვებზე გაზრდილ ქათამს ან მის კვერცხს, რაც ჩვენს სუფრაზე ხვდება!

**— გამოდის, რომ ასეთი ხორცი და კვერცხი არც ადამიანისათვის იქნება სასარგებლო, რადგან მავნე ნივთიერებები ჩვენს ორგანიზმში გადმოინაცვლებს.**

— რომ აიღოთ მარკეტში ნაყიდი ფერმის კვერცხი და შეადაროთ ბუნებრივ პირობებში გაზრდილი ქათმის კვერცხს, აშკარა სხვაობას იგრძნობთ. **მთელი პასუხისმგებლობით გეუბნებით, რომ მარკეტში ნაყიდი კვერცხი ადამიანის ორგანიზმისთვის სასარგებლო არ არის!** ფრინველის კვერცხისა და ხორცის სახით მარკეტებსა და მაღაზიებში საწამლავი იყიდება! რაც შეეხება სხვა ხორცპროდუქტებს... ნაკლებად საშიშია ცხვრისა და საქონლის ხორცი, რადგან ისინი უფრო ბუნებრივ პირობებში იზრდებიან და მათი კვებისთვის იმდენი ჰორმონი და უცხო პრეპარატი ნამდვილად არ გამოიყენება.



**— ჰორმონები რა ნივთიერებისგან შედგება?**

— მაგალითად, **ესტრადიოლბიპროპიონატი** გახლავთ სინთეტიკური **ესტროგენური პრეპარატი**, რომელიც თითქმის 80 პროცენტით ზრდის ფრინველის კვერცხდებას. პარალელურად, ეს პრეპარატი მნიშვნელოვნად ამცირებს მისი სქესობრივი მომწიფების პერიოდს. **ფრინველის საკვებში დამატებული პროგესტერონი მართალია, ზრდის კვერცხის ზომას, მაგრამ ეს ხდება ქათმის ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების ხარჯზე.** პრეპარატი **დიანაბოლი** აჩქარებს წიწილების ზრდის პროცესს; პრეპარატი **ოვოგენი** შედგება პროგესტერონისგან და ანტიბიოტიკებისგან და ასტიმულირებს ფრინველის გამრავლების პროცესს. არის **იოდიზირებული კაზეინი,** რომელსაც ემატება **თიროქსინი** და ფრინველისთვის მისი მიწოდება აჩქარებს კვერცხის დების პროცესს. ასევე ქათმებს ინიექციის სახით უკეთებენ ინსულინს, ტოლბუტამიდს... ჩამონათვალი დიდია.

### ასეთი ნივთიერებებით გაჟღენთილი ფრინველის კვერცხი და ხორცი გემრიელი ნამდვილად ვერ იქნება.

რაც მთავარია, **ქათამი ფერმის პირობებში ვერ იღებს ცილოვან საკვებს, იკვებება მიკროელემენტებისგან გამოფიტული ნახშირწყლებით, რისი მთავარი მიზანიც გახლავთ ის, რომ ფრინველმა სწრაფად მოიმატოს წონაში.** სხვათაშორის, ამ საკითხზე სერიოზული კვლევები ჩაატარეს ისრაელში და დაიდო საგანგაშო დასკვნები.

**— ადამიანი რამდენად შეიძლება დაავადდეს ამ სავალალო ტექნოლოგიების გამო?**

— ვინც ასეთი პროდუქტით სისტემატურად იკვებება, მართლაც რისკის ზონაშია. საუბარი არ არის მარტო **სალმონელოზზე,** რაც კვერცხით შეიძლება გავრცელდეს... არსებობს **კამპილობაქტერიაც,** რაც ჩვეულებრივ სახლობს ფერმის ბინადარი ცხოველებისა თუ ფრინველების საჭმლის მომნელებელ სისტემაში. მათმა განავალმა შესაძლოა, დააბინძუროს წყალი წყაროებსა და ტბებში. **შინაური ფრინველების ხორცი და არაპასტერიზებული რძეც ასევე შეიძლება, იყოს კამპილობაქტერიით დაბინძურებული.** ამიტომ, აუცილებელია, კვერცხი კარგად გაირეცხოს, ვიდრე მისი საკვებად გამოყენება მოხდება.

ფრინველის ხორცი თანამედროვე პირობებში ხშირად არის ისეთ პროდუქტში, როგორიც არის ხორცის ფარში. **ვინაიდან ფრინველის ხორცი ღორის და საქონლის ხორცთან შეუდარებლად იაფია, მწარმოებლები მას ურევენ ნახევარფაბრიკატებში და, შესაბამისად, ჰორმონები, რომლითაც ფრინველი ფერმაში იკვებება, ადამიანის ორგანიზმში შეიძლება მაშინაც კი მოხვდეს, როდესაც ადამიანი ყიდულობს სოსისს, ძეხვეულს და ა.შ.**



არის კიდევ ერთი დიდი საფრთხე: კვერცხისმდებელი ქათმები, რომლებსაც სპეციალურ პრეპარატებს უკეთებენ, რათა კვერცხი სწრაფად დაიდოს, შესაბამისად, გაჟღენთილი არიან ამ საწამლავით და არ უნდა გამოიყენებოდნენ საკვებად, არამედ უნდა ნადგურდებოდნენ სათანადო წესით. თუმცა, საქართველოში ხშირად ხვდება ასეთი ქათმის ხორცი თურქეთიდან. **ასეთი ქათმის ხორცი იწვება ქუჩებში გრილებზე და თავისი სიიაფით იზიდავს კლიენტურას, თუმცა, მომხმარებლებმა არც კი იციან, რომ ნამდვილ საწამლავში ხარჯავენ ფულს!**

### ჰორმონებით ნაკვები ხორცის სისტემატური მოხმარება იწვევს სხვადასხვა სახის სიმსივნეებს და უამრავ სხვა დაავადებას.

**— თევზზე რას იტყვით?**

— სატბორე მეურნეობებში მოშენებული თევზები იკვებებიან იმგვარივე ჰორმონების შემცველი და გენმოდიფიცირებული საკვებით, როგორითაც ფერმის ქათმები. **საქართველოში შემოდის, ძირითადად, იაფი და უხარისხო თევზის საკვები, რაზეც სატბორეების მფლობელები ხშირად საუბრობენ.** შესაბამისად, ასეთი თევზის გემო და კვებითი ღირებულება ოდნავადაც ვერ შეედრება ბუნებრივ პირობებში, მდინარეებსა და ტბებში დაჭერილი იმავე დასახელების თევზის გემოს.

**— ღორის ხორციც აღარ არის თითქოს ისეთი გემრიელი, როგორიც ადრე იყო...**

— ღორის ხორცში ნაკლები პრობლემებია, ვიდრე ფრინველსა და თევზში. მაგრამ ფერმებში ღორის საკვებსაც უმატებენ სხვადასხვა პრეპარატს, რათა თავიდან აიცილონ ინფექციები და ცხოველის მასობრივად განადგურება. ცნობისათვის: ჰორმონებს ღორებსაც აძლევენ, ამიტომ ყველაზე უსაფრთხო მაინც საქონლისა და ცხვრის ხორცია.

**— რიგმა ქვეყნებმა ხელოვნური ხორცის წარმოება დაიწყეს...**

— მეტსაც გეტყვით: ხელოვნურად კვერცხის დამზადებაც შეიძლება, შიგთავსისა და ნაჭუჭის ჩათვლით, ისე, რომ თვალი ნამდვილისგან ვერ გაარჩევს. ინტერნეტში უკვე გამოჩნდა ამის შესახებ ინფორმაცია, მაგრამ ხელოვნურ კვერცხსა და ხორცს არაფერი აქვს საერთო ნამდვილი კვერცხის და ხორცის კვებით ღირებულებასთან. **ქართველ მომხმარებელს ვურჩევ, თუ გსურთ, ფული საწამლავში არ დახარჯოთ და, იმავდროულად, ნამდვილი ხორცის თუ კვერცხის გემო შეიგრძნოთ, შეიძინეთ ბუნებრივ პირობებში გამოზრდილი ცხოველების და ფრინველების პროდუქტები!** შეიძინეთ ცოტა, მაგრამ ხარისხიანი საკვები!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

## „აუცილებელია, კვერცხი კარგად გაირეცხოს, ვიდრე მისი საკვებად გამოყენება მოხდება!“



# მიხეილ ცაგარელი:
# აგვისტოს ასტრო-ლოგიური პროგნოზი

**— აგვისტოს დასაწყისში სამხედრო კონფლიქტებისა და პოლიტიკურ ასპარეზზე დაპირისპირების დიდი ალბათობა რა საფრთხეებს შექმნის? ამ პერიოდში რა შეიძლება შეირყეს, გამოაშკარავდეს, გასაჯაროვდეს ანდა რა იქნება კარგად შენიღბული? ეს ყოველივე რაზე აისახება ან ვის შეეხება? როდის დადგება აგვისტოში მშვიდი და ნაყოფიერი პერიოდი შემოქმედებითად მუშაობისთვის და დიდი ხნის გეგმების განსახორციელებლად? რა და რა თვისებებს გაამახვილებს ადამიანებში 23 აგვისტოდან მზის გადანაცვლება ლომის ზოდიაქოდან ქალწულის ზოდიაქოს ნიშანში? ამ პერიოდში ერთგვარმა პლანეტურმა ტანდემმა რა შეიძლება გამოიწვიოს ანდა თვის ბოლოს მეომარი პლანეტა მარსი რის სურვილს გააძლიერებს და ამიტომ რა რჩევების გათვალისწინება გვმართებს? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.**

**— მარიამობისთვეში რა ტენდენციებია მოსალოდნელი და როგორი იქნება პლანეტების ზემოქმედება ადამიანებსა და მოვლენებზე?**

— აგვისტოს დასაწყისში სიცოცხლისუნარიანობა შესუსტდება და ენერგეტიკის მნიშვნელოვანი კლება მოსალოდნელი. ამ ფონზე ემოციურობა გაიზრდება, რაც ადამიანებს აიძულებს, დაუფიქრებლად, ნაჩქარევად, ეგოისტურად იმოქმედონ, ძველ შეთანხმებებს ყურადღება არ მიაქციონ, დანაპირების იგნორირება მოახდინონ, წესები და კანონები დაარღვიონ. ამის საფუძველზე კი შესაძლოა კონფლიქტები წარმოიშვას როგორც ცალკეულ ადამიანებსა და ორგანიზაციებს შორის, ისე მთლიანად საზოგადოებაში, აგრეთვე საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოებს შორისაც. შესაბამისად, **4-9 აგვისტოს შუალედში მოსალოდნელია სამხედრო კონფლიქტისა და პოლიტიკურ ასპარეზზე დაპირისპირებების გამწვავება. ყოველივე ამან კი როგორც მსოფლიოში, ისე ქვეყნის შიგნით, ადვილი შესაძლებელია, ბიზნესისა და ინვესტიციების სფერო შეარყიოს. გამორიცხული არ არის, ამჟამინდელი ეკონომიკური ალმავლობა დიდ სირთულეს წააწყდეს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ პერიოდში კორუფციული სქემები ძალიან კარგად იქნება შენიღბული. შესაძლოა, დაიწყოს თანამდებობის პირთა და სხვა სახელმწიფო მოღვაწეების საქმიანობის გამოაშკარავება, გასაჯაროება, დევნა. ამასთან საგადასახადო და სამართალდამცავი ორგანოების გააქტიურება მოემსახურება სახელმწიფო ინტერესების დაცვას, ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელი საზოგადოებრივი ამბიციების დაკმაყოფილებას.** აღსანიშნავია ისიც, რომ კოსმოსის ზემოქმედება მმართველ სტრუქტურებშიც გამოიწვევს გარდაქმნებს. შედეგად, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ხელმძღვანელი პირების შეცვლას, თანამდებობრივ გადაადგილებებს ან სამთავრობო უწყებებში მყოფი პირების მოულოდნელ განთავისუფლებებს. ბუნებრივია, ამგვარმა ტენდენციამ, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს არაერთი ადამიანის სტატუსსა თუ ფინანსურ მდგომარეობაზე. შესაძლებელია, რიგ შემთხვევაში ხელმძღვანელობასა და ხელქვეითებს შორის ურთიერთობა გამწვავდეს და დიდ კონფლიქტში გადაიზარდოს.

**— როდის შეიცვლება სიტუაცია უკეთესობისკენ?**

— **სიტუაცია მხოლოდ 12 აგვისტოს შემდგომ დაიწყებს ნელ-ნელა დამშვიდებას და „ასტროლოგიური ამინდიც" გაუმჯობესდება, რაც უფრო მეტად საგრძნობი გახდება 16 აგვისტოს ახალმთვარეობის შემდეგ.** თვის ეს მონაკვეთი საკმაოდ მშვიდი და ნაყოფიერი იქნება, განსაკუთრებით შემოქმედებითად მუშაობისთვის და დიდი ხნის გეგმების განსახორციელებლად.

**— აგვისტოს მესამე დეკადის დასაწყისში მზე ლომის ზოდიაქოდან გადაინაცვლებს ქალწულის ზოდიაქოს ნიშანში. რა და რა თვისებებს გაამახვილებს ადამიანებში ცის კაბადონზე ამგვარი ცვლილება?**

— **მზე 23 აგვისტოს (13.02) გადაინაცვლებს ლომის ზოდიაქოდან ქალწულის ზოდიაქოში და უახლოესი ერთი თვის მანძილზე წინა პლანზე წამოიწევს რაციონალურობა, ლოგიკურობა, სიცხადისა და სიზუსტისკენ სწრაფვა. ადამიანებში გამახვილდება ორგანიზებულობა, დისციპლინა, პასუხისმგებლობა, შრომისუნარიანობა, ნებისყოფა, პრაქტიკულობა, წესრიგისა და სისუფთავისკენ მიდრეკილება და ასევე კრიტიკულობა, პირდაპირობა, წვრილმანში ჩაძიება და სიჯიუტეც.**

**— ამ პერიოდში როგორი იქნება ვითარება ცის კაბადონზე და როგორ განლაგდებიან პლანეტები?**

— უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **22 აგვისტოდან ვითარება შესაძლოა, შეიცვალოს, რადგან ამ დროს ერთგვარ პლანეტურ ტანდემს შექმნიან მზე, ლომის ზოდიაქოს ნიშანში მოძრავი სიყვარულისა და სილამაზის მფარველი პლანეტა ვენერა და ქალწულის ნიშანში მყოფი გონების, ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა მერკური, რომელნიც დაუპირისპირდებიან თევზების ზოდიაქოში განლაგებულ დიდ კოსმოსურ მასწავლებელს პლანეტა სატურნს.** ამგვარი მდგომარეობა ზოგიერთი ადამიანის ქმედებებს მოთოკავს, ზოგს კი პირიქით, თავდაჯერებას გაუძლიერებს და აქტიურად მოქმედებისთვის სტიმულს მიაწვდის. აღსანიშნავია ისიც, რომ თვის ბოლოს, **27 აგვისტოდან, ქმედითუნარიანობის მმართველი პლანეტა მარსი სასწორის თანავარსკვლავედში შეაბიჯებს,** რაც პლანეტების კონფლიქტს კიდევ უფრო გაზრდის. გარდა ამისა, ულევი ენერგიის მომწოდებელი მეომარი მარსი უფრო მეტად გაზრდის ადამიანებში ცვლილებებისა და სწრაფად, აქტიურად მოქმედების სურვილს, ამიტომ **თვის ბოლოს სავალალო შეცდომების გვერდის ავლისთვის და მწვავე კონფლიქტების ასარიდებლად დაუშვებელი იქნება გარისკვა და აჩქარება. ამ პერიოდში აუცილებელი იქნება მეტი პასუხისმგებლობისა და სიდინჯის გამოვლენა, კომპრომისის ძიება, გააზრებული გადაწყვეტილებების მიღება და წინდახედულად მოქმედება.**

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***



## 31 ივლისი - 6 აგვისტოს ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
ეს კვირა აღსავსე იქნება საინტერესო მოვლენებით, თუ მთავარი პრობლემის მიმართ ყურადღებას არ მოადუნებთ, წარმატებას ადვილად მიაღწევთ. მოგებას პარტნიორების ფულადი სახსრების დახმარებით მიაღწევთ. ოჯახში ურთიერთობა არასტაბილური იქნება, მაგრამ ახალი სასიყვარულო რომანის წამოწყება მხოლოდ გულისტკენის მიზეზი შეიძლება იყოს. კარგი იქნება, თუ დასვენებისთვის სადმე ახლო მანძილზე გაემგზავრებით.

**კურო** (21.04-20.05)
საკუთარი პოზიციის დაცვისას ნუ გაჯიუტდებით. ეცადეთ, მიღებული ინფორმაცია სრულად აითვისოთ და დროულად გააანალიზოთ, რათა რეაგირება მოასწროთ. საქმეში დახმარებისთვის ნათესავებსა და ახლო მეგობრებს მიმართეთ. შესაძლოა, სასიყვარულო ურთიერთობა ჩამოგიყალიბდეთ სხვა წრის, მენტალიტეტის ან კონცეფციის მქონე ადამიანებთან. მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ.

**ტყუპი** (21.05-22.06)
მრავალფეროვანი გადაადგილება-შეხვედრები ახალი კავშირების დამყარებაში დაგეხმარებათ. გარშემო მყოფთა ყურადღებას ადვილად მიიზიდავთ. ემოციები აკონტროლეთ, რათა შინ და გარეთ პრობლემები არ შეიქმნათ. შეყვარებულს ყოველმხრივი დახმარება გაუწიეთ. კარგი პერიოდია ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად და მკურნალობის ჩასატარებლად. გადაადგილებებისა და კონტაქტების დროს სიფრთხილე გმართებთ, რათა არ დაშავდეთ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
ენერგიის დაქვეითებამ შესაძლოა, უკმაყოფილების შეგრძნება გააჩინოს. პროფესიულ საქმეში გაუგებრობანი ახალი სამსახურის ძიებისა და დამოუკიდებელი ბიზნესის დაარსებისკენ გიბიძგებთ. ახლობლები ფინანსურ დახმარებას ვერ გაგიწევენ, ამიტომ ახალი ნივთების შეძენა გადადეთ, რათა ფული იოლად არ დახარჯოთ. ეცადეთ, ოჯახსა და სასიყვარულო სფეროში ხელოვნურად არ წარმოქმნათ კონფლიქტები. მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ.

**ლომი** (23.07-23.08)
თავს ენერგიულად იგრძნობთ. თუმცა, არსებული ცხოვრების წესისა და ჩვევების დაკარგვის შიშმა, შესაძლოა, ახლის მიღებასა და განვითარებაში ხელი შეგიშალოთ. ახალი კავშირები და ურთიერთობები ჭეშმარიტი სურვილების გაცნობიერებაში დაგეხმარებათ. ეს კვირა ხელს შეგიწყობთ დამატებითი ცოდნის მიღებაში და ახალი საქმის დაწყებაში. თამამი, საინტერესო და ფართო თვალსაწიერის მქონე ადამიანები მიგიზიდავთ. შორეული მოგზაურობის დროს გაცნობილი ადამიანი კი შესაძლოა, მომავალში სასიყვარულო პარტნიორი გახდეს.

**ქალწული** (24.08-23.09)
რთული და წინააღმდეგობრივი პერიოდი გაქვთ, ამიტომ ეცადეთ, ზედმეტი პასუხისმგებლობისგან, შეუსვენებელი მუშაობისგან და დიდი დატვირთვებისგან თავი შეიკავოთ, რათა ჯანმრთელობას არ ავნოთ. მაცდურ წინადადებას ნუ მიიღებთ, რათა სავალალო შეცდომა არ დაუშვათ. ფარისევლებს ერიდეთ, რათა არ მოგატყუონ ან ბინძურ ინტრიგაში არ ჩაგითრიონ. ახალ საქმესაც ნუ დაიწყებთ, რადგან დიდია გაუგებრობებისა და შეცდომების ალბათობა.

## 31 ივლისი - 6 აგვისტოს ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
სამსახურის ანდა საქმის განაწილებისას ეცადეთ, მეგობრები არ გაანაწყენოთ. არაოფიციალური სამუშაო დამატებით ფინანსებს გიქადით. პირად ურთიერთობაში განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეთ, რადგან დაკარგულის დაბრუნების შანსი აღარ განმეორდება. მეტ ყურადღებას ითხოვს ბავშვების ჯანმრთელობაც. გზებზე გადაადგილებისას სიფრთხილე გმართებთ, რადგან დიდია ავარიების ალბათობა.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
ვიწრო წრეში ლიდერობა პოპულარობას მოგიტანთ. კონტაქტებიც მოიმატებს. გარშემო მყოფთა ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეებს გულთან ახლოს ნუ მიიტანთ და ნუ გაითავისებთ, რათა საკუთარი საქმე არ დააზარალოთ. პროფესიული საქმიანობის ნაწილი დამალული იქნება, რის გამოც პერიოდულობით საქმეც და შემოსავალიც დამუხრუჭდება. ძალების აღდგენასა და დასვენებას ადვილად შეძლებთ ქალაქგარეთ, ბუნების წიაღში, ოღონდ გზებზე გადაადგილებისას სიფრთხილე და ყურადღება გამოიჩინეთ.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
ცხოვრების ტემპი და ვალდებულებების რაოდენობა მოიმატებს, გადაადგილებები და ადამიანებთან ურთიერთობა ხშირად მოგიწევთ, რაც მარტივი არ იქნება. ეცადეთ, ნაყოფიერად მუშაობისთვის ზოგჯერ განმარტოვდეთ. ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდება. პარტნიორებთან ურთიერთობისას თითოეული სიტყვა წინასწარ გაიაზრეთ, რათა უხერხული სიტუაცია არ შექმნათ. სასიყვარულო სფეროშიც კი მოთმინება გმართებთ. მოგზაურობა პოზიტიურად ჩაივლის.

**თხის რქა** (22.12-19.01)
ეცადეთ, არ გაღიზიანდეთ, რათა საქმიანმა პარტნიორებმა თქვენდამი ინტერესი არ დაკარგონ. შესაძლოა, ახლობლების გამო გეგმები აგერიოთ. მიზნის მისაღწევად მხოლოდ აქტიურობა საკმარისი არ იქნება და შესაძლოა, დამატებითი ცოდნის მიღება მოგიწიოთ. სასიყვარულო ან საოჯახო ურთიერთობაში დიდი მნიშვნელობა მიენიჭება გულწრფელ და სასიამოვნო საუბრებსაც და აზრთა გაცვლას. შორეული მოგზაურობა კი შესაძლოა, არაერთი პრობლემის მიზეზი გახდეს.

**მერწყული** (20.01-18.02)
გარკვეული ძალისხმევაა საჭირო, რათა თქვენი საქმიანი, პირადი თუ სასიყვარულო ურთიერთობები ჰარმონიულ ჭრილში დარჩეს. ეცადეთ, აგრესიულ ადამიანებს ყურადღება არ მიაქციოთ, რათა ადრინდელი მდგომარეობა შეინარჩუნოთ, უცნობებს მოერიდეთ, პროვოკაციებს არ აჰყვეთ, საბუთები შეამოწმეთ და კანონიც არ დაარღვიოთ. მგზავრობა რთული, მაგრამ წარმატებული იქნება, ოღონდ სახიფათო სიტუაციებს ერიდეთ, რათა არ დაშავდეთ.

**თევზები** (19.02-20.03)
არაერთმნიშვნელოვანი ცვლილებები ფსიქოლოგიურ გამოცდას მოგიწყობთ, რის გამოც ხშირად შეგეცვლებათ განწყობა. თუმცა, პრინციპულობით, შრომისმოყვარეობითა და მოთმინებით ყველა პრობლემას დაძლევთ. საყვარელი ადამიანი და შვილები სიამოვნებას მოგანიჭებენ მანამ, სანამ მათ თავისუფლებას არ შეულახავთ და გადამეტებულ სიმკაცრეს არ გამოავლენთ. კარგი იქნება, თუ პერიოდულად ცოტას შეისვენებთ ანდა სადმე გაემგზავრებით.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
## 1, 3 და 5 აგვისტო

**1 აგვისტო – სავსემთვარეობა, პიკი – 22.33 საათზე;**
**16 აგვისტო – ახალმთვარეობა, პიკი – 13.39 საათზე;**
**31 აგვისტო – სავსემთვარეობა, პიკი – 05.37 საათზე.**

# რას ურჩევს ასტროლოგი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 31 ივლისი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში, ამოდის 05.54 საათზე, ჩადის 20.21 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 19.52 საათზე, ჩადის 1 აგვისტოს 03.30 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 21.57 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ საჭის მართვისას, კანონმორჩილი იყავით. სამართალდამცველებთან კამათი არ ღირს. არ არის სასურველი ქორწინება, ფინანსური ოპერაციები, ახალი კავშირების დამყარება, თანამშრომლის სამსახურში მიღება, ვაჭრობა, სიმძიმეების აწევა. კარგი დღეა მკერდისა და კუჭ-ნაწლავის სამკურნალოდ, მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, კარგად ნაფიქრი საქმეებისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, მუხლები, სახსრები, კბილები, კანი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 1 აგვისტო, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.55 საათზე, ჩადის 20.19 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (08.01) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 20.39 საათზე, ჩადის 2 აგვისტოს 04.47 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 22.23 საათზე. **სავსემთვარეობაა,** პიკი — 22.33 საათზე. ამ დროს იწყება მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 06.13 საათიდან 08.13 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს **სავსემთვარეობა** განაპირობებს აგრესია-დეპრესიას, კონფლიქტებს, ტრავმებს, ავარიებს, ცდუნებებს, შეცდომებს, გაუგებრობას. გართულებულია მოლაპარაკება, შემცირებულია ურთიერთგაგება. არ არის სასურველი ყიდვა-გაყიდვა, ფულის სესხება, პრეტენზიულობა, საქმის გარჩევა, გადაღლა. მნიშვნელოვანი საქმე ჯობს, გადადოთ. სასიკეთოა ლოცვა, შენდობის თხოვნა, მიტევება. კარგი დღეა ინტელექტუალური და სულიერი განვითარებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის. მოერიდეთ თვალების გადაღლას, დიდხანს ფეხზე დგომას, საიდუმლოს გამხელას, ხორციანი კერძების მიღებას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები, ვენები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, გიშერი, ამეთვისტო, ცირკონი, ძოწი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 2 აგვისტო, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.56 საათზე, ჩადის 20.18 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 21.15 საათზე, ჩადის 3 აგვისტოს 06.10 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 22.39 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ეცადეთ, ყველაფერში ოქროსკვეთი მოიძიოთ, უკიდურესობებს მოერიდეთ. გამახვილებულია ინტუიცია, სექსუალური ინიციატივის გამოვლენის უნარი. ცოლქმრული ურთიერთობა გაუმჯობესდება. აზროვნებისას და მოქმედებისას სპონტანური იმპროვიზაცია, საკითხის ახლებურად გადაჭრის შესაძლებლობა იმატებს, რაც ხელს შეუწყობს რთული საკითხების გადაწყვეტას. კარგი დღეა სუნთქვითი ვარჯიშებისთვის, ცურვისთვის, ნოვატორული საქმეებისთვის, კომპიუტერის, აირ და ელექტროხელსაწყოების შესაძენად, პროგრამული სისტემის ასათვისებლად, რემონტისთვის, ბინის შესაცვლელად, სამეცნიერო კვლევისთვის. არ არის სასურველი თვალების გადაღლა, საიდუმლოს გამხელა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, თვალები, ვენები, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ძოწი, ცირკონი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 3 აგვისტო, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.57 საათზე, ჩადის 20.17 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (07.04) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 21.45 საათზე, ჩადის 4 აგვისტოს 07.34 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 22.49 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.15 საათიდან 07.05 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ხელი შეეწყობა უსაფრთხოებისთვის სიგნალიზაციის დაყენებას, ცრუ მეგობრისგან გათავისუფლებას, დანაპირების შესრულებას. კარგი დღეა ქორწინებისთვის, მგზავრობისთვის, ტურისტული ლაშქრობისთვის, ქველმოქმედებისთვის, უცხოელებთან კონტაქტისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, შემოქმედებისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, სპონსორის მოძიებისთვის. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, ანალიზების ჩაბარება, ექოსკოპია, სისხლის აღება-გაცემა, ალკოჰოლის, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული საშუალებების მიღება, საიდუმლო საქმიანობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 4 აგვისტო, პარასკევი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.58 საათზე, ჩადის 20.16 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 22.11 საათზე, ჩადის 5 აგვისტოს 08.54 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 22.57 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** ურთიერთობისას რომანტიკულობა და სენტიმენტალურობა იმატებს. კარგი დღეა მეგობრული კონტაქტებისთვის, აზრთა გაზიარებისთვის, ქველმოქმედებისთვის, ქორწინებისთვის, სასიყვარულო შეხვედრებისთვის, შემოქმედებისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, მგზავრობისთვის, ნადირობასა და თევზაობისთვის. არ არის სასურველი ტერფების მასაჟი, ექოსკოპია, ანალიზების ჩაბარება, საიდუმლო საქმიანობა, სისხლის აღება, გაცემა, ახალი საქმის დაწყება, ალკოჰოლის, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული საშუალებების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები, თვალები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, მარჯანი, ამეთვისტო, გიშერი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მერწყულისთვის.

## 5 აგვისტო, შაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.59 საათზე, ჩადის 20.15 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (07.18) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 22.34 საათზე, ჩადის 6 აგვისტოს 10.11 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 23.04 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 05.21 საათიდან 07.19 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ურთიერთობისას მოსალოდნელია ილუზიები, ცილისწამება, კამათი, სიცრუე. აკონტროლეთ ემოციები, აგრესია, ეგოიზმი. ფიზიკურად და სულიერად ნუ გადაიღლებით. ეფექტური იქნება თირკმლების, შარდსასქესო სისტემის, კანის მკურნალობა. მოერიდეთ ზედმეტად მარილიანი საკვების, ტკბილეულისა და ალკოჰოლის მიღებას. კარგი დღეა მგზავრობისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, ავეჯის, სპორტული ინვენტარის, მჭრელი საგნების, ცეცხლსასროლი იარაღის შესაძენად, ტურისტული ლაშქრობისთვის, ექსტრასენსური მონაცემებისა და საბრძოლო სულისკვეთების გამოსავლენად. არ არის სასურველი ქორწინება, საფინანსო ოპერაციები, კაპიტალდაბანდება, ხელშეკრულების დადება, სამგზავრო წესების დარღვევა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, გრძნობათა ორგანოები, სისხლძარღვები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 6 აგვისტო, კვირა

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 06.00 საათზე, ჩადის 20.14 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 22.58 საათზე, ჩადის 7 აგვისტოს 11.26 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 23.12 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს წინაპართა ტრადიციებს დაეყრდენით. ის საქმე, რომელიც შეგიძლიათ, დღეს შეასრულოთ, ხვალისთვის ნუ გადადებთ. ურთიერთობისას იმატებს სულსწრაფობა, იმპულსურობა. ემოციები აკონტროლეთ. ნუ იკამათებთ და ნუ გადაიღლებით. კარგი დღეა მგზავრობისთვის, სპორტული ღონისძიებებისა და ვარჯიშებისთვის, მშენებლობისთვის, სამღებრო სამუშაოებისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად, სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, კაპიტალდაბანდება, ხელშეკრულების დადება, წესების დარღვევა, სტომატოლოგიური პროცედურები. **ჯანმრთელობა.** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.





**2 აგვისტო – ხსენება წმიდისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა ელია თეზბიტელისა**



**6 აგვისტო – ხსენება ღირსისა ილარიონ თვალელისა, ღირსი გიორგი მთაწმინდელის მოძღვრისა**



**4 აგვისტო – ხსენება მენელსაცხებლისა მოციქულთა სწორისა მარიამ მაგდალელისა**

✝ 31 ივლისი. ორშაბათი. **ღირსმოწამისა კოზმან ხუცესმონაზონისა, მწიგნობართუხუცესისა;** მოწამისა ემელიანესი; მოწამისა იაკინთე ამასტრიდელისა; ღირსისა პამბო მეუდაბნოისა ნიტრიელისა.

✝ 1 აგვისტო. სამშაბათი. **ღირსისა მაკრინესი, დისა მღვდელმთავარისა ბასილი დიდისა;** ღირსისა დიოსისა; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა ღირსისა სერაფიმესი, საროველი სასწაულმოქმედისა.

✝ 2 აგვისტო. ოთხშაბათი. **წმიდისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა ელია თეზბიტელისა;** მოწამისა სალომე ქართველისა, სპარსთაგან წამებულისა; მართლისა ილიასი; **ანგელოზის დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა ილია II-სი.**

3 აგვისტო. ხუთშაბათი. წინასწარმეტყველისა ეზეკიელისა; ღირსთა სვიმეონისა, ქრისტესთვის სალოსისა და იოანესი, თანამმარხველისა მისისა.

✝ 4 აგვისტო. პარასკევი. **მენელსაცხებლისა მოციქულთა სწორისა მარიამ მაგდალელისა;** აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა მღვდელმოწამისა ფოკასი.

✝ 5 აგვისტო. შაბათი. მოწამეთა: ტროფიმესი, თეოფილესი და მათთანა 13-თა მოწამეთა; მღვდელმოწამისა აპოლინარისა, რავენიელი ეპისკოპოსისა.

✝ 6 აგვისტო. კვირა. **ღირსისა ილარიონ თვალელისა, ღირსი გიორგი მთაწმიდელის მოძღვრისა;** მოწამისა ქრისტინა ქალწულისა; მოწამეთა კეთილმსახურთა მთავართა: ბორისისა და გლებისა, წმიდა ნათლისღებით რომანოზისა და დავითისა.















### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ტორნადო; 5. მჯადა; 9. საფრა; 12. ბროსე; 13. გაფრინდაშვილი; 14. მანტო; 15. სეირი; 16. არენა; 17. ლავსანი; 18. ნიტრო; 19. დეი; 21. ნაირა; 22. არიფანა; 25. რეი; 27. როკვა; 28. შარადა; 30. კვარტეტი; 31. პიზა; 33. ვიკუნია; 34. სიქა; 36. ლილიფარა; 40. ნამყო; 41. კეფირი; 44. ხამი; 45. ქამელეონი; 46. ტატუ; 47. ვარამი; 48. მენი; 49. უსტაბაში; 53. მითი; 55. წიქარა; 57. თია; 59. მიკროსკოპი; 61. რაგვი; 62. ალაბამა; 63. ხბო; 64. დელიკატესი; 65. ოლიფა.

შვეულად: 1. ტიგრანა; 2. რეფრენი; 3. ალიდადა; 4. ორდალია; 5. მაშავერა; 6. ადინამია; 7. აბისინია; 8. მოდილიანი; 9. სემინარია; 10. ფანატიკოსი; 11. აკომოდაცია; 20. ენძელა; 23. რივზი; 24. ფარსი; 26. ერეკლე; 28. შივა; 29. დონგი; 31. პანი; 32. ზამბახი; 34. სოხუმი; 35. ქამანდი; 36. ლოქო; 37. ლამის; 38. ფილია; 39. რაობა; 41. კივი; 42. ფერდი; 43. რუმბა; 49. ულისე; 50. ტორფი; 51. ბასმა; 52. შტო; 53. მარაო; 54. თაგვი; 55. წილი; 56. ქება; 57. თიხა; 58. ანოა; 60. პას.

**ქალამანილავაგონიტირადამესიდორიანოდინიკორა**
**ვაზარიელიბოსინაპალმირაპირამიდამოკიკინიავი**

| ხამი ტყავის შინნაკეთი ფეხსამოსი (ძვ.) | ვულკანური მასა | მუხლის სახსრის ანთება | აიდას სატრფო | ო. უაილდი – „... გრეის პორტრეტი“ | უმაღლესი ღვთაება სკანდინავიურ მით-ში | ამონაკვეთი თოფის ლულაზე |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| თავის ჩონჩხი | ფილიპინების დედაქალაქი | მატარებლის შემადგენელი ნაწილი | პათოსით წარმოთქმული სიტყვა | საფრანგეთის რევოლუციური კალენდრის მეათე თავი | დადებითად დამუხტული ელექტროდი | სუპერმარკეტების ქსელი საქართველოში |



თარაზულად: 1. ხმელეთის სმერჩის სახელი აშშ-ში; 5. სოკოს სახეობა; 9. შაქრის ლერწმის ჭრა კუბაში; 12. ფრანგი ქართველოლოგი; 13. ქართველი მოჭადრაკე ქალი; 14. ქალის ფართო პალტო; 15. სანახაობა; 16. ცირკის მოედანი; 17. ხელოვნური ბოჭკო; 18. რთული სიტყვის ნაწილი, აღნიშნავს ამ სიტყვის კავშირს აზოტთან; 19. ამერიკელი მომღერალი ქალი; 21. ნიგერიის ფულის ერთეული; 22. ერთმანეთში შეგროვილი ფულით ქეიფი-ფსონი; 25. მომღერალი ... ჩარლზი; 27. ცეკვა; 28. თამაში-გამოცანა სიტყვებით; 30. ოთხი შემსრულებლის ანსამბლი; 31. დახრილი კოშკის ქალაქი იტალიაში; 33. ლამების გვარის ამერიკული ცხოველი; 34. არაქათი, ძალ-ღონე; 36. მზესუმზირა; 40. წარსული დრო; 41. რძის პროდუქტი; 44. დაუმუშავებელი, მოუქნელი; 45. ხვლიკის მსგავსი ცხოველი; 46. სვირინგი; 47. ლ. გოთუა — „გმირთა ...“; 48. აშშ-ის შტატი; 49. ხელოსანთა ამქრის უფროსი; 53. ძველი ხალხური თქმულება ქვეყნის წარმოშობაზე, ღმერთებზე; 55. ქართული ზღაპარი; 57. ცხიმოვანა; 59. ოპტიკური ხელსაწყო თვალით უხილავი საგნების დასანახად; 61. წნელის ღობე; 62. აშშ-ის შტატი; 63. ძროხის ნაშიერი; 64. განსაკუთრებით გემრიელი საჭმელი; 65. მოხარშული ტექნიკური ზეთი.

შვეულად: 1. პერსონაჟი გვარად გულოიანი ნ. დუმბაძის რომანიდან „თეთრი ბაირაღები“; 2. ტაეპები, რომლებიც ლექსში გარკვეული წესით მეორდება; 3. გეოდეზიური იარაღების ნაწილი; 4. ბრალდებულის წამება გახურებული შანთით, მდუღარე წყლით; 5. მდინარე ქვემო ქართლში; 6. ძალ-ღონის გამოცლა; 7. ეთიოპიის ძველი სახელწოდება; 8. ფრანგი ფერმწერი; 9. სასულიერო სასწავლებელი; 10. ბრმადმორწმუნე; 11. თვალის უნარი, ნათლად გაარჩიოს საგნები სხვადასხვა მანძილზე; 20. გაზაფხულის ყვავილი; 23. ამერიკელი მსახიობი კიანუ ...; 24. უხამსი შინაარსის მსუბუქი კომედია; 26. ქართლ-კახეთის მეფე „პატარა კახად“ წოდებული; 28. ინდუიზმის ერთ-ერთი ღვთაება; 29. ვიეტნამის ფულის ერთეული; 31. პოლონელი ქალბატონი; 32. ყვავილი; 34. აფხაზეთის ცენტრალური ქალაქი; 35. ლასო; 36. თევზის სახეობა; 37. თითქმის; 38. რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი, ნიშნავს რისამე სიყვარულს; 39. რისამე არსი, შინაარსი; 41. ტროპიკული ხილი; 42. სხეულის ნაწილი ნეკნებიდან თეძომდე; 43. მექსიკური წარმოშობის ცეკვა; 49. ჯ. ჯოისის რომანი; 50. ჭაობის საწვავი მასალა; 51. თმის ერთგვარი საღებავი; 52. ტოტი, რტო; 53. ხელით სანიავებელი საგანი; 54. კატის „დელიკატესი“; 55. ტილის კვერცხი; 56. სახოტბო ლექსი, ოდა; 57. კერამიკაში გამოსაყენებელი მასალა; 58. ჯუჯა კამეჩი; 60. უარის თქმა ბანქოს თამაშისას.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ქულა ძიუდოში | „ლვინის ქურდები“ – პერსონაჟი | მავთული | სანკტ-პეტერბურგის პოეტური სახელი | ფარაონების სამარხი | გაუმჯობესებული მოპედი | სიო |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| საყვავილე ლარნაკი | კამბოჯის ვალუტა | პატრონი, მესვეური | ლაბისებრი საწვავი პროდუქტი | საფარიკაო იარაღი | არემარე | თხის ხმიანობა | კაპასი |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

2023 წლის 31 ივლისი – 6 აგვისტო №34 (1498)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეღიაჰოხჰოხაცია "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*



წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“**.
ტელეფონები: (+995) 32 215-25-25; (+995) 32 215-35-35;
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**



THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol